

პანო IV

არქეოლოგიური
გათხრები

«ქეცნიერება»

თბილისი

1979

ВАНИ IV
АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ
РАСКОПКИ

VANI
ARCHAEOLOGICAL
EXCAVATIONS
IV

«МЕЦНИЕРЕБА» «METSNIEREBA»
ТБИЛИСИ · TBILISI
1979

სტ. 6 (ც 41)
902.6(47.922)
: 156

„ვანი IV“, ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომების მორიგი ტომი, მთლიანად ნაქალაქარის ზედა ტერასის შესწავლას ეძღვნება. აქ წარმოდგენილია 1970—1977 წლებში ზედა ტერასაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები და ამ წლებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის კატალოგი. აქვე ქვეყნდება ნინო ხოშტარიას გამოუქვეყნებელი ნაშრომიდან ამოღებული ვრცელი ნაწილი, რომელიც ზედა ტერასაზე 1947—1958 წლებში აღმოჩენილი სამარხების პუბლიკაციას წარმოადგენს.

რედაქტორი ოთ. ლორთქიფანიძე
Редактор О. Д. Лордкипანიძე
Editor O. D. Lordkipanidze

წინასიტყვაობა

„ვანი IV“ ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომების მორიგი ტომია, რომელიც ნაქალაქარის ზედა ტერასის დასავლეთი ნაწილის შესწავლის შედეგებს ეძღვნება. აქ წარმოდგენილია 1970—1977 წლებში აღმოჩენილი ძვ. წ. VIII—VII სს. კულტურული ფენების, ძვ. წ. VI—IV სს-ების ხის საკულტო შენობათა და კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი სარიტუალო არხების, ძვ. წ. IV—III სს-ების მდიდრული სამარხების, ძვ. წ. III—I სს. ქვით ნაგები მონუმენტური საკურობის, საკულტო და თავდაცვით ნაგებობათა, აგრეთვე გვიანანტიკური და საშუალო საუკუნეების ძეგლების არქეოლოგიური გათხრების დოკუმენტური ანგარიში, რომელსაც ერთგის მოპოვებული საკმაოდ მრავალფეროვანი მასალის (ქერამიკა, ოქრომჭედლობა და სხვ.) კატალოგი. ამავე ტომში ქვეყნდება ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის პირველი ბელმძღვანელის ნინო ხოშტარიაის ვრცელი ნაშრომის ნაწილი, რომელშიც წარმოდგენილია ზედა ტერასაზე 1947—1958 წლებში აღმოჩენილი უმთავრესი ძეგლები.

ვანსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ძვ. წ. IV—III სს-ების სამარხთა გათხრის პროცესის აღწერა.

არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარზე გრძელდება, პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა აღმოჩენილი ძეგლების გამოსაქვეყნებლად.

ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომების მორიგ ტომში („ვანი V“) ნაჯარაუდევია ნაქალაქარზე აღმოჩენილი ძვ. წ. V—IV სს. კოლხური ქერამიკის სრული კატალოგის გამოქვეყნება.

ოთ. ლორთქიფანიძე

ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი

ПРЕДИСЛОВИЕ

«Вани IV» — очередной том трудов Ванской археологической экспедиции — посвящен итогам археологического исследования западной части верхней террасы Ванского городища. В нем публикуется документальный отчет раскопок культурных слоев VIII—VII вв. до н. э., деревянных зданий и ритуальных каналов VI—IV вв. до н. э., богатых погребений IV—III вв. до н. э., каменного монументального алтаря, культовых и оборонительных сооружений III—I вв. до н. э., памятников позднеантичного времени и средневековья, раскопанных в 1970—1977 годах; а также каталог открытых за эти годы археологических материалов. В этом же томе представлена часть неопубликованной работы первого руководителя Ванской археологической экспедиции Н. В. Хоштарна, посвященная обнаруженным в 1947—1958 гг. погребениям.

Археологические раскопки городища продолжаются. Параллельно ведется и подготовка к публикации новооткрытых памятников. В очередном томе трудов экспедиции («Вани V») предполагается публикация полного каталога колхидской керамики V—IV вв. до н. э.

Отар Лордкипанидзе
Руководитель Ванской археологической экспедиции

არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე

(1970—1977 წწ.)

1. ზედა ტერასა — ახლედინების გორის წვერი — ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილია, რომელიც სამხრეთიდან საქვაბიას ლელითა შემოსაზღვრული, ხოლო ჩრდილოეთიდან — თანამედროვე სამანქანო გზით. ის ძველი ქალაქის ყველაზე მაღალი ნაწილია (ზღვის დონიდან ყველაზე მაღალი წერტილი 170 მეტრზეა).

ზედა ტერასა ნაქალაქარის გენერალურ გეგმაზე მოიცავს 191—194, 209—212, 220—223 და 222ა—223ა ნაკვეთებს. თანამედროვე ზედაპირი ბორცვის წვერიდან აღმოსავლეთისკენაა დაახლოებით 12°-ით დაფერდებული.

2. ზედა ტერასა ჯერ კიდევ 1896 წელს მოიხილა ე. თაყაიშვილმა და აღნიშნა: „ქვის კიბეები და ძველი შენობების ნაშთები ზოგჯერ ზეზე ამოსკვირან“¹. აქ, როგორც ხანს, ზედა ტერასაზე გადარჩენილი საფეხურებიანი საკურთხეველი ივულისხმება.

ვანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნინო ხოშტარაის ხელმძღვანელობით თავისი უმთავრესი სამუშაოები იმთავითვე ზედა ტერასაზე (საველუ დოკუმენტაციით I უბანი) წარმართა. 1947 წელსვე აქ ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობებზე გაიჭრა 7 თხრილი, რომლებიც შემდეგში გაერთიანდა და ერთიანი თხრილის ფართობმა 550 მ²-ს მიაღწია. არქეოლოგიური გათხრები გრძელდებოდა შემდეგ წლებშიც (1948—1952, 1957—1963 წწ.). ამ დროს აღმოჩნდა: საშუალო საუკუნეებისა და გვიანანტიკური ხანის

სამარხები; ელინისტური ხანის ქვით ნაგები საკულტო შენობები და კულტურული ფენები, ძვ. წ. IV—III სს-ის სამარხების სერია, ძვ. წ. VI—IV სს-ის ხის ნაგებობათა ნაშთები და კულტურული ფენები².

1970 წლიდან კვლავ განახლდა გეგმაზომიერი არქეოლოგიური სამუშაოები (ნაკვ. 209, 211, 192, 222), რომლებიც გაგრძელდა 1971 წელს (ნაკვ. 220, 221 და 210-ის მიჯნაზე), ხოლო განსაკუთრებით ინტენსიურად — 1973—1977 წლებში (ნაკვ. 191—194, 209—212, 220—223, 222ა—223ა). ამ წლებში აღმოჩნდა ადრესაშუალო საუკუნეების კერამიკული ქურა, გვიანანტიკური ხანის მონეტა და სხვა ნაშთები, ძვ. წ. III—I სს-ის თავდაცვითი ნაგებობანი და კულტურული ფენები, ძვ. წ.

² იხ. ნ. ხოშტარია, არქეოლოგიური გათხრები სოფ. ვანში 1947 წელს (წინასწარი ანგარიში). „მომხილველი“, I, თბ., 1949, გვ. 297—307; მისივე, Археологические исследования в Ванском районе в 1952 г. „სესია...“, თბ., 1953, გვ. 12—13; მისივე, ანტიკური ხანის ძეგლები დასავლეთ საქართველოში. „საქართველოს არქეოლოგია“ (ი. აფაქიძის რედ.), თბ., 1959, გვ. 232—238; მისივე, Археологические исследования в Вані и Ванском районе в 1952 г., მსკა, II, 1959, გვ. 149—162; მისივე, Раскопки античного города на месте современного Вани. „სესია...“, თბ., 1959, გვ. 22—23; მისივე, Археологические раскопки в Вани в 1959 г., „სესია...“, თბ., 1960, გვ. 47—50; მისივე, Ванская археологическая экспедиция 1960 г. „სესია...“, თბ., 1961, გვ. 39—42; მისივე, ვანის არქეოლოგიური მუშაველის ისტორია. „ვანი I“, თბ., 1972, გვ. 81—95; გ. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარის I უბანზე 1961—1963 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. „ვანი I“, გვ. 135—146.

¹ ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები. ტფილისი, 1907, გვ. 3.

III ს-ის სამარხების ახალი სერია, ძვ. წ. VI—IV სს-ის ხის საკულტო ნაგებობა, კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი სარიტუალო „არხები“ თუ მოედნები და მძლავრი კულტურული ფენები, აგრეთვე დაზუსტდა ამ ნაკვეთის სტრატეგრაფია, აღწერა აღმოჩენილი ნაგებობათა თუ არქეოლოგიური კომპლექსების ქრონოლოგია.

სადღესიად ზედა ტერასის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის არქეოლოგიური შესწავლა არსებობდა დაარსებულია.

3. ზედა ტერასაზე გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლები განეყოფნება დიდ ქრონოლოგიურ მონაკვეთს — ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან განვითარებული საშუალო საუკუნეების ჩათვლით. მაგრამ აქ კულტურული ფენები საკმაოდ დაზიანებულია წლებში მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო მიწის სამუშაოებით, ამასთან ბორცვის ეს ნაწილი ძლიერაა გადათხრილი აგრეთვე სანაპირო ზონის მხრიდან. ყოველივე ამის გამო კულტურული ფენები ხშირად გადატყვევებულია და ზოგან დედაქანის უშუალოდ ზედაპირზე გამოდის.

4. კლდოვან ფენას (0,5—0,10 მ) მოსდევს 0,10—0,30 მ სიმაღლის ჰუმუსური ფენა, რომელიც ქრონოლოგიურად სხვადასხვა დროის მასალებს ეჭირათესავს კერამიკის რეტიკის. ეს ფენა მეტწილად დღეს გვიანდელისტიკური ხანის

მოკვეთილო თხინარ ფენაზე, ხოლო ზოგიერთ ადგილას (მაგ. ნაკვეთი 211) — ადრენეტიკური ხანის ნაშთებზეა დაფუძნებული. კულტურული ფენის შემადგენლობა უსხვადასხვა ადგილებში ერთმანეთისაგან განსხვავებულია რაოდენობრივ თვალსაზრისითაც. მაგ., 212-ე ნაკვეთის 25-7, 25-7, 25-7 და 25-7 კვადრატებში (ე. ი. 48 მ² ფართობზე) იგი წარმოდგენილია ადგილობრივი და სინოპური ბრტყელი კრამიტის, წითელი და რუხკეციანი რელიეფურქვლებიანი ქვევრების, სინოპური და ე. წ. თეთრანგობიანი ამფორების, ჩალსფერკეციანი ამფორის ერთეული და მეტწილად უსახური ფრაგმენტებით 222-ე ნაკვეთის 14-ს და 14-ს კვადრატებში კი (ე. ი. სულ 16 მ² ფართობზე) აღნუსხულია ბრტყელი კრამიტის 115, ღარიანი კრამიტის 10, წითელკეციანი სადაზღუდაობიანი ქვევრის 11, დაღარულზედაიბიანი ყაცისფერკეციანი ქვევრის 9, წითელკეციანი ქვევრის ორიზი ნაქვებებით შემკული პირის გვირგვინის 3, რუხკეციანი პირფართო ქოთნის 4, ორიბალთიანი ჯამის 3, კოლბური ამფორის 2 ქუსლის, სინოპური კრამიტის 10, თეთრანგობიანი ამფორის 10 და შვეულკალითიანი წითელკეციანი ლანგის ერთი ნატეხი. ამრიგად, ჰუმუსური ფენა ძირითადად ელნისტიკური ხანის მასალებითაა წარმოდგენილი (კატ. №№ 5, 12—15, 18—21, 23—25, 30—47). მაგრამ შეიცავს აგრეთვე როგორც ადრენეტიკური (კატ. №№ 1—4, 6—11, 17, 22, 28, 31) და წინარენეტიკური ხანის ნაშთებს, ასევე საშუალო საუკუნეების მასალებსაც (კატ. №№ 16, 30), რაც არსებითად შეესაბამება ბორცვის ამ ნაწილის (ზედა ტერასის) ქრონოლოგიურ სტრატეგრაფიას ევრტიკალურ პერიოდში.

5.0. განვითარებული საშუალო საუკუნეები ზედა ტერასაზე წარმოდგენილია მეომრის სამარხით, რომელიც 1957 წელს აღმოჩნდა (სურ. 7, 8; იხ. № 11 გენ. გეგმაზე). სხვადასხვა დროს კი ამ ტერიტორიაზე ნაპოვნია ლურჯი მიწის სამაჟურების⁶, მოკეცილი ჭურჭლის⁷, წითელკეციანი ქვევრისა⁸ და სხვ. ფრაგმენტები. ნინო ხოშტარია

³ წინაწარა ანგარიშები იხ. ПАИ В 1973 г., გვ. 49—50, ტბ. XI; В 1974 г. გვ. 43—44, ტბ. XXXVII—XLI; В 1975 г., გვ. 100, ტბ. XXX. იხ. აგრეთვე АО В 1970 г., გვ. 381—382; В 1971 г., გვ. 467—468; В 1975 г., გვ. 487; В 1976 г., გვ. 476—477.

⁴ ზედა ტერასის დასარჩენი ნაწილი, კერძოდ, ნაკვეთები 223—224—212—213—194—195, 176—177—157—158 ეენახებითა და ადგილობრუ კოლმეურნეთა საკარმადმო ნაკვეთებთაა დაკავებული.

⁵ ჩვენს საუკუნის 30-იან წლებში აქ ქვათაღებების გასაზრდად საკანგებო საურთე გზაც კი გაეკეთებინა. ნინო ხოშტარია ცნობით: „ჩვენ კიდევ 1926 წელს გორაკის თავზე ჯგუფად იღვწავდნენ ასწლეულის მუსხები, ხოლო მათ ასლის ადგილობრივი მცხოვრებლებს ამოეთხრათ 2 მეტრამდე სიღრმის ორმო (ორმოს ფართობი — 6,5×4,5 მ), რომლის კედლებში ჩანდა მსხვილი, თოლი კვადრატების წყობა. რამდენიმე ასეთვე ქვათილი იქვე ასლის იყო ამოყრილი. შემდეგ წლებში არქეოლოგებს იქ დასედათ მსოლოდ ერთი მუხა და დაცარიელებული ორმო, რადგან ის ქვები ამოყრილი იქნა“ (ე. ხოშტარია, ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია, გვ. 88). ადგილობრივი მცხოვრებთა ცნობით ქვის ზოგადაა უბნიდან შემდეგ წლებშიც აქტიურად გრძელდებოდა.

⁶ დაწერ. ამავე კრებულში: «Из архива Н. В. Хоштария». გვ. 133: «Средневековое погребение воина».
⁷ საველ № 07: 1—57/278—279; 07: 1—63/322.
⁸ საველ № 07: 1—70/323—იხ. კატ. № 80.
⁹ საველ № 07: 1—59/145.

აქ შუა საუკუნეების ნაგებობის არსებობასაც ეპარულობდა¹⁰.

5.1. ადრესაშუალო საუკუნეების ძეგლებიდან ზედა ტერასზე აღმოჩენილია ჭურჭლის გამოსაწევი ტერა (№ 28 გენ. გეგმაზე). აქ ჩვე კოდექსი 1958 წელს საველე სამუშაოების დროს № 3 შენობის აღმოსავლეთით გამოჩნდა გათლილი და დამტერული ქვიშაქვების მძლავრი ყრილი, რომელიც კარგად გარჩინდა 1960 წელს და მაშინვე შესამჩნევად გახდა აქ ყრილის დიდ მასავეში მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ქვისაგან თავისუფალი, მრგვალი მოშიშველებული ადგილი (სურ. 9). ეს მოხაკეეთი საბოლოოდ მხოლოდ 1970 წელს გაითხარა და იქ ჭურჭლის გამოსაწევი ქურა აღმოჩნდა (223-ე ნაკვეთის ძს-გ-ეს-ე კვარტაზე, სურ. 10—14). ქურა გაუმართავთ უკვე არსებულ ქვყარულში; მას ჩაუჭრია აგრეთვე ადრენატურარი ხანის ფენებიც.

ქურა მრგვალია, საციცხლე არხი აღმოსავლეთისკენ აქვს მიმართული; შიგნიდან ელინისტური ხანის ბრტყელი, გვერდაკეცილი კრამიტების ნატეხებითაა შემოშენებული (სურ. 11, 14) და თიხით ვალესილი. ბათქამის სისქე ზოგან 5 სმ-ს აღწევს. საციცხლე არხი დაახლოებით ქურის შუაგულიდან იწყება და ღიაა ქურის კედელზე, შემდეგ კი ვადასტურული ქვევრებს კედლებს ნატეხებით (სურ. 10, 12).

ქურის დიამეტრი 2,15 მ-ია, სიმაღლე—1 მ; საციცხლე არხის უდრესი სიგანე (აღმოსავლეთით) 0,55 მ-ია, უმცირესი (დასავლეთით)—0,40 მ; საციცხლე არხის სიღრმე—0,75 მ, სიგრძე ქურის შიგნით—1,50 მ; ქურის გარეთ—2,25 მ.

საციცხლე არხში აღმოჩნდა წითლადგამომწვარი ქვევრების ნატეხები (სურ. 12). ზოგი მათგანი დეფორმირებულია. ყველა ერთი ფორმისა და ერთნაირი კეთსაა—სქელკედლიანი (2,5 სმ), სადაზღვრადპირიანი, წითლკეციანი (კატ. №№ 90, 91, 89); მათ აქვთ მასიური, სამკუთხა განივკვეთიანი პირის გვირგვინი, რომელსაც პორიფორული ზედა გვერდი აქვს. პირის გვირგვინის ორ ფრამენტზე (კატ. №№ 77, 90), ზედა გვერდზე ქურის გამოსახულება დატვიფრული (სურ. 15—16). თიხა მინარტყბიანია (კვარტის, ქარსის, კორქვის წვრილი ნამცეცები); როგორც ჩანს, ესაა ის

ჭურჭელი, რომელიც ამ ქურაში გამოუწვავთ. მიუხედავად იმისა, რომ მისი რესტავრაცია არ ხერხდება, ჩანს, რომ ჭურჭელი არ უნდა ყოფილიყო ძალიან დიდი ზომისა: ასეთი ქვევრი ქურაში საციცხლე არხის აქეთ-იქით მხოლოდ თითო დეტეოდა.

ქურა ამოხსებული იყო მიწით, რომელიც მისი დანგრევის შემდეგ ჩაიყარა. ამიტომ შიგ სრულიად სხვადასხვა დროის მასალა მოხვდა. მათ შორისაა: ელინისტური ხანის ფერადი მინის საწნესაცხლებლს (კატ. № 87, სურ. 16), გვიანანტიკური ხანის მინის ჭურჭლს (კატ. № 88), საშუალო საუკუნეების მოჭიქული ჭურჭლს (კატ. № 80), ელინისტური ხანის შევლაქანი მჭამისა (კატ. № 85) და ლანგრის (კატ. № 84) ფრამენტები, პირამიდული საწაფები (კატ. № 82, 83), კოლხური ამფორების ძირები (კატ. № 79) და სხვ. ქურის საციცხლე არხის ფსკერზე კი მხოლოდ ერთგვაროვანი ნატეხები იყო ზემოთ ნახსენები წითლადგამომწვარი ქვევრებისა (კატ. №№ 90, 91, 89).

ქურის მახლობლად, 222-ე ნაკვეთის № კვარტაში აღმოჩნდა ორყურა ქილა (კატ. № 16, სურ. 15), რომელსაც თავზე ეხურა ქურის საციცხლე არხიდან ამოკრული ქვევრების მსგავსი ჭურჭლის კედლის ნატეხი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ჭურჭელიც ქურას დროინდელია. ამავე ხანისაა აგრეთვე ქურის აღმოსავლეთით ჰუმუსნარეფენაში ნაპოვნი წითლადგამომწვარი ჭურჭლის ოვალურგანივკვეთიანი ყურის ნატეხი (კატ. № 30), რომელზეც ისეთივე ჭვარია გამოსახული, როგორც ქურის საციცხლე არხში აღმოჩენილი ქვევრის პირის გვირგვინზე დატვიფრული (სურ. 5). რაც შეეხება ქურის თარღს, მხოლოდ იმის თქმვა შესაძლებელია, რომ იგი ძველი ქალაქის დანგრევის (ძვ. წ. I ს.) შემდეგაა ამ ფართობზე გამართული (შდრ. სურ. 6). არქეომაგნეტური მეთოდით ქურის შესესლომის ფრამენტები ახ. წ. VII ს-ით დათარიღდა¹¹. ამავე თარიღს თითქოს მხარს უჭერს ქურაში გამოწვარი ჭვრისგამოსახულებიანი ჭურჭელიც, თუმც მისი ზუსტი ანალოგია ვერ მოვიძიეთ.

6. ელინანტიკური ხანა ზედა ტერასზე სუსტადაა წარმოდგენილი. ამ პერიოდს განეკუთვნება ბრინჯაოს სარკოფაგი (სურ. 17—25, № 33 გენ.

¹⁰ Н. В. Хоштарна. Ванская археологическая экспедиция 1960 г. გვ. 40.

¹¹ ზ. კლემის ლაბორატორიული გამოკვლევა. ის. ПАН I в 1973 г., გვ. 71.

გვემანე), რომელიც ჯერ კიდევ 1958 წელს აღმოჩნდა გორა-სამარხისებურად მოზიჯნულ თიხაყრილში 210-ე ნაკვეთის 29 კვადრატში¹², ხოლო 1975 წელს 222-ე ნაკვეთის 16 კვადრატში შვე ჰუმუნსნარეუ ფენაში, რომელიც ამოვსებული იყო კლდოვან დელეჟანში ამოკვეთილი ორბო, აღმოჩნდა ვერცხლის მონეტა — კარაკლას სახელით 197 წ. კესარაჰში მოპოვილი¹³ (ჯატ. № 92, სურ. 16).

7.0. ელნისტური ხანის ნაშთები (უპირატესად კერამიკა) მრავლად გვხვდება კორდოვანსა და ჰუმუნსნარეუ ფენებში (ჯატ. №№ 5, 12—15, 18—21, 23—25, 32—47). აქ აღმოჩენილ სამშენებლო კერამიკის, სამეურნეო დანიშნულების, სამზარეულო და სუფრის ქუქქელს მრავალრიცხოვან ფრაგმენტებს შორის აღსანიშნავია ჯამის (?) ძარის ფრაგმენტები, რომლის შიდა ზედაპირზე ძრტიფერულია ვ. წ. შევანებული ჯვარი (ჯატ. № 26, სურ. 5)¹⁴. ჰუმუნსნარეუ ფენაშია აღმოჩენილი აგრეთვე ადგილობრივი თიხისაგან დამზადებული პერაკლეს წელზევითა გამოსახულების სატეფრაგი (ჯატ. № 35, სურ. 5) და სხვ.

7.1. ელნისტური ხანის მძლავრი კულტურული ფენა აღმოჩნდა 211-ე ნაკვეთის სახმრეთ-ალმოსავლეთ ნაწილში (Is—Es—Is—Is—K1—კვადრატები). იგი ნაწილობრივ 212-ე ნაკვეთის კრეტულ ელბორა (21—5 კვადრატები). აქ, თხელი თორდოვანი ფენის ალების შემდეგ, გამოიკვეთა შავი ფერის ლაქა, რომელიც მკვეთრად გამოირჩეოდა გარემომცველი ნაქრისფერი ფენისაგან. შემდგომში აღარ-

გვეხვამ გამოავლინა მუქი ფერის მკვრივი ფენა, რომელიც მრავლად შეიცავდა ელნისტური ხანის მასალას, ძირითადად კერამიკას. მაგ, მარტო ოცი-ოდე კვადრატული მეტრის ფართობზე 0,20—0,25 მ სისქის ფენაში 1241 კერამიკული ფრაგმენტი აღმოჩნდა, განსაკუთრებული სიმრავლით ჩნდებოდა ამფორების ნატეხები. მათ შორის კოლხური ამფორების 18 ძირია, რომელთაც როგორც ელინდრული, ასევე ლილსებური მოყვანილობის ქუსლი აქვთ (ჯატ. №№ 101, 102, 103, 104, სურ. 26). ყელპირის 5 ფრაგმენტი გვაქვს (ჯატ. № 96, სურ. 27). ყურების 19 ფრაგმენტიდან ორზე ძირთან ნიშანია ამოკაწრული (ჯატ. №№ 97, 100, სურ. 27). ყურებზემ ხშირია თითო გამოყვანილი ფოსოეი (ჯატ. № 98), ხოლო ერთ ყურს (ჯატ. № 99) ფოსო ნუა ნაწილი აქვს. იმპორტული ამფორებიდან გვხვდება როდოსული (ჯატ. № 180), კოსის (ჯატ. № 179), სინოპური და თეთრანგობიანი ამფორები: ნატეხები.

ლიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი კოლხური სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი. ფენისთვის ტიპურია: ყავისფერკეციანი, შვე-დაღარულზედაპირიანი ქვევრების კედლები-სა და გვირგვინის (ჯატ. №№ 93,94, 95), ტრუყუ-რიანი ქვაბებისა (ჯატ. №№ 105—115, სურ. 26, 28) და მათი ხუფეების (ჯატ. №№ 116, 117, სურ. 28), დაბალყელიანი და ბრტყელძირა ქოთნების (ჯატ. №№ 118—126, სურ. 29), პროფილირებულბანიანი (ჯატ. №№ 127—133) და კალთაომორგვალეული ჯამების (ჯატ. №№ 134—136), სათევზე ლანგერის (ჯატ. №№ 161—163, სურ. 29), წითელი ფერის ზოლებით მოხატული ღოჭისა (ჯატ. № 157, სურ. 27) და თფუშის, რელიეფურ-ნაქვევრბანმენტბიანი ღოჭების (ჯატ. №№ 158, 159, სურ. 29) და სხვა ფრაგმენტებზე ფენამ 12 ერთნაზებურული პირამიდული საწაფი მოგვცა (ჯატ. №№ 165—176, სურ. 31).

კამოტების ფრაგმენტებს (211) შორის, რომლებშიც კარბოზს სოლენები (189), ურადლებს იქცეეს ერთი (ჯატ. № 178, სურ. 30). მას აქე-ილი კილის ძირში ნიშანი აქვს, რომელიც იმეორებს წინარეელნისტური ხანის ქვევრების ერთი ჯგუფის პირის გვირგვინების ორნამენტს (შდრ. ჯატ. №№ 589, 686, 709, 717, 745 და სხვ.).

ადგილობრივი ნაწარმისაგან გამსხვავებით, შე-მობანილი ჭურჭელი მცირერიცხოვანია. ზემოთ

¹² დანერ. იხ. ამავე კრებულში И. В. Хох-тарова, გვ. 133—134; სურ. 17—25; აგრეთვე ნ. ხოტბარი ა. ვანის არქ. შესწავლ., გვ. 91, სურ. 16—18.

¹³ ხომარკის თავის წინაწარ ანგარიშებით სარკოფაგი თიხაზენულის თანდართულდ მოჩნდა და ორივეს ძვ. წ. III სით ათარიღებდა. ამასთან, სარკოფაგის ჩაღმებულ ქვის მონოლითური ყუთისა და იქვე ახლის ნაპოვნი ახ. წ. III ს. ოქროს ბეჭდის საფუძველზე ვარაუდობდა ამ დროისათვის მის მფარველ გამოკვლევას. როგორც შემდგომში კვლევებ ვეჩვენა, თიხაზენულ ნართლაც ძვ. წ. IV—III სთის უნდა დათარიღდეს (დანერ. იხ. ამავე კრებულში, გვ. 24). მაგრამ თვით ბრინჯაოს სარკოფაგი აქ გვიან, სწორედ ახ. წ. III ს-შია ჩაღმებულ, რადგან ანგარი ტიპის ბრინჯაოს სარკოფაგები გვიანან ტიურის ხანით თარიღდებიან.

¹⁴ გ. დუნდუა, გ. ლორთქიფანიძე. მო-ნეტები ვანიდან. აგანი III*, თბ., 1977, გვ. 152, № 219.

¹⁵ შეესებულ ვერის გომოსახლება საქართველოში ჯერ კიდევ ძვ. წ. XIV საუკუნეში გვხვდება. იხ. მ. ლორთქიფანიძე. ძველი საქართველოს გლატიკური ძეგლების კორპუსი, თბ., 1969, გვ. 15, ტაბ. 1.

ნახსენები ამფორების გარდა ფენაში აღმოჩნდა ამფორისკის ძირი (კატ. № 182, სურ. 26), ჯამბებს (კატ. №№ 183, 187, სურ. 26), ყავისფერლავიანი კანთარისებისა (კატ. №№ 184, 185) და წითელლავიანი თფვის (კატ. № 186) ფრაგმენტები.

ელნისტური ხანის კულტურული ფენა შეწყვეტილია აგრეთვე 193-ე ნაკვეთის ჩ-გ და 194-ე ნაკვეთის მ-გ კვადრატებში, იგი დაფენილია უშუალოდ კლდოვან დედაქანზე — თირზე, რომელიც მიწის ზედაპირიდან 0,30 მ სიღრმეზეა და ამასთან რამდენადმე აღმოსავლეთისკენაა დაქანებული. აქ თირი ჩრდილოეთი და სამხრეთი მხრიდან ჩაჭრილია დაახლოებით 2 მ-ის სივანეზე, ხოლო მისი ზედაპირი დაქვენილია ბასრი იარაღით (№ 24 გენ. გეგმაზე). დაქვენილი თირი 3 მ-ის სიგრძეზეა გამოვლენილი და შეღის გაუთხრელ ფართობში, რაც ართულეს მისი ფუნქციის განსაზღვრას (ბასრი იარაღის გამოყენების თვალსაზრისით კვალი იმას მოწმობს, რომ თირი შემდეგ არ ყოფილა გამოშვლებული). მასზე კრამიტურილი და ელნისტური ხანის სხვა კერამიკის ფრაგმენტებია ფიქსირებული (კატ. №№ 188—215). მათ შორისაა ქვევრის პირის გვირგვინები (კატ. №№ 188—190), კოლხური ამფორის ღლისებური ქუსლი (კატ. № 191), ქვაბების პირ-გვერდებისა (კატ. № 192, 193) და ხუფის ნატეხები (კატ. №№ 194, 195), პირამიდული საწაფი (კატ. № 203), როდოსული ამფორის ქუსლი (კატ. № 204), კოსის ამფორის ქუსლი (კატ. № 205), წითელლავიანი ლანგრების ნატეხები (კატ. №№ 208, 209) და სხვ.

კრამიტურილი ამ ფართობს სცილდებოდა და ფარავდა 194-ე ნაკვეთის 6 კვადრატის აღმოსავლეთ კიდეზე გამოჩენილ 1,80 მ სიღრმის ორბოს, რომელიც არსებითად ქვირ გაუთხრელ ფართობში ექცევა. ორბოში ელნისტური ხანის მასალა ფიქსირებული.

ელნისტური ხანის კულტურული ფენები სულტად გამოიკვეთა 210-ე ნაკვეთის, 221-ე ნაკვეთის ჩრდილო და 192-ე ნაკვეთის სამხრეთ ნაწილებში (1973 და 1977 წლების გათხრები). მთელ ამ ფართობზე ჩვენთვის საინტერესო ხანის მასალა 900-მდე ფრაგმენტის სახითაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ 210-ე ნაკვეთზე არქეანტიკური ხანის მასალა უჭირავს, აქ არც რაიმე ნაგებობის კვალია დადასტურებული; მხოლოდ მის ნახაზებზე-დასავლეთ კუთხეში იჭრება ე. წ. ყორანნი (იხ. გენ

გეგმა, სურ. 2). განხილულ ფართობზე ფენათა მონაცვლეობა ზოგადად ასეთია: I. კორდოვანი ფენა (0,5—0,10 მ), II. ჰუმუსნარევი ფენა (0,20—0,25 მ), III. მოყვითალო თიხნარი, რომლის სიმკვარე აღმოსავლეთისაკენ მატულობს (0,35—0,40 მ-დან 0,75—0,80 მ-მდე), IV. ფხვიერი თირის ფენა (0,10 მ სისქისა), რომელიც დედაქანის (თირის) დაშლის შედეგადაა წარმოშობილი.

ნაკვეთის აღმოსავლეთ ნაწილში თითქმის სტერილური მოყვითალო თიხნარის ქვეშ უმაღლესი თირამდე ერთმანეთს ენაცვლებოდა კორქვის ანატექეტების შემცველი ნაცრისფერი (ნაცროვანი), ფხვიერი ნაცრისფერი და ნახანძრალი, გაწითლებული თიხნარი ფენები. ჩ-გ კვადრატებში კორდოვანი ფენის ქვეშ (ზედაპირიდან 0,30—0,35 მ სიღრმეზე) თავი იჩინა ნახშირებთანა და ნახანძრალმა ფენამ (იხ. სტრატეგრაფიული კრილი 210—211-ე ნაკვეთების მიჯნაზე — სურ. 134).

210-ე ნაკვეთში ელნისტური ხანის მასალა კორდოვანი ფენის აღებისთანავე იჩინა თავი ჰუმუსნარევე ფენაში, სადაც ის აღრენტიკური ხანის მასალებთან იყო შერეული (იხ. კატ. №№ 14, 19, 21, 32, 34, 36—39, 41, 43, სურ. 5). ყურადღებას იქცევს რამდენიმე ფრაგმენტი: ძვ. ყვ. III—II სს. როდოსული ამფორის პირ-ყელი, რომელზეც შეჩვენია დამლიანი ყური (კატ. № 41, სურ. 68), სწოკუჩხა დაშლის პირველ სტრატეგონში იკითხება ერთი ასო — P, მეორეში კი ΠΑ [NAMO] Y — როდოსული კალენჯარი VII—VIII თვის დასახელება; იმპორტული ტერაკოტისა (კატ. № 43, სურ. 5) და ადგილობრივი თიხის ჭურჭლის (კატ. № 32) ფრაგმენტები. ეს უკანასკნელი მიეკუთვნება ელინისტური ხანის კოლხური კერამიკის ნაკლებად გავრცელებულ ფორმას, რომლის სრულად აღდგენა არ ხერხდება არც ვანის ნაქალაქარის და არც სხვაგან მოპოვებულ მასალებში. ასეთივე ტიპის ჭურჭლის ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ ზედა ტერაკოსზე აღმოჩენილი ფრაგმენტი № 272 (სურ. 33).

ელნისტური ხანის მასალა ასევე შეიქცევა იყო წინარეელნისტურთან კორქვის ანატექეტთან ფენაში (სურ. კატ. №№ 218—234, სურ. 32). ელინისტური ხანისთვის ტიპური კერამიკის თიხნარული ნიშნულია ფიქსირებული მოყვითალო თიხნარ და ფხვიერი ნაცრისფერი ფენებში (კატ. №№ 216, 217; 235—237, სურ. 32), აგრეთვე ჩ-გ

კვლარტებში გამოვლენილ ნახანძრალ ნახშირებნარეუ ფენაში (ჯატ. №№ 238, 239).

ელინისტური ხანის კულტურული ფენები გომოვლენილა ზედა ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში (ნაკვეთი 222, კვ. 16-10-46-10, ნაკვეთი 223, კვ. 46-10-46-10-46-10) — 1975—1976 წლების გათხრები. ამ ფართობზე კორდოვანი (0,10 მ) და მძლავრი ჰემუსური (0,40—0,75 მ სისქის) ფენების ქვეშ მდებარე მონაეტრისფრო თინარმა შედარებით მკირე მასალა მოგვცა, რომელიც ძირითადად ადგილობრივი კერამიკით იყო წარმოდგენილი (ჯატ. №№ 240—243). მონაეტრისფრო თინარის ქვეშ, რომლის სიძლიერე 0,30—0,40 მ აღწევდა, გამოჩნდა კრამიტური, რომელიც სხვადასხვაგვარი შედგენილობისა და ინტენსივობის აღმოჩნდა თხარლის ცალკეულ ნაწილებში. 222-ე ნაკვეთის 1-8-46-10 და 223-ე ნაკვეთის 46 კვლარტებში კრამიტური სისქე 0,20—0,30 მ აღწევდა. კრამიტები, უმარტესად ბრტყელი, სავაიოდ დიდი ღომის ფრაგმენტებსა სახით იყო წარმოდგენილი. კრამიტებს ზემოდან შავი, დამწვარი აღიზნარევი ფენა ეყო აღავალავა: აღმოჩნდა დამწვარი ძელები ნაშთებიც. კრამიტური დაახლოებით შუა ნაწილში ჩაწოლილი იყო. კრამიტების ვანლაგებაში რაიმე კანონზომიერების დატერა არ მოხერხდა. კრამიტების (388 ფრაგმ.) დღი უმარტესობა ადგილობრივია: ერთ ნატეხზე ნაშნა შემორჩენილი (ჯატ. № 249). სინოპური ბრტყელი კრამიტის 7 ნატეხი შეგვხვდა მხოლოდ. ყირილა მოგვცა ელინისტური ხანის (ძვ. წ. III—II სს.) ფენებისთვის ფართოდ დაზახა-ათებელი მასალა, როგორცაა შავ-დაღარულზედა-კრამიტ ქვევრები (ჯატ. № 263), მბალყელიანი ქოთნები (ჯატ. №№ 266, 274), ჯამები (ჯატ. № 247), კოლხური, როლოსული და კოსის ამფორები (ჯატ. №№ 244—246, 252—260, 281, 285, 286, 288, 284), ურთელ- და შავლაკიანი კერამიკა (ჯატ. №№ 289—293) და სხვა.

სულ სხვა სურათია ჩადილოებით (222-ე ნაკვეთის 16-46 და 223-ე ნაკვეთის 46- კვლარტებში). აქ კრამიტური შედგებულა წვრილად დამსხვრეული სოლენების, ქვიშაქვის ანატექციების, რიყისა და თირის ქვებისგან (ფენის სისქე 0,50 მ). ამჟარაა, რომ ფენა შემდგომ ხანებში დაზიანდა. კრამიტურის ამ ნაწილმა უმინიშნელო მასალა მოგვცა, რომელიც ძირითადად ზემოთ განხილულის მსგავსია (ჯატ. №№ 294—314, სურ. 33).

კრამიტური დაზიანებული იყო სამხრეთ-თავ (222-ე ნაკვეთის 16-46 და 223-ე ნაკვეთის 46-10 კვლარტები), სლად იგი თითქმის აღარ ჩანდა. აქ მასში დიდი რაოდენობით იყო შერეული ქვები, ფაქტობრივად ქვიშაქვი იქმნებოდა, რომელიც თირის კირდმდე აღწევდა და, როგორც შემდგომ გამოჩნდა, კრამიტურის ქვეშაც ვრცელდებოდა. ქვიშაქვი უფრო მძლავრად იყო წარმოდგენილი სამხრეთ ნაწილში, სავაიბის ღელის პირას. იგი შედგებოდა რიყის ქვების, ქვიშაქვის ნატეხებისა და თირის ქვებისგან. ზოგ მათგანს ცეცხლის კვალი ეტყობოდა. ქვიშაქვის პრეპარატებზე გვიჩვენა, რომ აქ საქმე გვეყონდა დაზიანებულ კედლებთან, რომლებიც ზოგან ქვების გროვად იყო ქცეული; ხოლო დღის კიდის გასწვრივ, 1,30 მ სიგრძებზე, თირის ქვით ამოყვანილი წყობის რამდენიმე (5) რიგი შემორჩა. კედლის აღმოსავლეთი კიდე გაუთხრელ ფართობში (მოსახლის ვენახში) შედის.

ქვიშაქვის მოგვცა როგორც ადგილობრივი (ჯატ. №№ 316—326), ასევე იმპორტული (ჯატ. №№ 328, 329) ელინისტური ხანის მასალა. მათ შორისაა სირაკუსის ტირანის პიერონ II-ის მონეტა. (ჯატ. № 329, სურ. 107).

ქვიშაქვის თავზე ფესვირებულია თირის ქვის ნაგებობის ნაშთები (ნაკვ. 223, კვ. 46). წყობაში დაღასტურებულია ელინისტური ხანის თავდაცვითი კედლის სამიკვლის ქვების გამოყენების ფაქტი, რაც სტრატეგიაფიასთან ერთად ამ ნაგებობის გვიანდელ ხასიათზე უნდა მიუთითებდეს.

აღნუსხულია ელინისტური ხანის მასალის სხვა პერიოდით დათარიღებულ ფენებში აღმოჩენის შემთხვევებიც. კერძოდ, ძვ. წ. III—II სს-ის მასალა თითო-ორჯოლა ნიშნების სახით არის შერეული აღრუანტიკური ხანის კულტურული ფენებში, კერძოდ, თირის თავზე მდებარე შავ ფენაში (ჯატ. №№ 675—679, სურ. 107) და თირის თავზე ფსვიერი, დამოკლები თირის ფენაში (ჯატ. №№ 577—584, სურ. 35). ფესვირებულია აგრეთვე ელინისტური ხანის კრამიტის შემთხვევითი აღმოჩენის ფაქტებიც (ჯატ. №№ 338—340).

ნაქალაქარის ზედა ტერასაზე ელინისტური ხანის კულტურული ფენებს გარდა არქიტექტურული კომპლექსებითაც არის წარმოდგენილი (სურ. 38).

7,2. ზედა ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან ბუნებრივი ხეცებით

არის დატული, მაგრამ როგორც ირკვევა, ელნის-ტურ ხანაში ის გალანის კედლებითაა ყოფილა გამარტებული. თავდაცვითი კედლის ნაშთები ჩრდილოეთით ჭერ კიდევ 1947 წელს აღმოჩნდა (№ 17 გენ. გეგმაზე). როგორც ნინო ხოშტარია აღნიშნავს, იგი წარმოადგენდა თირის ქვის ცოკოლზე დაშენებულ ალიზის კედელს, რომელიც კრამიტით ყოფილა გადახურული¹⁵. ჩვენამდე მხოლოდ ცოკოლის ფრაგმენტებმა მოაღწია (სურ. 39). 1974 წელს ზედა ტერაპის ჩრდილო ფერდობი მთლიანად გაიწმინდა. პრეპარაციამ გამოავლინა თირში ამოკვეთილი ბუდეები (№ 17 გენ. გეგმაზე), რომლებიც გალანის კედლის საფუძველისა უნდა იყოს. შესაძლებელი გახდა კედლის სივანის მიახლოებით დადგენა (1,40 მ), მაგრამ მისი სიგრძის გაგება კი ვერცხლდა, რადგან იგი მეტად უცლად იყო დატული. ზოგან თირმა ამ კედლის კვალიც არ შემოგვიჩაბა, ზოგან კი თირის ქვებთან ერთად კედლის ფრაგმენტებში რიყის ქვაც გვხვდება (ცოკოლის შემავსებელი ხტრად ქვა?)—სურ. 39—41, 47. რამდენადმე განსხვავებული სურათია სამხრეთ ფერდობზე (ნაკვ. 221—222—223—222ა—223ა), რომელიც ნაწილობრივ 1960 წელს შეისწავლა ნინო ხოშტარია. საკვლად აღკუმენტაციიდან ჩანს, რომ ამ ზედა ფენების დიდი ნაწილი შემდგომი აღმოჩენილი ალიზის ამორფული მასა და მასზე დაფენილი ქვაყრილი (სურ. 43).

სამხრეთი ფერდობის შემდგომი შესწავლა 1974 წელს დაიწყო. ამ დროს გამოვლინდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმართული კედლის ნაშთები დაახლოებით 24 მ სიგრძეზე (ნაკვ. 221, კვ. d₆-e₆-f₆-g₆-h₆-i₆-j₆-k₆; ნაკვ. 222, კვ. a₇₋₁₀-b₇₋₁₀-c₇₋₁₀-d₇₋₁₀). ამ კედლის ხაზზევე დევს 1975 წელს აღმოჩენილი თირში ნაკვეთი ბუდეები (ნაკვ. 222, კვ. e₇₋₁₀-f₁₀) და 1976 წელს აღმოჩენილი თირის ქვით ნაგები კედელი (ნაკვ. 223ა, კვ. a₁-b₁-c₁; ნაკვ. 223, კვ. a₁₀).

ამრიგად, სამხრეთ ფერდობის მთელ სიგრძეზე გამოიკვეთა ერთიანი კედელი (№ 13 გენ. გეგმაზე). მის აღმოსავლეთ კიდებუ ისახება რალაც სათავსო, რომლის ძირითადი ნაწილი ჭერ გაუთხრელ ფართობში შედის. გამოვლენილია სათავსოს სამხრეთი კედელი (1,30 მ სიგრძეზე) და სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე (სურ. 44, 45). სამხრეთი კედ-

ლის დასავლეთი კიდე მორღვეულია და ქვების გროვალაა ქვეული. სათავსო თირის ქვითაა ნაგები. წყობაში, რომლის ხუთი რიგია შემორჩენილი, თირის ბრტყელ გათლილ ქვებთან ერთად თითო-ორი და თეთრი კირქვის ბლოკიც ურევია-სათავსოს შიდა ფართობზე, რომლის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია შესწავილი, დადასტურებულია ჩაქვეული სახურავის ნაშთები—კრამიტყრილი, რომლის ქვეშაე ხანძრისაგან გაწითლებული თიხატყვინილი იატაკი არის ფეხსივარტული (ნაკვ. 223, კვ. a₁₀). კრამიტყრილი შეიცავდა დიდი რაოდენობით ადგილობრივი ბრტყელი კრამიტის ფრაგმენტებს (110 ფრაგმ.); ერთი კრამიტი თითქმის სრულად აღდგა (კატ. № 249, სურ. 60).

კედლის ძირითადი ნაწილი მოღწეულია თირში ამოკვეთილი ბუდეების სახით, რომლებიც ქვის კვადრების ჩასწყობად იყო განკუთვნილი. ზოგ მათგანში ქვები in situ შეგვხვდა კიდევ (ნაკვ. 221, კვ. f₈, h₈; ნაკვ. 222, კვ. c₈-d₈-e₈). ბუდეები ორ რიგადაა განლაგებული, მათი სავითო სიგრძე 26 მეტრს აღწევს. 222-ე ნაკვეთის კვ. a₇-ში გამოჩნდა მესამე რიგი, რომელიც შესაძლოა კონტრაფორსის ფუნქციას ასრულებდა. ბუდეები სწორკუთხა მოყვანილობისაა, აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე წყარტყლებული. მათი სიგრძე საშუალოდ 0,65 მ-ია, სიგანე—0,50 მ, სიღრმე—0,20 მ. ბუდეების ამ რიგების სამხრეთით დადასტურებულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიმართული კედლების ნაშთები (სურ. 46, 48).

ზედა ტერაპის სამხრეთ-დასავლეთ კიდეში ფეხსივარტულია თირში ამოკვეთილი სწორკუთხა ბუდე (220-ე ნაკვეთის f₄ კვადრატში), რომელშიც ქვიშაქვის კვადრებიც შეგვხვდა in situ. საერთო ხასიათით ის შეიძლება დაუკავშიროთ სამხრეთ თავდაცვით კედელს, თუმცა გეგმაზე ეს კავშირი არ იკითხება.

თავდაცვით სისტემასვე შეიძლება დაუკავშიროთ თირში ამოკვეთილ „ორმოსში“ (220-ე ნაკვეთის a₁-b₁-c₁ კვადრატები) აღმოჩენილი კედლის ფრაგმენტი (1977 წლის გათხრები), რომლის სიგრძე 1,40 მ აღწევს. მას პერანგული წყობა აქვს. პერანგსა და „ორმოს“ დასავლეთ კედელს შორის სივრცე რიყის დიდი ზომის ქვებით, ქვიშაქვის კვადრების ნატყხებით იყო ამოვსებული. კედლის პერანგის ამოსაყვანად „ორმოს“ სამხრეთ კედელზე 2 მეტრ სიმაღლეზე ამოკვეთილია საფეხურები. მათ

¹⁵ ნ. ხოშტარია. არქეოლოგიური გათხრები სოფელ ვანში 1947 წელს. მიმოხილველი, 1, თბ., 1949, გვ. 307.

ზედაპირზე კარგად ჩანს იარაღის კვალი (სურ. 49, 50).

ბორცვის ჩრდილო-დასავლეთი კედლის მთელ გაყოფაზე გამოწვლდა თირი (1974 წლის გათხრები). ამ ადგილს თავდაცვითი კედლის არაერთარი კვალი არ აღმოჩენილა. სამწუხაროდ, ძველი ქალაქის ეს ნაწილი ძლიერაა დაზიანებული, როგორც ჩანს, უპირატესად ახალი დროის სამშენებლო ქვის მძიმე მთა მიერ. საკმაოდ თხელი ჰუმუსირებული ფენა, რომელიც კედლის (თუ კედლების) ნაშთებს ფარავდა, მთლიანად გადათხრილია. ქვათილები ამოკაფილია ბუდეებიდან, ხოლო in situ მდგომარეობაში დარჩენილების უმრავლესობა გამოფიტულია ან დაშლილია. ბუდეებზე ამოკვეთილი იყო მიწით, რაც იმის მაუწყებელია, რომ ეს ადგილი დიდხანს იყო გამოშვლებული. ქვათილებსაც ატმოსფერული ზემოქმედების ძლიერი კვალი ეტყობა. ქვათილების ჩასაწყობად განკუთვნილი სწორკუთხა ბუდეებისა და გადარჩენილი წყობის ფრაგმენტების მიხედვით შეიძლება ვთავაზობდეთ, რომ ზედა ტერასის სამხრეთ ფერდობს მძლავრი გალენის კედელი (ან ერთ სწორ ხაზზე განლაგებულ შენობათა წყება) მიუყვებოდა. რაიმე ლოკივილი საწყისი ან დასასრული ამ კედლებისა, როგორც ვნახეთ, გამოვლენილი არაა. დასავლეთ ნაწილში არაფერი აღმოჩენილი და კლდეანი დედაქანის ზედაპირიც და ბორცვის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი კუთხეც იმდენადაა მონგრეული ან დეფორმირებული, რომ ქვათილებისათვის განკუთვნილი ბუდეების კვალიც კი წაშლილია. მხოლოდ ერთი ბუდეა გადარჩენილი 220-ე ნაკვეთის 14 კვადრატში. აღმოსავლეთი ნაწილი კი შედის ჯერ გაუთხრელ (ვენახით დაკავებულ) ფართობში. ქვათილების ბუდეებით შედგენილი ხაზი საქაბას ხევის პირს საშუალოდ 5 მ-თან დაეკლებული, აგვრან მათ შორის შემხრთებული კედლებია ფიქსირებული, რაც, შესაძლოა, იმას მოწმობდეს, რომ უშუალოდ ხევის პირაკვებულ ადგილზეა და ჩვენ მიერ ფიქსირებულ კედლებთან ერთად ქმნიდა მძლავრ სასამარო სისტემას. ე. ი. საფიქრებელია, რომ სამხრეთ ფერდობს გასუფუთავდა სასამარო კედლების ორი პარალელური რაგი, რომლებიც ერთმანეთს დაკლებული იყვნენ ახანაკლებ 5 მეტრისა. კედლებს შორის აგებული ტახტებიც კი ქმნიდნენ სათავსოებს, რომლებზეც კრამიტით იყო გადახურული.

ასეთი სათავსოს ნაშთი ფიქსირდება 222-ე ნაკვეთის 9-10-10-10-10 კვადრატებში. აქ გამოვლენილია ზემოთ ნახსენები ქვიშაქვის ქვათილებით შედგენილი წყობის ორი რიგი (4,60 მ სიგრძეზე) და მისი პარალელური კედელი, რომლისგანაც მხოლოდ თირში ნაკვეთი ბუდეები არის შემორჩენილი (სურ. 51, 56). კედლების ნაშთები ზედ საქაბას ღელის პირამდე აღწევს. შემორჩენილი წყობის გარეთა რიგი — პერანგი — ქვიშაქვის რუსტივანი კვადრებისგან შედგება, ხოლო შიდა რიგში თირის ქვიშაქვი ურევია. ქვეშ შორის სივრცე ქვიშაქვის ანატექციებითაა აზოვებული. კედლების ამ ნაშთებს შორის მოქცეულ ფართობზე, წყობის ზედაპირიდან 0,15 მ სიღრმეზე გამოვლინდა ჩაქცეული სახურავის ნაშთები — კრამიტური. კრამიტურის თავზე იდო და მასში შეყვანილი იყო შავი დამწვარი ფენა, რომელიც ხის ძელების ნაშთებს შეიცავდა. ხე კვადრატში აღმოჩნდა გათლილი თირის ქვა, რომელიც, ალბათ, კედლის წყობიდან იყო გაღობვარდნილი. კრამიტებს შორის შეჩურჩული იყო თიხის პურტლის ფრაგმენტები (ცოლხური ამფორის ძირი, სამზარეულო კერამიკის 11, თეთარგამიანი ამფორების 8 ნატეხი), რომლებიც ცეცხლში მოხვედრის კვალს ატარებდნენ — ზედაპირი გაშავებული ჰქონდათ. ცეცხლის კვალი კრამიტებზე ჩანდა (78 ფრაგმენტი). ნახანძრულ კრამიტურიდან ფენას მოსდევდა მოწითალო ალიზნარევი ფენა, რომელშიც ალაგ-ალაგ მოყვითალო-მონაცრისფრო თიხანარევი გროვები ჩანდა (იატაკის ნაშთი). ეს ფენა თირზე იდო.

მსგავსი სათავსო გამოიკვთა საზნაოთის თავდაცვითი კედლის დასავლეთ კიდზე. აქ, 220-ე ნაკვეთის K3—K6 კვადრატებში გავლენულმა პრილმა ასეთი სურათი მოგვცა: ჰრილს ჩრდილოეთ ნახევარში (კვ. K3—K4) თხელი კორღოვანი ფენის ქვეშ ნატივსფერი ფევიერი ფენა იყო (სიმძლავრე 1 მ), რომელიც შეიცავდა მცირე რაოდენობით კრამიტის ნატეხებს, ნახშირსა და ქვებს. რუხ ფენას მოსდევდა რიყის ქვებისა და კირქვის ანატექცივანი ფენა (სიმძლავრე 0,50 მ). ეს ფენა უშუალოდ დედაქანზე (თირზე) იყო დალექილი. ჰრილის სამხრეთ ნახევარში (კვ. K5—K6) კორღოვანი ფენას ენაცვლებოდა ნაშალი ალიზის ფენა, რომელშიც ჩანდა კრამიტების ნატეხები და ქვები. K6 კვადრატში ალიზის ფენა თირამდე აღწევდა (სიმძლავრე 0,50 მ). აქ მის ჩრდილოეთ საზღვარს ნა-

თალი თირის ქვების რიგი (წყობა?) ქმნიდა. K_4-K_5 კვადრატებში 0,35 მ სისქის ალოზის ფენის ქვეშ ვრცელდებოდა რუხი ფერის ფენა, ჩრდილოეც შეიცავდა კრამიტის ნატეხებს, დაწვარი ხის ნამკეცებს, რივის ქვებს (სიმძლავრე საშუალოდ 0,80 მ). თირის თავზე თირნარევი რუხი ფენა იყო (სიმძლავრე 0,40 მ).

ჭრილში ფიქსირებული ალოზის ნაშლისა და თირის თლილი ქვების რივის რაობის დასაფენად შესწავლილ იქნა 220-ე ნაკვეთის I_1-K_1 კვადრატები. კორდოვანმა ფენამ, რომელშიც შეეფუძლი იყო ცეცხლისგან გაქითლებული ნათალი ქვები, მცირე რაოდენობის მასალა მოგვცა: კოლხური ბრტყელი კრამიტების 11, სინოპური ბრტყელი კრამიტის 2 ფრაგმენტი, ყავისფერკეციანი ამფორის სამი ძირი, რკინის ლურსმნის ნატეხი. ნაყარი კორდოვანი ფენის ქვეშ, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,30—0,45 მ დონეზე გამოჩნდა ქვაყრილი, რომელიც სხვადასხვაგვარი შედგენილობისა და ინტენსივობის აღმოჩნდა. K_1-K_2 კვადრატებში ქვაყრილი არ იყო მძლავრი. იგი შედგებოდა რივისა და თირის ქვებისგან, აგრეთვე თეთრი კირქვის ანატექციებისგან. K_3-K_4 კვადრატის მიჯნაზე ქვაყრილის ინტენსივობა იზიდა. ამჟერად ყრილი მხოლოდ მცირე ზომის რივის ქვებისგან შედგებოდა. K_5 კვადრატში ქვაყრილი შეწყდა. აქ დამწვარი ფენის ქვეშ სტერილური თირნარევი ფენა დადასტურდა. K_6 კვადრატში ქვაყრილი კვლავ გაგრძელდა — ამ მონაკვეთში ის ქვიშაქვის ნატეხების ნაყარს წარმოადგენდა. ნაყარის გაწმენდამ გამოავლინა სათავსოს ჩრდილო-დასავლეთი კუთხე. ქვიშაქვის კვადრატით ნაგები წყობის ორი რიგია შემორჩენილი. სათავსოს ჩრდილოეთი ყედლის ფრაგმენტები ემზის თირის თლილი ქვების წყობას, რომელიც ჭრილში ჩანდა (სურ. 5!). აღსანიშნავია, რომ აქ საძირკვლის მოწყობის სასიმაგრო კედლის სხვა ნაწილებისგან განსხვავებული ამშენებელი ხერხია დადასტურებული — სამიურე-ლისთვის დედაქანში ბუდეები კი არ არის ამოყენილი, არამედ კედელი დევის კირქვის ანატექციებიან ფენაზე. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ამ ადგილას დედაქანი (თირი) მებნაკლებად ნიველირებულია, რაც აღარ იწვევდა კედლის მდგრადობის უზრუნველსაყოფად საფუძვალზე ბუდეების გამართვის აუცილებლობას. ქვის ცოკოლზე ამოყვანილი იყო ალოზის კედელი, რომელმაც ნაშლი ალო-

ზის მძლავრი ფენის სახით მოაღწია ჩვენამდე. ალოზის ფენაში აღმოჩნდა კოლხური ყავისფერკეციანი ამფორის სამი ძირი (კატ. №№ 341, 342, 343), ყავისფერკეციანი ქოთნის (კატ. № 344), შავპირილა ზედაპირიანი წამის (კატ. № 345), შვეულკედინი თეფხის (კატ. № 346), ფეხგამოყვანილი სასმისის (კატ. № 347), წითელლაკიანი ნახევარსფერული თასის (კატ. № 349), ნიშნინი კრამიტის (კატ. № 348, სურ. 34) და სხვა ფრაგმენტები.

ანატექციებში ფენაში, რომელშიც ჩადგმული იყო წყობა, წინარეელისტური ხანის კერამიკა დადასტურდა: რელიეფურქედებიანი შეზღუდინიანი ქვევრის თიხი, და დერგის ერთი ფრაგმენტი (კატ. №№ 714-716).

ამ ახალი მონაკვეთების საფუძველზე, როგორც ჩანს, უნდა გადაინიჭროს № 4 ნაგებობის თარიღი, რომელიც საზორველადა მიჩნეულია (№ 4 გენ. გეგმაზე, სურ. 99). საესებით აშკარაა, რომ ეს მცირე ზომის ნაგებობა აქ სასიმაგრო კედლის დანჯრევისა და სრული გაუქმების შემდეგაა აშენებული: ის აღმართულია თხანა ფენაზე (0,20 მ სისქის), რომელიც ფარავს ზემოაღწერილი ნაგებობას ნაშთებს.

ამ მონაკვეთზე, ზედა ტერასის სამხრეთ კიდეზე, ფენების შემდეგი მონაცვლეობაა ფიქსირებული: 0,10 მ სისქის კორდოვან ფენას მოსდევდა 0,40—0,45 მ სიმძლავრის ვადამწვარი ალოზის ამორფული მასა, რომელშიც პრეპარაციის დროს იახხებოდა ალოზ-აგურის ცალკეული კონტურები. მის ქვეშ მოქცეული იყო საშუალოდ 0,40 მ სისქის ფენა, რომელშიც სახურავის კამბიტა მრავალრიცხოვანი ფრაგმენტებით ერთად ერთმანეთში იყო არეული რივისა და თირის ქვები, თიხის ქურჭლისა და ბრინჯაოს სამკაულის ფრაგმენტები. კრამიტყრილის თავზე (221-ე ნაკვეთის i_6 და i_7 კვადრატები) ქვის ორი ზრგველი ბიოთვია ფიქსირებული. კრამიტყრილიანი ფენა დევის ქვიშაქვის (თირის) გავხვიერებულ მასაზე, რომელიც უშუალოდ კედლიდან დედაქანზეა დაფენილი. ამ ფენაში გვხვდებოდა მხოლოდ რივისა და თირის ქვები, აგრეთვე წინარეელისტური ხანის კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი.

18 თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ვანის ნაკლაპარი, თბ., 1973, გვ. 12; შტრ. Г. А. Лордкипანიძე. Алтари Ванского городища. Сб. «История и культура античного мира», М., 1977, зб. 108.

კრამიტერის პრეპარაციამ კრამიტების განლაგებანი რაიმე გარკვეული წესი არ დაადატერა. მხოლოდ ერთ მონაკვეთზე (221-ე ნაკვეთის 26 კვადრატში) შეიმჩნა თითქოს ერთგვარი კანონზომიერება: ერთ რიგად იყო განლაგებული ბრტყელი კრამიტები აქცილი კიდევებით ზემოთ, მეორენი კი — აქცილი კიდევებით ქვემოთ; თუმცა რიგებს შიგნით ეს კანონზომიერება ზოგჯერ დარღვეული იყო. კრამიტყარლი უპირატესად ბრტყელი კრამიტებისგან შედგებოდა (2561 ფრაგმენტ), აკცილებით იწვიათი იყო ღარიანი კრამიტები (181 ფრაგმენტი). ყოველივე ზემოთქმული იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ამ შემთხვევაშიაც საქმე გვაქვს გადახურვას იმ კონსტრუქციასთან, რომელიც დამოწმებულია ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე¹¹.

კრამიტერის იმპორტული კრამიტების — სინაპური სოლუნების — მხოლოდ 18 ფრაგმენტი აღმოჩნდა. დანარჩენი ფრაგმენტების კვეცი კი სავსებით ანალოგიურია ელინისტური ხანის კოლხური კრამიტული ნაწარმისა (ყავისფერკვიციანი ამფორების, საშარაურელი და სამეურნეო ქურჭლის და სხვ.); გამოშწარია უპირატესად ყავისფრად, ზოგჯერ მოწითალო ელფერი დაქარავს, შეიცავს კირქვის, პიროქსენის, ზოგჯერ კვარცისა და ქარსის მინერალებს. ჩვენამდე მოღწეული ნატეხების მიხედვით ბრტყელი კრამიტის კეცის სისქე მერყეობს 2,2—2,8 სმ-ს შორის, აქცილი კედის სიმაღლე 44—6 სმ-ია, სიგანე — 2—4,4 სმ. ღარიანი კრამიტის კეცის სისქე 1,5—3 სმ-ია. კალიბრების შიდა ზედაპირი, როგორც წესი, მოსწორებულია. ბრტყელი კრამიტის რამდენიმე ფრაგმენტზე ასოსმაგვარი ნიშნებია დადასტურებული X, Y, Z, P, ხოლო ერთ აქცილ კიდვზე თითოი ჟოსია გაკეთებული.

კრამიტყარლიანი ფენა საქმარდ მრავლად შეიცავდა ადგილობრივი და აგრეთვე შემოტანილი კრამიტის ფრაგმენტებს.

ადგილობრივი კრამიტია ამ ფენაში წარმოდგენილია ქვევრების, ამფორების, სუფრისა და სამზარეულო დანიშნულების ქურჭლის ნატეხებით.

შთლანი ქვევრის ალდგენა ვერ მოხერხდა. გეგუფებოდა მხოლოდ პირის გვირგვინის, მხრებისა და კედლების ცალკეული ფრაგმენტები, რომლებ-

ზეც სხვადასხვა ქურჭელს ეკუთვნოდა. პირის გვირგვინის ორი ნიმუში აღმოჩნდა. ერთი მათგანი ტიპურ ელინისტური ხანის ქვევრის ეკუთვნის — ოთხკუთხა განივკვეთიანი, უშუალოდ კედლის დაგბელებას წარმოადგენს, გარეთა ზედაპირი ვალარული აქვს. ღარები ფართოა და არაღრმა. კეცი ყავისფერია. ქვევრის პირის გვირგვინის მეორე ფრაგმენტს (კატ. № 350, სურ. 57) უშუალო ანალოგიები წინარეელნისტური ხანის მასალებში მოიებებნება. მართალია, ორნამენტო რამდენადმე განსხვავებულია — ფართოდ გავრცელებული ჭვარდინი ხაზების ნაცვლად აქ გვაქვს ერთმანეთის მიმართ სწორი კუთხით განლაგებული ხაზები, მაგრამ მისი შესრულების ტექნიკა (სავარცხლისეფერი იარაღის გამოყენება), განლაგება და საერთო იერი იგივე რჩება (შღრ. კატ. №№ 589, 686, 717, 745 და სხვ.).

ქვევრების კედლების ფრაგმენტების უმრავლესობა (43) შემკულია ფართო პირიზონტალური ღარებით, შავზედაპირიანია, ყავისფერკვიციანი. კეცს ვადანატეხი რუხი შერ გასდევს. კედლებს სისქე საშუალოდ 2 სმ-ია. გვხვდება აგრეთვე სადა შავზედაპირიანი ფრაგმენტები (13), რომელთა კეცის სისქე 2—1,5 სმ-ია. მათ ზოგჯერ ზედაპირის მოსწორების კვალი ეტყობათ. რამდენიმე (5) ფრაგმენტი გვაქვს შავზედაპირიანი ქვევრებისა, რომლებიც შემკულია წვრილი შვეული ქედებით. ქედებს შორის სუსტად გამოკვეთილი პირიზონტალური ღარები აქვს გამოყვანილი. კეცი ამათაც სამეფოვანი აქვთ — სარჩული ყავისფერია, ვადანატეხში ნაცისფერი შერ გასდევს. კეცის სისქე 1,4—1,9 სმ-ია. შიდა ზედაპირზე ყველა ფრაგმენტზე ჩანს ჩარხის კვალი. ქვევრების კედლებში კიდევ ერთი ვარიანტი გამოკვეთილია — წვრილი ქედებით შემკული, თხელი (1 სმ), ყავისფერკვიციანი ფრაგმენტები. სულ 13 ფრაგმენტი ასეთი. მათგან ოთხზე ქედებს შორის ღარებიც არის დატანილი. კრამიტერის ქვედა შრეში აღმოჩნდა ქვევრის კედლის ორი ფრაგმენტი, მოწითალო-ყავისფერკვიციანი, შემკულია ქედებითა და ღარებით. დაბოლოს, ერთი ნიმუში (კატ. № 351) სახით არის წარმოდგენილი წინარეელნისტური ხანის კომპლექსიან და კულტურულ ფენებში არაერთგზის დადასტურებული ქვევრების კედლების ფრაგმენტები, რომლებიც ერთმანეთში ჩასხული ნალისებური ქედებითაა შემკული (შღრ. №№ 527, 528, 595 და

¹¹ ვანი II, გვ. 26, სურ. 34.

სვ.) აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ფრაგმენტი აღმოჩენილია საკუთრივ კრამიტურალის ქვეშაშვი (კატ. № 529, სურ. 118), ნაშალი თირის ფენაში, ადრეანტიკური ხანის სხვა მასალებთან ერთად (№№ 515—573). სწორედ ამ ფენის დაზიანების შედეგად უნდა მოხვედრილიყო კრამიტურილიზის ნალსებურქედებიანი ფრაგმენტი, აგრეთვე ზემოთ ნახსენები პირის გვირგვინი (კატ. № 350) და ქვევრების კედლების ქედებიანი ნატეხები.

შემორჩენილია ქვევრის მხარის მხოლოდ ერთი ფრაგმენტი — შეგუნდაპირიანი, ყავისფერსაჩრულიანი, ირიბი ნაჭდევების ერთი რიგით შემკული. კიდევ უფრო მრავალრიცხოვანია ე. წ. ყავისფერკეციანი ანუ კოლხური ამფორის ნაწილები: კედლები, პირ-ყელის ფრაგმენტები (32), ყურები (93) და ქუსლები (47). ამ უკანასკნელთაგან მხოლოდ ორია ცილინდრული მოყვანილობის, ხოლო დანარჩენები დილისებური ფორმისაა, რაც ტიპიურია ვანის ნაქალაქარს ძვ. წ. II ს-ის დასასრულიდან და უპირატესად I საუკუნის პირველი ნახევრის კომპლექსებში (კარიბჭის ტაძარ-სამლოცველო¹⁸, მონაიუერიატაკიანი ტაძარი¹⁹, ალიზის კედლებიანი შინობა ცენტრალურ ტერასაზე²⁰) აღმოჩენილი ამფორებისათვის²¹.

ამფორებზე დადსტურებულია ნიშნები. ისინი, ჩვეულებრივ, გამოწვანდა ყელზე ამოკაწრული (კატ. №№ 353—355, 357, 358); ერთ შემთხვევაში ნიშანი ყურზეც გვხვდება (კატ. № 356). ასეთივე ნიშნებს მიეკუთვნება ყურების ძირითად ფოსოები და სეასტიკისებრი (?) გამოსახულება.

ადგილობრივი ამფორების კეცი ყავისფერია, სხვადასხვა ელფერის (მუქიდან ღია ყავისფერამდე); გვხვდება აგრეთვე აფორისფერკეციანი, წითელიყვითელი ფრაგმენტებიც. თიხა მსხვილპარცელოვანია, მინარეგებიანი (პიროჭენი, ქაჩი, კრქვა). ფრაგმენტების უძრავლესობას ცეცხლში მოხვედრის კვალი ემჩნევა — ზედაპირი გამაყვებულია.

სამზარეულო დანიშნულების კერამიკა ქვაბ-

ქოთნების რამდენიმე სახეობით არის წარმოდგენილი. ქვაბების ორი ვარიანტი გვაქვს²². ქარბოზს გვიანდელი (ძვ. წ. I ს.) ვარიანტი (პირ-კედლის 13 ფრაგმენტი), რომელიც ხასიათდება დაბრტყელებული პირის კილით, პროფილირებული ტანით, ბრტყელი ძირითა და პირის ცილდსთან მიძერწილი ცრუ-ყურებით (კატ. № 364, 365, სურ. 59, 63). ქვაბის პირ-კედლის 2 ფრაგმენტი (კატ. № 366, 367, სურ. 59, 63) ადრეულ (ძვ. წ. III—II სს.) ვარიანტს მიეკუთვნება, რომელიც ძვ. წ. I საუკუნის ნაწილებსაგან მხოლოდ გარეთ გადმოშლილი პირის კილით განსხვავდება. ქვაბების აღნიშნული ვარიანტები ბერძნული კერამიკის ადგილობრივ მინამბეზად არის მიჩნეულნი²³.

კრამიტურილიზ აღმოჩნდა ხუფების 7 ფრაგმენტში, რომელთაც სადა კიდევ, დახრილი კალთა და ცენტრში ცილინდრული თავი აქვთ. მათ ზემოთ განხილულ ქვაბებს უკავშირებენ²⁴. ქვაბებსა და ხუფების ფრაგმენტების ზედაპირი, როგორც წესი, გამაყვებულია.

ქოთნების პირ-კედლის 38 ფრაგმენტი ანაკოვნი. მათი უზრავლესობა (32 ფრაგმენტი) მიეკუთვნება გარეთ გადმოხრილიდან, დაბალყვლიან, მომრავლებულტანთან ქოთნებს. გვხვდება დაბალყვლიანი ქოთნების სხვა ვარიანტიც, რომელსაც პირის კიდე არა აქვს გარეთ გადმოხრილი (მაგ, კატ. № 368, სურ. 59).

ელინისტურ ხანაში ამ ფართოდ გავრცელებული ქოთნების გვერდით კრამიტურილიზი ფიქსირებულია წინარეგონისტური ხანის ქოთნის პირ-ყელის ერთი ფრაგმენტი (კატ. № 369, სურ. 59 — შდრ. ბათქალბიან ნაგებობაში აღმოჩენილი ფრაგმენტი № 804, სურ. 162).

კრამიტურილიზში მოპოვებულ მასალაში საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა ქოთნების ძირები (75). ჩვეულებრივ ისინი ბრტყელია. გამოირჩევა ორი ძირი. ერთ მათგანზე სუსტად გამოკვეთილი ქუსლია (კატ. № 371). მეორე (კატ. № 370, სურ. 60) მასიურია, სქალკეციანი და გარჯად ქუსლის შობებუქვილებას ტოვებს (გრუ-ქუსლი). ფრაგმენტე-

¹⁸ ვანი I, გვ. 157, სურ. 111₂.

¹⁹ ვანი I, გვ. 176—179.

²⁰ ვანი II, გვ. 26.

²¹ საერთოდ ღალსებურა ქუსლი ითვლება ძვ. წ. III— I სს-ის კოლხური ამფორების დამახასიათებელ ნიშანდ (შდრ. ა. ჯახაძე. კრამიტურილიზი ფიქსირების ანტიკური ხანის ნაქალაქარადან. სსსს, II, თბ., 1971, გვ. 60—61).

²² ვანის ადგილობრივი კერამიკის ნ. მათიშვილისეული კლასიფიკაციის XVII და XVIII ტიპები — თბ. ნ. მათიშვილი. ელინისტური ხანის ადგილობრივი კერამიკა ვანიდან. შსსა, V, თბ., 1973, გვ. 61—62, ტბ. II₁₈, 18, V₁₀.

²³ ნ. მათიშვილი, ი. დასაძე, ნაშრ. გვ. 61.

²⁴ იქვე, გვ. 61, ტბ. II₉, V₉.

ბის უმრავლესობა ყავს ჯერ კეციანია, თითო-ორ-ო-ლა შავკეციანი ნატვხე ურევია. უმრავლესობის ზედაპირი შებოლილია.

ქოთნების შიდაქრონოლოგიური კლასიფიკაცია წერტილობით არ ხერხდება და ელნისტური ხანის ადგილობრივი კერამიკის ეს ჯგუფი ზოგადად ძვ. წ. III—I საუკუნეებით თარიღდება²⁵.

სუფრის ქურჭული წარმოდგენილია თუშების, ჯანების, სასისებისა და დოქების ფრაგმენტებით. თუშის პირ-კალთის ერთი ფრაგმენტი (ჯატ. № 372) და ოთხი ძირი (ჯატ. №№ 373—376). პირი სწორი კუთხით არის ზემოთ აყეცილი, კალთა დახრილია; ძირები ბრტყელია, წრფულქუსლანები. ქუსლების დიამეტრი 10—15 სმ-ს შორის მერყეობს. თუშები წითლად არის გამოწვარი. როგორც წესი, ზედაპირი გამრიალებულია, ხოლო ერთ შენთხევეთში (№ 376) — წითელი საღებავით არის დაფარული. სამი ძირის ქუსლშიდა ზედაპირზე გამოწვამდე ნიშნებია ამოკაწრული. №№ 274 და 375-ზე ჭკობებია (ასო X⁷), ხოლო № 376-ზე ჭკობთან ერთად კიდევ ბერძნული ასოს „ფაუს“ მაგვარი ნიშნებია დატანილი (სურ. 60, 61). ნიშნებს მიეღი ქუსლშიდა ზედაპირი აქვთ დაკავებული. № 373-ის ქუსლის საყრდენ ზედაპირზეც პატარა ჭკობია ამოკაწრული.

განსწორული თუშების ანალოგიური ფრაგმენტები ვანის ნაქალაქარის ძვ. წ. I საუკუნის ფენებში არის დამოწმებული. ისინი მოკვანალობით ელნისტურ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ წითელ-ღვავაკიან თუშებს ენათსავებებიან და მათ წარმოემან ბერძნული გავლენის უკავშირდებიან²⁶.

ჭამების ფრაგმენტებში (29) ორი სახეობა გამოიყოფა: ა) ბრტყელძირა, ირბაქლოთიანი, დაბრტყელებულია და (ჯატ. № 377, 378) და ბ) წრიულქუსლიანი, ირბაქლოთიანი, შიგნით პირგადახრილი (ჯატ. №№ 379—382). როგორც წესი, ჭამებს გაკრიალებული ზედაპირი აქვთ, გამოწვალისია მხოლოდ № 380, ხოლო ერთი ჭამის ძირზე წითელი საღებავი არაა შეგრჩენილი (ჯატ. № 381). ქუსლიანი ჭამების ქუსლშიდა ზედაპირზე ასომგავარი ნიშნებია არის ამოკაწრული (სურ. 60, 61). თუშების ძირებზე არსებული ნიშნებისაგან ისინი მცირე ზომებით განსხვავდებიან. ბრტყელძირა ჭამებს აღრე-

ელნისტურ ხანის აკუმენებენ, ხოლო ქუსლიანებს — ძვ. წ. III—I საუკუნეებით თარიღდებიან²⁷.

სასმისებში ორი ნირსახეობა შეიძლება გამოიყოს. ერთი მათგანი (ჯატ. № 383) ფორმით წინამორბედი ეპოქის კოლხური მეთუნეობის ტრადიციებს აგრძელებს, ეკლძოდ, ცილინდრულხანის სასმისებს ემსგავსება; ზედაპირის დამუშავებაში კი სიხალეს ირჩეს — საყრცებურად გაკრიალებული შავი ზედაპირი შავი ლავის იმიტაციას წარმოადგენს. სასმისების მეორე სახეობა (ჯატ. № 334, 385) ფორმით ბერძნული თიხის ქურჭლის — კანთაროსის — მინაბაძია. ერთ-ერთი ნიმუშის (ჯატ. № 384) ზედაპირი კოლხური კერამიკისათვის მანამდე უცხო ტექნიკითა და მუშავებული (შავი ლავის მიბაძვა) პირველი სახეობის მსგავსად. უნდა აღინიშნოს, რომ სასმისების განხილული სახეობები მხოლოდ თითო-ორივე ნიმუშის სახით გვხვდება ვანის ნაქალაქარზე. ისინი ძვ. წ. I საუკუნის კომპლექსში არიან ფიქსირებული²⁸ და, შეესაბამისება, გვიანელისტური ხანით თარიღდებიან²⁹.

დოქების ფრაგმენტებში ორი ძირითადი ჯგუფი გამოირჩევა. პირველი მიეკუთვნება ძვ. წ. III—II საუკუნეებში გავრცელებულ დოქებს³⁰, რომელთა პირდაპირ დამომსახილველია გაერთიანებული ყელი, სფეროსებური კორპუსი, ბრტყელი ძირი და უშუალოდ პირის კიდევ მიძერწილი მრგვალი ყური (ჯატ. № 386, სურ. 62). მეორე ჯგუფს შეადგენს წითელი საღებავის ზოლებით შეჭმული დოქები (ჯატ. №№ 387—398, სურ. 62), რომელთა წარმოების ხანად ძვ. წ. II საუკუნის დასასრული და ძვ. წ. I საუკუნე არის მიჩნეული³¹.

თიხის ქურჭლის ზემოთ აღნიშნულ ფრაგმენტებს გარდა ადგილობრივი კერამიკული ნაწარმი წარმოდგენილია ერთი პირამიდული საწაფთია (ჯატ. № 399) და ტერაკოტული ნიღბის ფრაგმენტებით (წებები? — ჯატ. № 400, სურ. 63).

იმპორტული ნაწარმი შედარებით მცირე რაოდენობით არის აღმოჩენილი კრამიტყარისში. ამფო-

²⁷ იქვე, გვ. 59, ტაბ. II, V₁; II, V₂.

²⁸ ვანი I, გვ. 159, სურ. 113, 116.

²⁹ ნ. შათოშვილი, დასა. ნაშრ., გვ. 58, ტაბ.

II, 4.

³⁰ იქვე, გვ. 53—54, ტაბ. I.

³¹ იქვე, გვ. 54.

²⁵ ნ. შათოშვილი, დასა. ნაშრ., გვ. 61.

²⁶ იქვე, გვ. 60—61.

რების ფრაგმენტებს შორის უფარესია ე. წ. ჩაჩისებურაძირიანი (ჯატ. № 404, სურ. 64) და სოლოხა I-ის ტიპის (ჯატ. № 401, სურ. 65) ამფორების ნატეხები, აგრეთვე ამფორების ძირები (ჯატ. № 405, 406), რომლებიც ძვ. წ. IV—III საუკუნეებით თარიღდებიან. როგორც ცნობილია, ჩაჩისებურაძირიანი ამფორების წარმოების ერთ-ერთ ცენტრად ქიოსი არის მიჩნეული³², ხოლო სოლოხა I ტიპის ამფორების წარმომავლობის საკახზე ჭერჭერობით ვაუროვებელია³³. ამფორის ძირი № 406 (სურ. 64) მოყვანილობით ჰგავს ძვ. წ. IV—III სს. კოსის ამფორებს³⁴, თიხა კი არ არის კოსისთვის ტიპური — მოწითალოა, თეთრი კირქვის მინარევებიანი. მაგრამ, როგორც ი. ზეგტილი აღნიშნავს, კოსის ამფორების დასაშვადლებლად რამდენიმენაირი თიხა იხმარებოდა³⁵. და შესაძლოა, ჩვენი ფეხგმლარიც ერთი იმათგანია. ასევე ძვ. წ. IV—III საუკუნეების კოსის ამფორის ძირს ემსგავსება № 405 (სურ. 67)³⁶. კოსის ამფორები უფრო გვიანდელი (ძვ. წ. III—II სს.) ნიმუშებითაც არის წარმოდგენილი (ჯატ. №№ 407, 409, სურ. 64, 65)³⁷. როდოსული ამფორების ყურების 2, კედლების 9 და ყელ-პირის ერთი ფრაგმენტიცა ფიქრობილია. ერთ-ერთ ყურზე (ჯატ. № 410) სწორკუთხა დაშლის ნაწილი არის შემორჩენილი; იკითხება მხოლოდ ორი პირველი ასო — ΘΕ. უფრო მოყვანილობის მიხედვით ძვ. წ. III—II სს. უნდა მიეკუთვნოს³⁸. ასევე თარიღდება როდოსული ამფორის ყელ-პირის ფრაგმენტიც (ჯატ. № 402, სურ. 65). ყველაზე გვიანდელია ძვ. წ. II—I სს. იტალიური ამფორის პირ-ყელს ფრაგმენტი (ჯატ. № 403, სურ. 66)³⁹. მცირე ზომის ამფორის ძირის ნატეხი (ჯატ. № 408), რომელსაც თავმომრგვალე-

ბული კონუსისებური ძირი აქვს, ზოგადად ელინისტურ ხანას მიეკუთვნება; მისი წარმოების ცენტრი უცნობია.

იმპორტული კერამიკის მეორე, უფრო მრავალრიცხოვან და ამავე დროს მრავალფეროვან ჯგუფს ქმნის სუფრის ჭურჭელი. მასში გაერთიანებულია ულაკო, სადა ლაქიანი, მოხატული და რელიეფფორნამენტისანი კერამიკა. სადა (ულაკო) ჭურჭელი ვარდისფერკვციანი დოკების ძირებით (ჯატ. №№ 411, 412) არის წარმოდგენილი. ეს ძირები ერთმანეთის ზუსტ ანალოგიას წარმოადგენენ. მათთვის დამახასიათებელია მომრგვალებული ფორმა, წრიული, ოთხკუთხა განიკვეთიანი ქუსლი, გამობერილი ქუსლშიდა ზედაპირი (სურ. 65).

შელაქიანი კერამიკა 14 ფრაგმენტითაა წარმოდგენილი; ყველას ნატირფერი კეცი აქვს თიხა კარგად არის განლევილი, ოდნავ ქარსნარევი. ლაკი მქრქალია, მხოლოდ ალაგ-ალაგ არის შემორჩენილი. შეუელებიანია, ბრტყელძირა, წრიულქუსლიანი ლანგებური 12 ფრაგმენტია. აქედან 7 ერთსა და იგივე ჭურჭელს ეკუთვნის (ჯატ. № 413, სურ. 65). დანარჩენი ორი შელაქიანი ფრაგმენტიდან ერთი — თასის ძირია (ჯატ. № 414, სურ. 65), მეორე (ჯატ. № 415) — სფეროსებურტიანი ჭურჭელის კედლის ნატეხია. უფრო მრავალრიცხოვანია (38 ფრაგმენტი) წითელლაქიანი კერამიკა: ძვ. წ. II საუკუნის დასასრულთა და ძვ. წ. I საუკუნის დასაწყისით დათარიღებული ჩალსფერკვციანი ლანგები⁴⁰ (ჯატ. №№ 416—420), რომელთაც შეეული კიდე, ბრტყელი ორნამენტირებელი (ნატვიფრი პალმეტები ან ირბი ჭდეებისგან შემდგარი წრებები) ძირი, ტრაპეციისებური განიკვეთის წრიული ქუსლი აქვთ (სურ. 65); ძვ. წ. I საუკუნის თეთრქვიანი თევზები (ჯატ. № 421); ძვ. წ. II საუკუნის პირველი ნახევრის თევზები, რომელთაც მომრგვალებული ძირი და პროფორირებული წრიული ქუსლი აქვთ⁴¹ (ჯატ. № 422, სურ. 65); ყავისფერკვციანი ნახევარსფერული თასები (ჯატ. №№ 423—425), რომლებიც კონუსური მოყვანილობის ძირებით გვიანდელ ნიმუშებს ემსგავსებიან⁴²

³² И. Б. Зеест. Керамическая тара Боспора. МИА, 83, М., 1961, გვ. 79, ტაბ. V, 1.

³³ И. Б. Зеест, დასახ. ნაშრ., გვ. 91, ტაბ. XIV—XVI, 32.

³⁴ იქვე, ტაბ. XXIV, 53.

³⁵ იქვე, დასახ. ნაშრ., გვ. 105.

³⁶ შდრ. И. Б. Зеест. დასახ. ნაშრ., გვ. 106—107, ტაბ. XXIV, 53.

³⁷ შდრ. И. Б. Зеест. დასახ. ნაშრ., გვ. 105, ტაბ. XXIV, 51.

³⁸ შდრ. И. Б. Зеест. დასახ. ნაშრ., გვ. 102—103, ტაბ. XXIII, 49.

³⁹ И. Б. Зеест. დასახ. ნაშრ., გვ. 109, ტაბ. XXVII, 63.

⁴⁰ მ. მათიაშვილი. წითელლაქიანი კერამიკა. კახეთი, 1976, გვ. 96—98, სურ. 123, 125, 126, 127.

⁴¹ მ. მათიაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 101, სურ. 129.

⁴² იქვე, გვ. 99—100.

(სურ. 65); ორყურა ჯამი⁴³ (ჯატ. № 426), რომლის ხნაებაში შემოკლდნ თარიღად ძვ. წ. I საუკუნის მეორე მეოთხედი ივარაუდება⁴⁴; ფეხვაშოყვანილი სასმანები (ჯატ. №№ 427, 428, სურ. 65), დოქი (ჯატ. № 429, სურ. 65), „მეჭექებიანი“ თასი (ჯატ. № 430). ბოლო სამი სახეობის განსაზღვრა-დათარიღება ფრაგმენტულობის გამო მწეღდება.

სადა წითელლაკიან კერამიკასთან ერთად კრამიტურაში აღმოჩნდა ერთი წითელლაკიანი სასმისი (ჯანთარისი), რომელიც შემკულია ნაყაწრი და თეთრი ზედნადები საუბავით გამოყვანილი ორნამენტით (ჯატ. № 431, სურ. 67). მსგავსი სასმისი აღმოჩენილი არას მირეკიერში. მას ძვ. წ. II საუკუნით ათარიღებენ და ატიჟურ ნაწარმად მიიჩნევენ⁴⁵.

როგორც აღინიშნა, კრამიტურაში რელიეფურორნამენტური კერამიკაც აღმოჩნდა.— ე. ა. პერგამული თასების კედლების 6 ფრაგმენტი, სურს ფოთლებისა და ნაყოფის გამოსახულებით შემკული. ამ ფრაგმენტებს შორის ორი სხვადასხვა ტურპული შეიძლება გამოვარჩიოთ. ორივეს წითელლაკიანი შუა ზედაპირი აქვს. № 433-ს⁴⁶ გარეთა ზედაპირი შავი ლაკით აქვს დაფარული, ხოლო № 432-ს — მოყავისფრო ლაკით. ფოთლების მოყვანილობის (წაწვეტებული) მიხედვით კერამიკა ეს ჯგუფი ძვ. წ. I საუკუნეს უნდა მივაყოთ. უნდა ითქვას, რომ წითელლაკიანი თეფში (ჯატ. № 422), ფეხვაშოყვანილი თასი (ჯატ. № 427), „მეჭექებიანი“ თასი (ჯატ. № 430) კეცი-თა და ლაკით პერგამულ რელიეფურორნამენტური თასებს გვანან. ეს საუბუქვეს გვაძლევს, რომ მათი წარმოების ცენტრად პერგამონი ვივარაუდოთ.

შემოტარული თიხის ტურპლის მესამე ჯგუფს — სანელსაკებულ ტურპული — ქმნიან ამფორისკები (ჯატ. №№ 434—436, სურ. 64). გარდა კარალო-

გიზირებული სამი ძირისა, აღმოჩენილია ამფორისკების კედლების ფრაგმენტები, რომელთა მცირე ზომა ფორმის აღდგენის საშუალებას არ იძლევა. ცილინდრული ყელის ფრაგმენტი № 435 ამფორისკის უნდა ეუთვინოდეს.

კრამიტურაში აღმოჩნდა ტერაკოტული ნიღბის სამი ფრაგმენტი, რომლითაც აღდა ქალის სახის თათქის ნახეური (ჯატ. № 437, სურ. 68).

კრამიტურაში ნაბოვნია აგრეთვე ბრინჯაოს ზურგფარევილი სამაჭური (ჯატ. № 439), ქინძის-თავის ფრაგმენტი (ჯატ. № 440) და მინის ცილინდრული მძივი (ჯატ. № 438).

აქ ვახსილული მასალა, ძირითადად, ზემოაღწერილი სასიმაგრო ნაგებობის ცხოვრების უკანასკნელ ეტაპს უკავშირდება: იგი იმ ფენის შემადგენელი ნაწილია, რომელიც უშუალოდ ნაგებობის განადგურების პროცესშია წარმოქმნილი. როგორც ვახსოვთ, სტატისტიკის მიხედვით, მასალის აბსოლუტური უმრავლესობა ძვ. წ. II ს. დასასრულითა და I ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება. მხოლოდ ერთი უფრო ფრაგმენტები განეკუთვნება უფრო ადრეულ ეპოქებს. ამიტომაც ამ ნაგებობის ნგრევა ძველი ქალაქის ძვ. წ. I ს-ის შუა ხანებში დაიწყო-განადგურებას უკავშირდება. უფრო რთულია ამ ნაგებობათა მშენებლობის ზუსტი თარიღის განსაზღვრა. სტრატეგოგოგიული მონაცემებით ამ კედლებს ჩაჭრილი აქვთ ძვ. წ. III ს-ის პირველი ნახევრის საშარბი (№ 12). ამიტომ კედლების მშენებლობა უნდა ვივარაუდოთ არა უადრეს ძვ. წ. III ს-ის შუა ხანებს, უფრო კი ძვ. წ. III ს-ის მეორე ნახევარში ან მის მიწურულს, როდესაც იწყება ქალაქის ისტორიის მესამე ეტაპი⁴⁷.

ამავე ხანებში უნდა იყოს აგებული ზედა ტერასის სხვა უმთავრესი ნაგებობანი, რომელნიც ნინო ხოშტარის ხელმძღვანელობით განხორციელებული სამშოვაობის დროსა აღმოჩენილი, მაგარამ ჰაშონ, როგორც ჩანს, ზოგიერთი მთავანის მარცხ, მთლიანად შესწავლა ვერ მოაჯერდა.

7,3. პირველ რიგში აღსანიშნავია არქიტექტურული კომპლექსი, რომელიც ზედა ტერასის (და საერთოდ ზორკის) ყველაზე მაღალ ნაწილშია (ნაკვეთი 209, სურ. 2,38) გამოვლენილი.

ამ ფართობზე არქეოლოგიური სამშოვაოები ჩატარდა 1947—1961 წლებში. აღმოჩნდა საფეხუ-

⁴³ საეულ დოკუმენტაციით ეს ქამი ორი ნომრით არის გარტარებული — № 07 : 1—74/120 და № 07 : 1—74/191.

⁴⁴ ნ. მათიაშვილი. დასახ. ნაწკ., გვ. 100, სურ. 124, 128.

⁴⁵ K. Michalowski. Mirmekl, Wr., 1956, ტაბ. VI.

⁴⁶ საეულ დოკუმენტაციით ეს თასი ორი ნომრით არის გარტარებული — № 07 : 1—74/140 და № 07 : 1—74/135.

⁴⁷ И. Г. Шургая. Позднеллинистическая рельефная керамика из Мирмеки. КСИИ, 95, М., 1963, გვ. 111, სურ. 2.

⁴⁸ ით. ლორთქიფანიძე. ვანის ნაქალაქარი 2, „ვანი III“, გვ. 22.

რებიანი ნაგებობა — კიბე და მასთან დაკავშირებული შენობის კედლის ნაშთები (საეკლესიო დოკუმენტაციით ნაგებობა № 1), სწორკუთხა სათავსოს წიბო ნაგებობა კედლები (ნაგებობა № 2, სურ. 69—76) და კულტურული ფენები⁴⁹.

1974 და შეზღვევი წლებში განხორციელდა საფეხურებიანი ნაგებობისა და მთელი მისი მიმდებარე ფართობის (საყვეთი 209) ხელშეობრე პრეპარაციისა და გათხრების ნაწილების არქეოლოგიური შესწავლა. ეს სამუშაო მიზნად ისახავდა დაგვედგინა: ა) „კიბეების“ კავშირი მის დასავლეთით გამოვლენილ კედლებთან, რომელთაც განსაზღვრავდა, ან როგორც ერთიან შენობას⁵⁰, ან მიიჩნევენ ორ დამოუკიდებელ ნაგებობად (ტაძარი და მის წინ აღმართული საკურთხეველი)⁵¹.

ბ) კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი ქვაბულის (სურ. 2, № 8) კავშირი № 1 ნაგებობასთან⁵². 1974—1977 წლებში ჩვენ მიერ ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოებისა და აგრეთვე ნიხო ხოშტარის არქივში დაცული საველე დოკუმენტაციის (დღიურები, ფოტო და გრაფიკული ილუსტრაციები, არქიტექტურული ანაზომები) შესწავლის საფუძველზე დადგინდა მთელი წყება დეტალებისა, რომელთაც მშენებლობის კონსტრუქციის შექმნა არსებულ შეხედულებებში ამ კომპლექსის არქიტექტონიკის, ფუნქციისა და დათარიღების შესახებ.

№ 1 ნაგებობის ადრევე გამოვლენილ სამხრეთით კედლის ნაწილთან ერთად ფიქსირებულია მისი პარალელური ჩრდილოეთი კედლის ფრაგმენტებიც (ცალკეული ქვათილები და ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე) და რაც მთავარია, აღმოსავლ-

ით კედლის სამხრეთ მკვეთრი ხაზი (ასევე „ბუდეები“ და ცალკეული ქვათილებით წარმოდგენილი), რომელიც უშუალოდ ეკვრის „კიბეებს“ და მოწმობს, რომ „კიბეები“ და მის დასავლეთით გამოვლენილი კედლის ნაშთები ეკუთვნის ერთ მთლიან შენობას! (სურ. 77—82).

კედლებს შორის სივრცის პრეპარაციამ დაადასტურა ამ ფართობზე ორი ჯვარედინსებურად ურთიერთდაამკვეთი თარში ამოკვეთილი „არხის“, რომელიც შემოსხმებულია (№ 1 შენობის სარდაფად თუ კრატად მიიჩნეული) ქვაბულისკენა მიმართული (სურ. 82, 83, 87, 91). ამასთან დადგინდა, რომ ერთ-ერთი არხი გადის № 1 ნაგებობის აღმოსავლეთი კედლის, კიბეების და აგრეთვე № 2 ნაგებობის სამხრეთ და აღმოსავლეთ კედლებს ქვეშ (სურ. 89—91). ამავე დროს, „არხის“ ზედაპირისა და კედლებს შორის სივრცე საგანგებოდ ჩაყრილი დანაყილი თირითა და თიხა-მიწითაა ამოვსებული, რაც იმის მოწმობაა, რომ ეს არხი ამოკვეთილი იყო და ფუნქციონირებდა № 1 და № 2 ნაგებობების ამენებამდე! ანალოგიური სურათი დადასტურდა სხვა შემთხვევაშიც. მეორე არხი, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენა ორიენტრებული და უშუალოდ ქვაბულთანაა დაკავშირებული, ასევე ამოვსებულია საგანგებოდ დატყვნილი დანაყილი თირითა და თიხა-მიწით, რომლის ზედაპირზე ფიქსირებულია in situ № 1 ნაგებობის ქვათილები (სურ. 85—88), ხოლო „არხებისა“ და ქვაბულის ნაპირებზე — ქვათილების ჩასაწყობად განკუთვნილი ბუდეები (სურ. 84). ამრიგად დადგინდა, რომ კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი ქვაბული და მასთან დაკავშირებული ურთიერთდაამკვეთი არხები გაუქმებულია კიბეებისა და სივრთოდ № 1 და № 2 ნაგებობათა მშენებლობის დროს. ამიტომ შეუძლებელია კლდოვი ნაყვეთი ქვაბულს № 1 ნაგებობის თანადროულად და მის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა. როგორც შემდგომში შესწავლამ ცხადყო, ეს ქვაბულიცა და არხებიც ამოკვეთილია და ფუნქციონირებენ წინარე ელარისტურ ხანაში (რის შესახებ დაწვრილებული ქვემოთ იქნება საუბარი, იხ. გვ. 36), ელარისტურ ხანაში კი ახალ დიდ მშენებლობასთან დაკავშირებით ხდება ამ არხების თიხა-მიწით ამოვსება და ამ ადგილზე აღიმართება მონუმენტური ქვის ნაგებობა.

ეს ახალი ნაგებობა წარმოადგენს საზეიმო სა-

⁴⁹ გამოქვეყნებულია მოკლე წინასწარი ანგარიშები — იხ. შენიშვნა 2.

⁵⁰ Н. В. Хоштариа. Археологические исследования... с. 151: «лестница вела в первый надземный ярус сооружения...».

⁵¹ Г. А. Лордкипанидзе. Алтари Ванского городища. с. 106: «...раскопками выявлены развалены прямоугольного в плане храма и связанного с ним ступенчатого церемониального алтаря IV—III вв. до н. э. Алтарь возвыгнут у средней части 15-метровой стены монументального храма на расстоянии всего 0,50 м...» შტრ. კოტ. ლორთქიფანიძე. ვანის ნაქალაქარი I, «ვანი I», გვ. 35.

⁵² ჩვეულებრივ ქვაბული განიხილებოდა როგორც № 1 ნაგებობის თანადროული და მისი შემადგენელი ნაწილი (მონუმენტული სასაფლაო) — Н. В. Хоштариа. Археологические исследования... с. 151.

კრთხვევს: ქვათლილებით მოგებულ სწორკუთხა მოედანს, რომელსაც აღმოსავლეთიდან ზუსტად შეამო ედგმობა კიბე.

აქვეადა კიბის 7 საფეხურია გადარჩენილი. მაგრამ, როგორც ნინო ხოშტარიას არქივში დაცული ფოტოენჭატიდან ირკვევა, თავდაპირველი გათხრებისას ფეხაბეზულია 8 საფეხური: 1947—51 წწ. გამოვლინდა შეიდი, რომელთაგან 6 კარგად იყო შემონახული (უკლებლად ყველა ქვით), ხოლო ბოლო სამეტრიდან მხოლოდ ორი ქვა იყო დარჩენილი (სურ. 69). შემდგომ, როგორც ჩანს, ზედა საფეხურის ეს ორი ქვა კიბეებს მოსცილდა და გამოთხველებს აღარ დახვედრიდა, მაგრამ 1952 წელს გათხრებისას გამოვლინდა საფეხურების კიდევ ერთა — სულ ქვედა რიგი. ასე რომ, სულ დამრჩეპებულია 8 საფეხური და ამიტომაც ნინო ხოშტარია თავის წინასწარ ანგარიშებშია ყველგან აღნიშნავს 8 საფეხურს⁴⁴. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ თავის ღრობე კიბეს კიდევ ჰქონდა ერთა — მეცხრე საფეხური (რამდენადაც ძველი ხალხების წააზოდგნოთ, ზედა საფეხურზე მარჯვენა ფეხით ატლვა გამარჯვენისა და კეთილი ნების მომარწავებლად თოვლებოდა), მაგრამ მისი არაეითარი ნიშნია არ ჩანს.

კიბე უშუალოდ კედლვან დედაქანზე კი არაა ანუყვანილი (როგორც № 1 ნაგებობის უმთავრესი კედლები და საერთოდ ელინისტური ხანის ენის ნონუნენტური ნაგებობანი, არამედ დანაყილი თორთო და თიხაყიით მოქმედი მოედანზე, რომელი სანუნებელი ქვის ანატექციებთან მოფენილი. ამ თახატყენლით კვლოვანი დედაქანის ზედაპირია ნინეღრებული (ამიტომაც კიბეებს ქვეშ ეს ფენა სხვადასხვა სისქისაა — იხ. სურ. 71, 78). კიბის პირეღლი საფეხურის შემადგენელი ქვათლი-

ლები სხვადასხვა ჰიმალისაა, ხოლო თიხატყენილისა და ქვეებს შორის ადგილები რიყის ქვებითაა შეყსებული და გამარებული.

კიბის საერთო სიმაღლე (მერვე საფეხურის გათავლისწინებით) მერის ზედაპირიდან 1,70 მ უნდა ყოფილიყო. პირეული საფეხური 7 ქვათლილითაა შედგენილი. მისი სიგრძე 2,90 მ-ია, სიმაღლე — 0,27 მ, ხოლო სიგანე (ასიათრული ნაწილისა) — 0,35 მ. ნაყტნიდან პირეულ ქვათლილზე ჩანს არაბრმა მარჯევი, რომელსაც დანარჩენი საფეხურები უსწორედება.

დანარჩენი საფეხურების სიგრძე საშუალოდ 2,70 მ-ია, სიმაღლე — 0,20 მ, ხოლო სიგანე — 0,34 ან 0,35 მ⁴⁵.

კიბეები საყმაოდ კარგადაა ნაგები, საფეხურები შედგენილია კარგად დამუშავებული ქვათლილებისაგან, რომელთაგან ზოგიერთი რუსტირებულია (ჩრდ. და სამხრ. საფასადო ნაწილებსა და პირეულ რიგში). ქვათლილები ერთმანეთთან მჭიდროდაც დაყვშირებული (ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოებით ერთმანეთშია ჩასმული — სურ. 94)⁴⁶. უკანასკნელი საფეხური გადღრიდა სწორკუთხა ბაყანში (2,50 X 2,70 მ), რომელიც უშუალოდ ედგმოდა ქვათლილებით მოგებულ ღია მოედანს. ამ უკანასკნელისაგან გადარჩენილია სამხრეთი ნაწილის მზლუდავი კედლისა და ჩრდილო-აღმოსავლეთი

⁴⁴ ეს მონაცემები დაფუძნებულია არქიტექტორების ნ. ნუბინაშვილის, გ. ტონას, გ. ლევაიას და გ. კიფიანის ანაზებზე. რამდენადაც განსხვავებულია ის ზომები, რომლებსაც ძღვაა გ. ლორთქიფანიძე, ასე მაგ., საფეხურების სიგანეს იგი 0,33 მით განსაზღვრავს, რა თითქმის ზუსტად შეესაბამება ბერძნული მეტროლოგიის ყველაზე გარკვეულბულ ერთეულსაზომ ერთეულს — ატკურ-რებეურ ფუტს, გ. ი. 0,328 მს (იხ. Г. А. Лордкипанидзе. Алтарн..., გვ. 106). მაგრამ სინამდღეში საფეხურების სიგანე 0,34 მ-ია (მაგ. მითხე და მეხუთე საფეხურისა) ან 0,35 მ. არც დანარჩენი განზომილებანი შეესატყვისებთან აღნიშნულ წყობისა. ასე, რომ, მოსარება იმის შესახებ, თითქმის საფუძრუბიანი ნაგებობა ატკურ-რებეური სისტემის საზომი ერთეულებითაა აგებული, მოკლებულია მტკიცე საფუძველს.

⁴⁵ ამგვარ „კიბე“ რამდენადაც დანერგულია, ზედა რიგებს აქლია რამდენიმე ქვათლილი, წყობაც დფორმირებულია, ქვები გამოფენილია, ზოგან ერთმანეთს საგრძობლად დაცილებულიც, ამიტომ ბუნებრივია ეგრე ქვის შთაბეჭდილებას პირეულსა და სხვსაზე. ნინო ხოშტარიას აღწერით კი, რომელიც თავდაპირველი გათხრებისასაა შესრულებული, «кладка лестницы очень тщательная, камни кладки вплотную подогнаны один к другому таким образом, что ни один шов и в настоящее время не разошелся».

⁴⁴ Н. В. Хоштарна. Археологические исследования..., тт. 251-251 (მხოლოდ ვანი 1-ში გამოქვეყნებულ სტრ-შია შეცდომით აღნიშნული 7 საფეხური — ნ. ხოშტარია, ვანის არქ. შესწავლის ისტორია, გვ. 90).

⁴⁵ სწავლისაოდ, შეჯგომ ზოგიერთმა მკვლევარმა ნ. ხოშტარიას ამ ბოთიბის ყურადღება არ მიუქცია და ამგვარად გადარჩენილი საფეხურებს მიუღვეთ კიბე შედარსაფეხურითადაც მოჩანდა და იგი გარკვეულ კანონიერი ნორმების გამოირებად გამოცხდა — შტრ. Г. А. Лордкипанидзе. Алтарн..., გვ. 106: «не исключено, что число семь — количество ступеней предхрамового, церемониального алтаря — являлось священным. Как известно, семь считается священной цифрой как Аполона, так и Диониса...»

კედლის ფრაგმენტები, აგრეთვე ამ კედლებს შორის ფართობზე ფიქსირებული კლდოვან დედაქანში ჩასმული ქვათილები ან მათ ჩასაწყობად განკუთვნილი ბუდეები (სურ. 75—82, 92). შზლუბში „კედლები“⁵⁷ კლდოვან დედაქანში ფართო და ღრმა ბუდეებშია ჩასმული. „ბუდის“ სივანე აღმოსავლეთ ნაწილში, უშუალოდ კიბეს რომ ემკნებება (სურ. 79), 0,80 მ-ია საშუალოდ, ქვედა რიგები სხვადასხვა ზომის ბრტყელი და სწორკუთხა მაღალი ქვათილების მონაცვლეობითაა ამოყვანილი, ხოლო საფასადო ნაწილებში 0,45 მ სიმაღლისა და 0,55 მ სიგანის შესანიშნავად დამუშავებული მაგარი ჩვიის კირქვის რუსტირებული ქვათილებია გამოყენებული. შიდა მოედანი კი სხვადასხვა ზომის სწორკუთხა ქვათილებით (უპირატესად მოყვითალო და რუხი ფერის ქვიშაქვის) იყო შეკრული. ამ ქვათილებით მოგებული ზედაირი უთულო კიბის ბაქანს უსწორდებოდა (აღსანიშნავია, რომ თავდაპირველი გათხრის პროცესში ფიქსირებული სწორკუთხა მოედნის ერთ-ერთი ქვის დონე სულ 0,21 მ-ით დაბლა კიბის შემორჩენილი მემვიდვ საფეხურის ზედაირთან შედარებით), ამასთან შესანიშნავად იყო გამოყენებული კლდოვანი დედაქანის შემადგენელი დასავლეთ ნაწილში.

ქვათილებით მოგებული ბაქანის სივანე (ე. ი. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ) 15,60 მ-ია. რამდენადმე რთულია მისი სივრცის (აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ) განსაზღვრა, რადგან მოედნის სამხრეთი ნაწილის შზლუბდვი კედელი მხოლოდ 9,30 მ-ზეა გადაჩენილი. ნაგებობის დასავლეთ კიდეზე (C—C კვადრატებში) in situ ფიქსირებული ქვათილების მიხედვით თუ ენოცკელებით, მოედნის სიგრძე 11,20 მეტრს უნდა ვიყოფიყო. ამრიგად, ჩვენს წინაშეა მოწოდებული საკუთხეველი — ქვის ფილებით მოგებული 1,70 მ სიმაღლის, 11,20 მ სიგრძისა და 15,60 მ სიგანის ღია მოედანი⁵⁸, რომელსაც აღმოსავლეთის მხრიდან ედგებოდა მ (?) საფეხურიანი კიბე (სურ. 96).

⁵⁷ სიტყვა „კედლები“ პირობითადაა ნახსარი, რამდენადაც აქ საკმე ვეკმეს ქვათილებით მოგებული ბაქანია.

⁵⁸ ეს რომ მართლაც ღია მოედანი იყო, ჩანს იქიდანაც, რომ გათხრების პროცესში აქ არ ყოფილა აღმოჩენილი არც ერთი კამბეტი და არც ვასტურის კონსტრუქციის სხვა რაიმე ნაშთები (იხ. Н. В. Хоштарпа. Арх. исслед... с. 152: «...беспорядочные остатки, относящихся к перекрытию сооружения I, у нас не сохранились»).

⁵⁹ ასეთი ტიპის მონუმენტური საკუთხელები ცნობ-

საკუთხელების მისასვლელი, როგორც ჩანს, მოკირწყელები იყო სამშენებლო ქვის ანატაკეებით, რომლებიც ფიქსირებულია საფეხურიანი ნაგებობის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილში საცმოდ დიდ ფართობზე. ეს ნაგებობა ქალაქის სხვა ნაწილებთან ერთადაა ძე. წ. I საუკუნეში დანგრეული.

საფეხურიებიანი საკუთხელების აგების თარიღის ზუსტად დადგენა კი საკამოდ რთულია⁶⁰. სტრატოგრაფიებით მონაცემებით ის აგებული უნდა იყოს არა უადრეს ძე. წ. III ს-ის დასასრულისა ან II ს-ის დასაწყისში. 1977 წელს ვანხორციელეზულმა გათხრამ საკუთხელების დასავლეთით და სამხრეთით გვიჩვენა, რომ ამ ალაგზე უფრო აღარ არსებობდა კიდევ უფრო დიდი ზომის ქვის ნაგებობა, რომლისგანაც გადაჩენილია საფეხურიანი საკუთხელების სამხრეთი კედლის პარალელურად თორში ამოკვეთილი 0,80 მ სიგანის ბუდეები და კედლის ფრაგმენტები, რომელიც ჩადგებულია (ე. ი. ამოყვანილია) წინარეგულნიტურ ხანაში ამოკვეთილ ღრმა (2,60 მ) „ორმოთში“. როგორც ჩანს, საფეხურიებიანი საკუთხელების შესწავლის დროს ირთო ამოუცხავი ქვიშაქვის მსხვილი ანატაკეებით, რომლებშიც ძე. წ. III—II საუკუნეების მასალა იყო შერეული, თუმცა ძლიერ მცირე რაოდენობით (ცატ. № 441—446).

7,4. ქალაქის ცხოვრების უკანასკნელ ხანებში უნდა იყოს აგებული მცირე ზომის ნაგებობა (№ 2 გენ. გეგმაზე), რომელიც საფეხურიებიანი საკუთხელების ჩრდილოეთით მდებარეობს (სურ. 70, 91), მისგან 0,85 მ-ის დაცილებით (ნაკვეთი 209, ეკ. გზა—1x-4—1x-4—1x-4). იგი ჭკრ კიდე 1947 წლის გათხრების დროს გამოვლენდა და ნინო ხომარაძემ მასში აღმოჩენილი წითელლაკიანი კერამიკით, მითრიატე ევპატორის სახელით ამისოში მოჭრილი მონეტა და კრამიტების ნატეხებით ძე. წ. II ს-ის მიწურულითა და I ს-ის დასაწყისით დაამთარიდა⁶¹.

ღია ელინისტური ხანის მცირე აზობი, მაგარ მისასვლელი კიბე აქედ დასავლეთი მხრიდან (შღრ. S. G. Yavis. Greek Altars, Missouri, 1949, გვ. 102, სურ. 30).

⁶⁰ ნინო ხომარაძის აზრით, ეს ნაგებობა ძე. წ. V ან IV საუკუნეშია აგებული (Н. В. Хоштарпа. Арх. исслед., გვ. 152). ხოლო ვ. ლორთქიანიძე მას ძე. წ. IV—III ს-ით ათარიდას (Г. А. Лордкипანიძე. Алт-риш... გვ. 106).

⁶¹ ნ. ხ. მ. ბ. რ. ა. ბ. არქეოლოგიური გათხრები სფ. ეანში 1947 წელს. წინასწარი ანგარიში. „მომხმარებელი“, I, თბ., 1949, გვ. 308; მისივე, Археологические исследования в Ваши и Ванском районе в 1952 году. მსკ., 1959, გვ. 152.

ნაგებობა თითქმის კვადრატულია (4,2 მ × 4,6 მ), კედლები ამოყვანილია ქვიშაქვის მომცრო ფილებით; ზოგან კი (განსაკუთრებით სამხრეთ კედელში) გამოყენებულია უფრო ძველი ნაგებობის მავარი ქრისტიანული კარგად გათლილი კვადრები; ზოგი მათგანი რუტინაა. წინაბინი ზედა ნაწილი ალონის აგური უფოვლა ნაგები, მისგან თითქმის ამორყეული მასა იყო გადაჩენილი, თუმცა ზოგი აგურის სისქის გაზონვა შესაძლებელი გახდა (5,6 და 7 სმ). ნაგებობა გადაპირული ყოფილა ბრტყელი და ღარიანი კრამიტით, ხოლო ჩრდილო კედელთან გარედან მოწყობილი ჰქონდა შუაზე გატეხილი ბრტყელი კრამიტები, ალბათ კედლის სინეტისაგან დასაცავად⁶².

წინაბინი ხანძარში დაღუპულა, რაზედაც მიუთითებს მასში აღმოჩენილი აღმოჩენილი ხის ძელების ნაშთები და რკინის ლურსმნები — დამწვარი და ჩაქეული სახურავის ნაშთი.

წინა ხოშტარიას აზრით, ნაგებობა მისი მდებარეობის გამო, საეკლტო დანიშნულებისა უნდა იყოს.

7,5. ზედა ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე (221-ე ნაკვეთის გ1-ე—h1-ე—i1-ე კვადრატებში) 1958—1959 წლებში გაითხარა თლილი ქვით ნაგები სწორკუთხა შენობის ნანგრევები (№ 3 გენ. გეგმაზე)⁶³, გადარჩენილია აღმოსავლეთი, დასავლეთი და ჩრდილო კედლების 3—4 მეტრიანი გათლილი ქვიშაქვიებისაგან შედგენილი წყობისა, რომლის ქვედა ნაწილში თირის ქვებიცაა გამოყენებული. ნაგებობა ორ არათანაბარ ნაწილადაა გაყოფილი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმართული და თირის ქვით ნაგები ფართო კედლით. ჩრდილო ნაწილი შედარებით მცირე ზომისაა (სურ. 97—98).

ნაგებობაში მხოლოდ შვირე ფართობზე, მის დასავლეთ კედელთან, შემონახულია მოტეხნილი იატაკის ნაშთი. მის ჩრდილო ნაწილში აღმოჩნდა ცეცხლისაგან განაგებული ქვები და ნაშთის ნაშთები (ყვარა?).

⁶² Н. В. Хоштариа. Дневник Колхидской (разведочной) экспедиции 1951 г. (Продолжение, тетрадь II), с. 29—30.

⁶³ Н. Хоштариа. Раскопки античного города на месте современного Вани. Служба археологии, т. 1, 1959 г., стр. 50; მსხვე, Археологические раскопки в Вани в 1959 году, სსსრ არქეოლოგიის, 1960 წ., გვ. 46.

ნაგებობის დასავლეთ კედელზე, მის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან, აღმოჩნდა თირის ქვისაგან გამოთლილი ორი გეგმაში მრგვალი ქვა ნინო ხოშტარიას აზრით, ხის სვეტების ბაზები უნდა იყოს და უფრო იმ ძველ ნაგებობას უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც მე-3 ნაგებობის ქვეშ ყოფილა. ამ უფრო ძველი ნაგებობის კედლებზე მიიჩნევენ ნინო ხოშტარია თირის ქვებით ნაგებ კედელსა და შენობის აღმოსავლეთით და დასავლეთით შემორჩენილ აგრეთვე თირის ქვებით ნაშენ კედლების ნაშთებს⁶⁴. № 3 ნაგებობაში და მის გარეთ, კედლებთან აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა — წითელკაიანი ჯამებს ნატეხები (სავ. № 07:1—58/471, 472, 524; 07:1—59/21, 22 და სხვა), პირამიდული საწაფები (07:1—58/502—506), ამფორის ყურის ნატეხი (07:1—59/29), კრამიტის ნატეხები (07:1—58/521, 522) და სხვა, ნაგებობის დანგრევის თარიღად ძვ. წ. I საუკუნეს გვეთვითვითებ.

ძვ. წ. III—II სს. ნაგებობებს დაზიანებული აქვს ძვ. წ. IV—III სს-ის კულტურული ფენები.

8,0. ძვ. წ. IV—III სს. ნაქალაქარის ზედა ტერასაზე წარმოდგენილია გორა-სამარხად მიჩნეული ყვეთელი თიხა-ზეინულია (სურ. 2, № 14) და სამარხების რიგით (№№ 12—14).

8.1. თიხა-ზეინული კერ კიდე 1958 წელსაა გამოვლენილი 221-ე ნაკვეთის ა1-ე—ბ1-ე კვადრატებში⁶⁵. მას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ წაგრძელებული ოვალის (13 მ × 17 მ) ფორმა აქვს და თავის დროზე მისი მპირები თირის ბრტყელი ქვათილებით ყოფილა შემოზღუდული (სურ. 100). ზეინულის შემორჩენილი სიმაღლე 1,25 მ-ია. იგი ფართობს 0,15—0,20 მ სისქის ადრენატეფური ხანის შავ ფენასა და ნაგებობათა ნაშთებს (სურ. 166—168).

წინო ხოშტარია ამ თიხა-ზეინულს იმთავითვე ძვ. წ. IV—III სს-ებში ათარიღებდა და იგი მიიჩნედა გორა-სამარხად, რომელსაც უკავშირებდა იქვე აღმოჩენილ ბრინჯაოს სარკოვას. ეს უკანასკნელი კი, როგორც უკვე იქვეა, ახ. წ. II—III სს-ებში თარიღდება და თიხა-ზეინულშიც ამ დროსაა ჩადგ-

⁶⁴ Н. Хоштариа. Ванская археологическая экспедиция в 1960 году. Служба археологии, т. 1, 1961 г., стр. 40.

⁶⁵ ნ. ხოშტარია. ენის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია, გვ. 91.

მული, ენიღინ სტრატეგრაფიული მონაცემებით თიხა-ზეინული გაცილებით აღრიხვული ხანისაა. ზეინულის თავზე, მის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ძვ. წ. I ს-ის დამწვარი ალიზის მძლავრი ფენაა ფიქსირებული (სურ. 101)⁸⁶. მამსა:ღამე, თიხა-ზეინული ამ ღრის უკვე არსებობდა.

მეორე მხრივ, გათხრის პრაქტისში თვალსაჩინო გახდა, რომ თიხა-ზეინულს დასავლეთ-ნაწილი და განსაკუთრებით ჩრდილო-დასავლეთ კუთხე ძვ. წ. III საუკუნის მეორე ნახევარში საფუძვრებიანი საყურთხველის ადგილზე უფრო ადრე აღმართულ ქვის ნაგებობათა (გენ. გეგმაზე № 7) მშენებლობისასა დაზიანებული: ბორღველია მზღუღავი კედელი, ჩამოვარდა ზეინულის ერთი ნაწილი. ამასთან ამ ადგილას ფიქსირებულია 0,50 მ სიმაღლის გაფხვიერებული თირის ისეთივე მასა, რომელიც ფარავს საყურთხველს წინა ხანის ნაშთებს (სურ. 102). მაგ., 210-ე ნაკვეთის აგ კვადრატში ადრე თიხა-ზეინულის არსებობას მოწმობს შავ ფენაში აღმოჩენილ ქვევარში ფიქსირებული ყვითელი თიხის გროვა. ასე რომ, თიხა-ზეინული უკვე არსებობდა აქ ზემოაღნიშნულ ნაგებობათა მშენებლობის დროს — ე. ი. ძვ. წ. III ს-ის პირველ ნახევარში მინც.

საკმაოდ რთულია თიხა-ზეინულის ფუნქციის საკითხი. მას ქვეშ კლდოვან დედაქანში სამაზის არავითარი კვალი არ ჩანს. გამოირიცხული არაა, რომ შესაძლოა იგი სამსხრებლოს თუ საყურთხველის როლს ასრულებდა.

8,2. ელინისტური ხანის ნაგებობებს ჩაჭრილი აქვთ ან ფარავენ აგრეთვე სპარხების წყებას, რომლებიც ფიქსირებულია ზედა ტერასის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში. კერძოდ, სამხრეთის თავდაცვით კედელს დაზიანებული აქვს 222-ე ნაკვეთის ჩ-გ—გვ-გ კვადრატებში აღმოჩენილი სამაზისის (საველე დოკუმენტაციით № 12, გენ. გეგმაზე № 29) ძირითადი — სამხრეთი ნაწილი, რომელშიც მთავარი მიცვალებული იყო ჩასვენებული: ჩრდილოეთშია ნაწილში ჩვენამდე ხელუხლებლად მოაწია.

როგორც გაირკვა, სამაზისისთვის თირში ამოკვეთილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ წაგრ-

ძელებული სწორკუთხა ორმო (6,80×3,80 მ). მასში შეიღი მიცვალებული, ოთხი ცხენი და ძალი იყო დასაველავებული (სურ. 103, 104). ამ უკანასკნელისგან მხოლოდ წინა ფეხები გადარჩა. შეღარებით კარგად შემორჩენს ცხენების ჩონჩხები. ისინი ერთ რიგზე, ერთმანეთის მიყოლებით იყენენ ჩამარხული მარჯვენა გვერდზე. ოთხივე ულავი აღმოჩნდა. მათი ასაკი საჭრელი კბილების მიხედვით 6—10 წლით განსაზღვრა. ყველანი საშუალო ტანადობის ყოფილან⁸⁷.

მიცვალებულთა ჩონჩხები სამაზის ორმოს ჩრდილოეთ ნაწილშია ფიქსირებული. ხუთი მათგანი დასვენებული იყო მარჯვენა გვერდზე, მუხლებში მოხრილ პოზში, თავით დასავლეთისკენ ორიენტრებული. დანარჩენი ორი მიცვალებული ამ ხუთეულის დასავლეთით და აღმოსავლეთით ესვენა, თავით სამხრეთისკენ; ერთი — მარჯვენა, ძალით მეორე — მარცხენა გვერდზე. ჩონჩხები ძალზე ცუდად იყო დაცული, რის გამოც მიცვალებულთა პქესი ვერ განისაზღვრა. ორი მათგანი 40—50 წლისა აღმოჩნდა, ორი — 30—35-ისა, ერთი — 35—40, ორიც — 20—25 წლისა⁸⁸.

პირველი მიცვალებული ორმოს ჩრდილოეთი კედლები 0,10-0,12 მ-ით დაცილებით მარჯვენა გვერდზე იწვა, თავით დასავლეთისკენ. თავის ქალა მთლიანად დაშლილი იყო, ხოლო გადაჩენილი იყო ზედა და ქვედა ყბა კბილებიანად, მარცხენა მკლავი სხივის ძელებამდე, ერთი ქვედა კიდურის ნაშთი, რომლის მიმართულებით მიხედვით ჩანს, რომ ფეხი მუხლში უნდა ყოფილიყო მოხრილი; მარჯვენა მკლავიც იდაყვშია მოხრილი. თავის ქალას ორივე მხარეს ბრინჯაოს მორჯრეული, ბოლოებით ერთმანეთზე გადასული საყურთხვე თუ სასაფეთქლები აღმოჩნდა (№№ 455, 456, სურ. 105). თავის ქალასთანვე ჩონჩხის წმენდისას გამოჩნდა ვერცხლის პატარა, თხელკედლებიანი მძივებისგან შედგენილი სამაყული, რომელიც ძალიანა დაზიანებული და ვერცერთი მათგანის მთლიანად აპოლბა ვერ მოხერხდა.

ამ მიცვალებულს მარჯვენა მაჯაზე ორი სამაჭური ეკეთა — ერთი რკინის, მეორე ბრინჯაოსი. რკინის სამაჭური ეანგისგან ძლიერ შექმულია და მხოლოდ ის შემორჩენა, რომ თავგანსნილი და რკი-

⁸⁶ ნიჩო ხომტარია აღნიშნავს, რომ აქ «стояло позже в I в. до н. э. какое-то сооружение, вероятно, оборонительного характера» — იხ. Н. В. Хостарян. Ванская археологическая экспедиция 1960 года, გვ. 40.

⁸⁷ დამწვრებით იხ. აქვე, მ. გამრველი, შინაური ცხენები ვანის ნაქალაქიდან, გვ. 38 და შემდ.

⁸⁸ ძელები შესივალა ანთროპოლოგმა დ. ყავახივილმა.

ნის მრგვალებანიეკვეთიანი მავთულსგან ყოფილა დამზადებული. ბრინჯაოს სამაჭურეო თავგახსნილია, რამდენიმე ადგლასაა ვატეხილი, შეკმულია ენავაგან.

მეორე მიცვალბული მარჯვენა გვერდზე იწვა, ავამსაველეთსკენ ორენატრებული. მისი თავის ქალა პრველისგან დაახლოებით 0,50 მ-ით იყო დაცილებული. თავის ქალა ავგლოზან დაძრული და დაქვეყილი იყო — მისი კვალი ჩანდა მხოლოდ; კბილები კი კარგად იყო შემონახული. თავის ქალასთან აღმოჩნდა ბრინჯაოს კისრის რკალი (№ 447, სურ. 105), ბრინჯაოს ოთხი რგოლი (№№ 457—460, სურ. 105) და რკინის დაშლილი, გაურკვეველი ნეთი. კისრის რკალის ქვეშ ჩანდა მკლავის ძვალი. მარჯვენა ხელი გამლილი, მარცხენა კი მოხრლი ყოფილა; მჯახზე ეკეთა ვერცხლის (№ 451, სურ. 105), ბრინჯაოს (№ 452) და რკინის (№ 453) სამაჭურები. აქვე დაფიქსირდა ბრინჯაოს გაურკვეველი ნეთის კვალი. მეორე მიცვალბულის ქვედა კიდურები სხეებთან შედარებით უფო იყო გადარჩენილი და კარგად ჩანდა მათი მიუხლებში მოხრის ავგლი. ბარძაყის ძვლის წინ აღმოჩნდა ავრთვე რკინის პატარა დეანგული რგოლი, მასზე ოღნაზ ზევით — ბრინჯაოს დაშლილი ნეთის კვალი.

მესამე მიცვალბული მეორის სამხრეთით იწვა ასევე მარჯვენა გვერდზე, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიმართული, ხელ-ფეხ მოხრილი, თავის ქალა აქვე ძლიერ იყო დაშლილი. მზარას ზეღედი სახესთან იყო მიჯანული — მათგან მკლავის ძვლები და რჩა. თავის ქალასთან აღმოჩნდა ბრინჯაოს პატარა რგოლი (№ 462), ღოლი წელის არეში — ბრინჯაოს ღლი (№ 465, სურ. 105). ნეკნებლსა და მენჯის ძვლების კვალიც ჩანდა. სახის ძვლებისაგან 22 ს.მ-ზე სამხრეთით იღო ზედა და ქვედა ყბის ნაწილი კბილებიანდა. ეს სამხრეთითან ჩრდლოეთისკენ მიმართული მეექვსე მიცვალბულის ჩონჩხის ნაწილი უნდა ყოფილიყო.

მეთოხე მიცვალბული მესამისაგან 0,40 მ-ით იყო დაცილებული სამხრეთით, იწვა გვერდზე, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ იყო მიმართული. თავის ქალასაგან არაფერი შემორჩენილა. ქვედა ყბა კარგად იყო შემონახული, ზედასაგან კი მხოლოდ რამდენიმე კბილი დარჩა. მიცვალბულს ბრინჯაოს კისრის რკალი ჰქონდა (№ 448, სურ. 105).

მეხუთე ჩონჩხი 0,30 მ-ის დაცილებით იღო სამხრეთით — მარჯვენა გვერდზე, როგორც ეს ქვედა ყბისა და თავის ქალას ნაწილებმა გვიჩვენა. მასაც ბრინჯაოს კისრის რკალი ჰქონდა (№ 449, სურ. 105).

მექვსე ჩონჩხი სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კიდეში იღო. მიცვალბული მარჯვენა გვერდზე იწვა, მუხლებში მოხრილი, თავით სამხრეთისაკენ. ჩონჩხის სიახლოვეს აღმოჩნდა ბრინჯაოს ზურგმედრეკილი სამაჭური (№ 454).

მეშვიდე ჩონჩხი სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა. მისგან მხოლოდ სახის ძვლები იყო გადარჩენილი; მათი მდებარეობა საფუძველს ვეძალვეს ვიფიქროთ, რომ მიცვალბული მარჯვენა გვერდზე იწვა, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიმართული; ყურზე ვერცხლის რკალი ჰქონია (№ 450, სურ. 105).

სამარხის დასავლეთ კედელთან ცხენებისა და აღამინების ჩონჩხების სასულვარზე აღმოჩნდა ჩამსხვრეული თიხის ჭურჭლის გროვა, რომლიდანაც აღედა 7 ჭურჭელი (მათგან ორი — მხოლოდ მათი ფიქურა); შვიდი ერთნაირი მოყვანილობისაა — ბრტყელძირა, მსლესებურტანანი, პირფართო, ცალყურა (№№ 467—473, სურ. 106). აღსანიშნავია, რომ ამ ფორმას დასავლეთ საქართველოს კერამიკაში ჭრებერობით პარალელი არ მოიგებნება. გროვაში აღმოჩნდა ცალყურა ჭოთის ერთი ნატეხიც (№ 474, სურ. 106).

სამარხში აღმოჩნდა ლუთერიის ფრამენტი (№ 475) და ქვის სამკუთხავანიეკვეთიანი, გრძელი საწაფი (№ 476), რომლებიც აქ სამარხის თავზე გვიან გაჩენილი ფენიდან უნდა მოხვედრილიყო.

სამარხის იატაკი არ იყო მკაცრად პორიზონტალური; აქა-იქ ჩაღმავებები ჰქონდა, ზოგანაც ამობურტული იყო; არც იარაღის კვალი ემჩნეოდა. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ორის კედლები მთლიანად მოშლილი იყო, თითოეს შესასვლელია. სამხრეთ ნაწილში (კვ. ფ.) სამარხის ორმოში შეჭრილი იყო სამხრეთის თავდაცვითი კედლისათვის თირში ამოკვეთილი ბუდეების წყება, ზოგიერთ მათგანში გათლილი ქვიშაქვა იყო შემორჩენილი. ერთ-ერთი კვარტი ეგნისი თავზე იღო. აშკარაა, რომ კედლის მშენებლობისას დაინგრა და დაზიანდა სამარხის ძირთადი ნაწილი.

სამარხი მასში აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით (ზურგმედრეკილი სამაჭურები, ბოლოებ-

დალარული კისრის რკალები) ძვ. წ. III ს. თარიღდება.

შესაძლოა, № 12 სამარხის ძველადვე დაზიანებული ნაწილიდან მომდინარეობს სამარხთან ახლოს აღმოჩენილი ოქროს მონეტა და ოქროსავე ყელსაბამი. მონეტა (№ 329, სურ. 107) სირაყუზის ტირან ჰიერონ II-ისაა (ძვ. წ. 275—216 წწ.). ის იმ კვადრატში აღმოჩნდა ქვაყარლში⁸⁰. ოქროს ყელსაბამი (№ 679, სურ. 107), რომელიც რქოსანის ღრმის თავებით დაზოვებულ წნულ ძეწვეს წარმოადგენს, ძვ. წ. III ს-ით თარიღდება⁸¹.

№ 12 სამარხიდან შევიდოდა მეტრის დაკლებით (ნაკვ. 222, კვ. კა—კა; ნაკვ. 223, კვ. გა—აა) აღმოჩნდა სამარხი (საველე დოკუმენტაციით № 13), რომელიც ცხველ ძველადვე ყოფილა დაზიანებული (№ 31 გენ. გეგმაზე). იგი მოთავსებული იყო თირში ჩაჭრილ ოვალურ ორმოში (სიგრძე 3,10 მ, სიგანე 2,60 მ, სიღრმე 0,60—1,50 მ), რომელიც ხის ძელებით უნდა ყოფილიყო გადახურული. ამაზე მიუთითებს სამარხის ისაველეთ კედელში თირში ამოკვეთილი ფოსოები (სურ. 108). სამარხს თავზე თირის ქვებს ყრილი ჰქონია, რომელსაც სახურავის ჩაწოლის შემდეგ სამარხ ორმოში ჩაყენილა და ამორთულ მასად ქცეულა.

მიკვალბულის ჩონჩხისგან მხოლოდ ყბის ძვლები და კბილები იყო გადაჩენილი. შედარებით უკეთ იყო შემონახული ცხენის ჩონჩხი, რომელიც სამარხი ორმოს დასავლეთ ნაწილში დაფიქსირდა (სურ. 109, 110).

სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ბრინჯაოს სიტულა თავისი ხუფით (№№ 489, 490, სურ. 111), თიხის ორი ჯამი (№№ 494, 495, სურ. 111), რკინის თოხტუთხა ბალთა (№ 484, სურ. 111) და რაღაც ფარკვეველი დანიშნულებას საგნები (№№ 485—488, სურ. 111). სიტულაში ბრინჯაოს ფიალა (№ 491) იღო. სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა თიხის კურკურს ფლაგმენტები (№№ 493, სურ. 111) და ცისფერი გაუმჭვირაველი მინის მძივები (№№ 495—498, სურ. 111) — იხ. სამარხის გეგმა (სურ. 110).

სამარხი, როგორც ჩანს, გამარტულია. შესაძლოა, ამავე სამარხიდან მომდინარეობს ის ნივთები,

⁸⁰ იხ. გ. დუნდუა, გ. ლორთქიფანიძე. დას. ნაშრ., გვ. 132, № 31.

⁸¹ Л. Ф. Спляртева. Некрополь Нинфея. МИА, 89, 1959, с. 91 (იქვე დასა. ლტ.).

რომლებიც სამარხის ორმოს სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმოჩნდა, მისგან ოდნავ დაცილებით, შავ ჰუმუსირებულ ფენაში (კვ. აა). ესენია: ვერცხლის ელარუნა (№ 479, სურ. 112), სასაფეთქელ რგოლი (№ 480) და საკიდები, რომლებიც შედგებოდა ვარულისგან, შეწყვილბულ მძივების, ყუნწების, რგოლებისა და საკიდებისგან (№ 481, სურ. 112), ოქროს მძივები — ცვარათი შემკული და საღა (№№ 477, 478, სურ. 112), აქატისა და სარდიონის მძივები (№ 483), აქატის საკიდი (№ 482), ბრინჯაოს ჯაჭმის ფრაგმენტი (კატ. № 501), ბრინჯაოს ისრისპირი (კატ. № 499).

ინვენტარის მიხედვით ეს სამარხი № 12 სამარხის თანადროულად შეიძლება მივიჩნიოთ და ძვ. წ. III საუკუნით დაეთარიღოთ.

განხილული სამარხების მახლობლად (ნაკვ. 222, კვ. გ1—ი1) აღმოჩნდა კიდევ ერთი სამარხის ნაშთები (საველე დოკუმენტაციით № 14 — იხ. № 30 გენ. გეგმაზე). ისიც თირის ქვებისგან შედგენილი ქვაყარლთა ყოფილა დაფარული, რომელიც თითქმის ამორთულ მასად იყო ქცეული. მიცვალებულის ჩონჩხი ძალზე ცუდად იყო დაცული — მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები შემორჩა. თირის ქვაყარლში აღმოჩნდა რკინის შუბისპირი (№ 504, სურ. 113, 114), თიხის ღოჭი (№ 503, სურ. 114) და ჯამი (№ 502, სურ. 113), გაუმჭვირაველი მინისა (კატ. № 506) და სარდიონის (კატ. № 505) მძივები. ეს სამარხიც ძვ. წ. III ს-ით უნდა დათარიღდეს.

ამრიგად, ზედა ტერასის აღმოსავლეთ ფერდობზე, სადაც ჯერ კიდევ ნიწო ხოშტარაის ხელმძღვანელობით გათხარა ძვ. წ. IV—III სს-ების 4 სამარხი (№ 1—4; 193-ე ნაკვეთის იხ-ი-ი-ი კვარატები, შდრ. სურ. 38)⁸², აღმოჩნდა კიდევ ახალი წყება მდორღელი სამარხებისა.

სამარხთა ახლად აღმოჩენილ ჯგუფში დაკრძალვის ერთგვაროვანი წესი დადასტურდა — თირის: ჩაჭრილ ორმოში, ცხენებთან ერთად დაკრძალვა და ორმოს თავზე თირის ქვაყარლიან გაართვა, რითაც ისინი სამარხთა ადრე აღმოჩენილი ჯგუფისაგან განსხვავდებიან.

უნდა ვიფიქროთ, რომ ზედა ტერასაზე, ყოველ შემთხვევაში, 1947—48 წლებში აღმოჩენილი სა-

⁸² იხ. ნ. ნ. ხოშტარაია. ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია. ნაწ. I, გვ. 88—89; დაწერ. ამავე კრებულში «Из архива Н. В. Хостария», с. 115—133.

მარხების ზონაში, სხვა სამარხებიც არსებობდა, რომლებშიც ვერ მოაღწიეს ჩვენამდე. ამაზე მიუთითებს აქვე. 194-ე ნაკვეთის ხ_ა, ხ_ბ, ხ_გ, ხ_დ კვადრატებში ჰუმუსურ ფენასა და თირის თავზე აღმოჩენილი ნივთების წყება — ოქროს მძივები (№№ 507 და 508), მილაკი (ჯატ. № 509), ლილაკები (ჯატ. № 510), კოლტური თეთრი (ჯატ. № 48), ბრინჯაოს ზარაკები (ჯატ. №№ 51, 52, 53), რომლებიც დანგრეული სამარხების ნაშთებად უნდა მივიჩნიოთ.

დანგრეულ სამარხებსვე შეიძლება მივაკუთვნოთ 193-ე ნაკვეთის ძ₁ კვადრატში აღმოჩენილი ბრინჯაოს ე. წ. ქერცლისებური ჩაფენის ფირფიტების (ჯატ. № 512) და სამაჭურის ფრაგმენტები (ჯატ. № 513), ბრინჯაოს ლილაკი (ჯატ. № 514).

ზემოაღწერილ სამარხებს ჩაჭრილი აქვთ აღრენატორები ხანის კულტურული ფენებით.

9.0. ნაქალაქარის ზედა ტერასაზე აღრენატორი ხანა რამდენიმე კულტურულ ფენაში არის დადასტურებული. მათში უპირატესად კერამიკული მასალაა ფიქაირებული.

თირის თავზე მღვებარე ნაშალი თირის ფენაში აღრენატორები ხანის მასალა ფიქაირებული I უბნის უმეტეს ნაწილში, კერძოდ, 193-ე ნაკვეთის ხ_ა, 210-ე ნაკვეთის ხ_ა—ხ_ბ—ხ_გ—ხ_დ—ხ_ე, 211-ე ნაკვეთის ხ_ა—ხ_ბ—ხ_გ—ხ_დ, 212-ე ნაკვეთის ა₁₀—ხ₁₀, 220-ე ნაკვეთის ი₁—ხ₂, 221-ე ნაკვეთის ხ_ა—ხ_ბ—ხ_გ—ხ_დ—ხ_ე—ხ_ვ—ხ_გ—ხ_დ—ხ_ე—ხ_ვ, 222-ე ნაკვეთის ა₄, დ₃, ე₇—ხ₈, გ₇, ხ₈—ხ₉, 223-ე ნაკვეთის ა₁—ხ₁—ხ₂ კვადრატებში. ფენა წარმოიშვა თირის ზედაპირის ბუნებრივი (და არა საგანგებო) დამლის შედეგად. იგი არ არის მძლავრი. მისი სისქე ნაშუალო, 0,05—0,07 მეტრი, იშვიათად 0,10 მეტრსაც აღწევს. ნაშალი თირის ფენაში ძირითადად აღვლილობრივი ნაწარმი წარმოდგენილი. ქარბობს თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. მათში განირჩევა როგორც სამეურნეო, ასევე სამზარეულო და სუფრის ჭურჭლის ნაწილები. ქვევრების რამდენიმე სახეობა გვხვდება. ასე მაგალითად, პირის გვირგვინების (12 ფრაგმენტო) სამი ჯგუფი გამოიყოფა: ოთხკუთხეაგანოკუთხიანი (ჯატ. № 515, 517, 115), სამკუთხეაგანოკუთხიანი (ჯატ. №№ 516, სურ. 116) და ისრისპირისებრი (ჯატ. №№ 518—520). ყელის შემკულობაში სამი ვარიანტი დადასტურებული: ა) სადა ირგვლივ ქედებით შეწყობა (ჯატ. №№ 524, 526, სურ. 117); ბ) ირგვლვ ქედებზე ზოგჯერ ნაკედებითა დატანილი (ჯატ. № 522, სურ. 115); გ)

ყელის ერთი ფრაგმენტი როული ორნამენტით გამოირჩევა — ქედები, სავარცხლისებური იარაღით გამოყვანილი ჯვრები და წიწვოვანი სახეები (ჯატ. № 521, სურ. 117). ქვევრების კედლების 56 ფრაგმენტია ნაშონი. შათვიც რამდენიმე სახეობა ჩანს: 1. ყავისფერკეციანი ფრაგმენტები, რომლებიც შემკულია დანამერწი პორიზონტალური და ნალისებური მოყვანლობის ქედებით. ეს უყანასკნელი ნაკედებითაა. ქედებს შორის ზედაპირი დაფარულია ერთმანეთთან ახლოს მიჯრილი ღარებით. კეცის სისქე 1,4—1,7 სმ-ია (ჯატ. №№ 527—529, სურ. 118); 2. წითელკეციანი ფრაგმენტები, რომლებიც შემკულია ვერტიკალური და პორიზონტალური ქედებით და ერთმანეთთან ახლოს მიჯრილი მკაცრად პორიზონტალური ღარებით. კეცის სისქე 1,5 სმ-ია (ჯატ. № 530, 534); 3. ყავისფერკეციანი, ჩალისფერზედაპირიანი ფრაგმენტები, რომლებიც წინა ჯგუფის მსგავსადაა ორნამენტირებული. კეცის სისქე 1,5—1,7 სმ-ია (ჯატ. № 531); 4. შეზედაპირიანი ფრაგმენტები, რომლებიც წინა ორი ჯგუფის მსგავსად შემკულია ვერტიკალური და პორიზონტალური ქედებით და ერთმანეთთან ახლოს მიჯრილი პორიზონტალური ღარებით. კეცის სისქე — 1,5—2 სმ (ჯატ. №№ 532—3); 5. ყავისფერკეციანი ფრაგმენტები, რომლებიც მხოლოდ ქედებითაა შემკული. კეცის სისქე — 2 სმ (ჯატ. №№ 535—536); 6. ყავისფერკეციანი, შეზედაპირიანი ფრაგმენტები, რომლებიც ასევე მხოლოდ ქედებითაა შემკული. კეცის სისქე 1,5—2,3 სმ-ს აღწევს.

თხელკეციანი (1 სმ) კედლების ფრაგმენტები (35), რომლებიც წვრილი ქედებით არის შემკული, დერგებს უნდა მიეკუთვნებოდეს (ჯატ. №№ 539—542). ერთ-ერთ ფრაგმენტზე (ჯატ. № 543) ქედებს გარდა წნეხით გამოყვანილი პრილაა ზოლებიც ჩანს.

სამზარეულო კერამიკა ქოთნებით არის წარმოდგენილი. პირ-ყელის ფრაგმენტებში, რომელთა რაოდენობა 30-ს აღწევს, სამი ძირითადი სახეობა განირჩევა: 1. დაბალყელიანი ქოთნები, რომელთა ყელს სწორხაზოვანი პროფილი აქვს, ხოლო ყელიდან მზარზე გადასვლის ადგილი შემკულია წვრილი ღარებით (ჯატ. №№ 548, 549, სურ. 119); 2. დაბალყელიანი ქოთნები, რომელთა ყელს შეხვეტილი პროფილი აქვს, ტანი კი გამოხერხილია (ჯატ. №№ 551, 549); 3. მაღალყელიანი ქოთნები,

რომელთა ყელს შეზნევილი პროფილი აქვს (კატ. №№ 550, 552, სურ. 119). ცალკეული ფრაგმენტები არცერთ სახეობას არ უღებება (კატ. №№ 546, 553, სურ. 119).

სუფრის ქურკლიდან გვხვდება ბრტყელძირა, ირიბკალთიანი, შიგნით პირგადახრილი ქაშები (კატ. №№ 560, 561), კონუსისებრიძირიანი სასმისები (კატ. №№ 559, სურ. 119), აგრეთვე ღოჭები. ღოჭების ორი სახეობის ნიმუშებია აღმოჩენილი: ყურმილიანი ღოჭების ყურების ნატებები (მაგ. კატ. № 557, 558, სურ. 120) და მაღალყელიანი, პირფართო ღოჭის ნატები, რომლის პირის კიდე გართაა გადმოხრილი და შემკულია ტრადიციონალური ორნამენტით (კატ. № 556, სურ. 119).

გამწიფილი კერამიკული ფორმების გარდა ნაშალი თირის ფენაში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სხვადასხვა ქურკლის კედლების ფრაგმენტები (124). მათი უმრავლესობა მცირე ზომისაა და უსახო. ზოგიერთი მათგანი შემკულია ორნამენტის ამა თუ იმ სახეობით, რომელთა შორის ქარბობს წნეხვით გამოყვანილი პირილა ზოლები (კატ. №№ 562, 563, სურ. 121); გვხვდება აგრეთვე ქვადები, ზოგიერთ ნაქვევებიანი (კატ. № 565), ტალღოვანი ხაზები (კატ. № 566) და სხვ.

ყურების ფრაგმენტებში (16) ცალკე ჭვავს ქმნიან ე. წ. ზომორფული ყურები (კატ. №№ 569—571, სურ. 119, 120). ერთი ნიმუშია ოვალურ-განივეკეთიანი ყურისა, რომლის ზედა მხლელზე ორი ურთიერთგადაწყვეთი ღარია ამოკვეთილი (კატ. № 572). დანარჩენი ფრაგმენტები მეტად მცირე ზომისაა, უსახო.

ნაშალი თირის ფენამ მხოლოდ ერთი იმპორტული ნაწარმი მოგვცა — წითლფერადი ქურკლის კედლის ფრაგმენტი (კატ. № 574, სურ. 122). ფენაში მცირე რაოდენობით იჩინა თავი ბინჯაოსა და სხვა ნაწარმბა. კერძოდ, ნაშალ თირში აღმოჩნდა ერთი სასაფეთქლე რგოლი (კატ. № 575) და გაუმჭირავლე მინის ერთი მძივი (კატ. № 576). ალაგ-ალაგ ფენა დაზიანებულია, რაზეც მეტყველებს ნაშალ თირში ელინისტური ხანის კერამიკის აღმოჩენის ცალკეული შემთხვევები (კატ. №№ 577—584).

ზედა ტერაზაზე არქეანტიკური ხანის მოშავო-რუხი ფერის კულტურული ფენა, რომელიც უშუალოდ დედაქანზე (თირზე) დაფენილი, აღმოჩნდა 192-ე ნაკვეთის №6, 209-ე ნაკვეთის №9-10, 220-ე ნაკვეთის 10, 222-ე ნაკვეთის 14—14-ბ, 14-ბ,

15-10—15-10, 223-ე ნაკვეთის 81-ა—81-ბ—11-7 კვადრატებში. ფენა სამაოდ უხვად შეიცავდა ძვ. წ. VI—IV საუკუნეების კოლხური კერამიკის ძირითადი ფრაგმენტის (ქვევების, ღრგვების, ქოთნების, სასმისების, ქაშების, ღოჭების და სხვ.) ფრაგმენტებს — იხ. კატ. №№ 585—664, სურ. 123—129. იმპორტი წარმოდგენილი იყო ატიკური შავლაცია-ნი კერამიკა (კატ. № 668), წითელი კლავბეჭედი მხატვრული ღოჭის (კატ. № 669) და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ძვ. წ. VI საუკუნის მესამე გეოზბედის წერილფერადი კილიკის ფრაგმენტით (კატ. № 666, სურ. 129). ეს უკანასკნელი ზედა ტერაზაზე აღმოჩენილი უდარესი დათარიღებული ფრაგმენტია, რომელიც ღოჭმეტრულად მოწმობს აქ ძვ. წ. VI ს-ში დასახლების არსებობას.

მოშავო-რუხი ფენა ალაგ-ალაგ (მაგ. 222-ე ნაკვეთის №9-10 კვადრატებში) დაზიანებულია და მასში აღრეანტიკური ხანის მასალებთან ერთად გვხვდება ელინისტური კოლხური ყავისფერკეციანი ამფორის, ქვევრის პირის გვირგვინის, ღოჭის ფრაგმენტები, თიხის საძირავი (კატ. №№ 675—678) და ოქროს წნული ძეწევი (კატ. № 679, სურ. 107), რომლის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი.

ქურას ჩრდილო-აღმოსავლეთით, 222-ე ნაკვეთის 68 კვადრატში გაითხარა თირის თავზე მდებარე შავი, ორგანული ნაშთების შემცველი თხანარევი ფენა. აქაც ძირითადად აღრეანტიკური ხანის სთვის დამახასიათებელი თიხის ქურკლის ფრაგმენტები აღმოჩნდა, რომლებიც ანალოგიური ზედა ტერაზის ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით დათარიღებული სხვა კულტურული ფენებისა თუ კომპლექსების მასალებისა (იხ. კატ. №№ 680—684, სურ. 131), თუმცა იქვე იყო ფიქსირებული ბრტყელი, გვერდებეკილი კრამიტის ერთი და ლარინი კრამიტის ოთხი მცირე ზომის ნატები.

აღრეანტიკური ხანის კულტურული ფენა აღმოჩენილია აგრეთვე 210-ე ნაკვეთის 81-ა—11-7—11-7 და 192-ე ნაკვეთის 89-10—89-10—10—10 კვადრატებში. ესაა ტერიტორია საფეხურებთან საყოფიერებელსა და ხის დიდ ნაგებობას შორის (იხ. გენ. გეგმა). სტრუქტურული თვალსაზრისით ძვ. წ. VI—IV საუკუნეების ფენა წარმოადგენს ნაკვეთის დასავლეთ ნაწილში მოყვითალო თიხანარს, ხოლო აღმოსავლეთში — ფხვიერ მოწითალო დამწვარ ფენას. ორივე მათგანი ძვეს ელინისტური

ხანს ქვაყარლის ქვეშ, უშუალოდ თირზე. ფენათა საშუალო სიძლიერე 0,25—0,35 მ-ია. აღსანიშნავია, რომ თირის ზედაპირს არ ეტყობა ადამიანის ნაპოვებლად ჩაბრუნებული კვანძების თხიანობა და ფხვიერება წითელმა ფენამ ერთგვაროვანი მასალა მოგვცა, რაც საშუალებას გვაძლევს ორივე ფენის მასალა ერთად წარმოვადგინოთ. გვხვდება ძირითადად ავტოლობრივი თხის ქურქლის ფრაგმენტები. ერთადერთი ნატეხი შევლავიანია ქურქლისა, რომელიც აკეთისა და ლაის ხარისხის მიხედვით შეიძლება მივიჩნიოთ ატიურ ნაწარმად. ძვ. წ. VI—IV საუკუნეების კოლხური კერამიკული ნაწარმიდან გვხვდება ქვევრების (65), ქოთნების (86), დერგების (8), ჭამების (1), სასმინების (3) ფრაგმენტები. ქვევრებში ჭარბობს მუხუნაპირიანი, ყავისფერკეციანი კვლების ფრაგმენტები, შემოქმედებული რელიეფური ქედებითა და ღარებით: ღარები პირიზონტალურია, ვერტიკალური ან დახრილი. მუხუნაპირიანი ფრაგმენტები კეცის სისქე 2,5—0,7 მ-ია. რუხქვიანი ქვევრების კვლების სავი ფრაგმენტი შეგვხვდა მხოლოდ. პირის გვირგვინის მხოლოდ სავი ფრაგმენტი, სამკუთხაპირიკეციანი (კატ. № 685—687). დერგების პირ-ყელის ფრაგმენტებში ორი ვარიანტი განიხილება. ერთისთვის დამახასიათებელია ქოთნისებური სადა პირის კიდე, ხოლო მეორე ქვევრების პირის გვირგვინულ მოგვაგონებს პირის მოყვანილობით (კატ. № 691, 692, სურ. 132). დერგების კვლები ხშირ შემთხვევაში ქვევრების მსგავსადაა შექმნილი. დერგების კვლების ფრაგმენტებზე შეიძლება იქნეს მიჩნეული წითელიკეციანი ფრაგმენტები, რომლებიც შემოქმედებული რელიეფური ქედები. ხშირად მათზე ღარებიც გვხვდება. კეცის სისქე 0,5—0,6 მ-ია. ქოთნების ფრაგმენტების უმრავლესობა კვლებისაა. განსაკუთრებით ხშირია წნეხით გამოყვანილი პრიალა ზოლებით შემოქმედებული ნიშნები. ასევე გავრცელებული ჩანს სადაზღვედაპირიანი, შავ- და ყავისფერკეციანი ქოთნები. ერთი ფრაგმენტი კანელირებული ქურქლის კვლებს (კატ. № 704). აღრანტიური ხანისთვის ნეტად დამახასიათებელი ბრეტელისებრი, ირიპალისებრი, პირმოყვანილი ჭამები ერთი ნიმუშითაა წარმოდგენილი (კატ. № 697). სასმისებიდან გვხვდება ცილანდრულტანიანი (კატ. № 700), კონუსისებრი (კატ. № 698) და ფხვიეროვანი ფრაგმენტი (კატ. № 699). აქვე აღმოჩნდა

აგრეთვე სხვადასხვა ქურქლების კვლების ნატეხები, რომელთა რაობის დიდგნა მცირე ზომის გამო მხვდება. რამდენიმე მათგანი ორნამენტურულია (კატ. №№ 701—703, სურ. 125).

აღრანტიური ხანის მასალა მოგვცა ყვითელი თხიანობის ქვეშ მდებარე ფხვიერობა, ნაცრისფერობა ფენამ (კატ. №№ 709—713), თუმცა მცირე რაოდენობით.

გარდა განხილული ფენებისა, აღრანტიურ-ხანის მასალა აღმოჩნდა აგრეთვე 220-ე ნაკვეთის №3 კვლარატივი კირქვის ანაკეციები ფენაში (კატ. №№ 714—716), 211-ე ნაკვეთის №2 და 222-ე ნაკვეთის №7 კვლარატივში ფრაგმენტები თირში ჩაჭრილი ორმოგებში (კატ. №№ 717—721) და სხვ.

აღრანტიური აგრეთვე აღრანტიური ხანის კერამიკის შემთხვევითი აღმოჩენებიც. კერძოდ, ასეთ აღმოჩენათა რიცხვს ეკუთვნის შავფიფრული ლეითოსის მზრის (კატ. № 722, სურ. 122) და რამდენიმე შევლავიანი ფრაგმენტი (კატ. № 723—725). ერთი მათგანი (კატ. № 723) მიეკუთვნება ძვ. წ. V ს-ის ატიურ სტიფოსს. დანარჩენი ორი ფრაგმენტი კეცისა და ლაის მიხედვით ასევე ატიურ ნაწარმად შეიძლება მივიჩნიოთ.

9.2. კულტურულ ფენებს გარდა, აღრანტიური ხანა ზედა ტერასზე წარმოდგენილია ნაკვებებითა და ე. წ. დახურული კომპლექსებით (სურ. 133).

ხის დიდი ნაკვებობა გაითხარა 211-ე ნაკვეთის $A_1-E_1-F_1-G_1-H_1-I_1-J_1-K_1-L_1-M_1-N_1-O_1-P_1-Q_1-R_1-S_1-T_1-U_1-V_1-W_1-X_1-Y_1-Z_1$ კვლარატივში. ეს მონაკვეთი ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 1961—1963, 1970 და 1973—1975 წლებს კამპანიების შესწავლის ობიექტი იყო.

1973 წელს 210-ე და 211-ე ნაკვეთების მიწაზე ხის ნაკვებობის ნაშთების დასავეთ კიდევსთან ვაკეთდა 12 მ სიგრძისა და 2 მ სიმაღლის სტრატოგრაფიული ჰრილი², რომელმაც ასეთი სურათი მოგვცა:

I. ჰუმუსნარევი ფენა, 0,50 მ სისქისა; მის ჩრდილოეთ ნაწილში ჩაჭრილი იყო დამწვარი მარცხელეთი ამოცხებული ორმო.

II. მონაციისფრო თხიანარევი ფენა, რომლის

² ჰრილი 1960 წელს იყო დაწვებული — იხ. გ. ლორთქიანიძე, ვანის ნაკვების I უბანზე 1961—1963 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები, ვანი 1, გვ. 137.

სიმძლავრე ზოგან 0,60 მეტრს აღწევს (ელნიბიტური ხანის მასალის შემცველი).

III. მოყვითალო თიხნარი ფენა, 0,30—0,75 მ სისქისა; თითქმის სტერილური.

IV. კირქვის ანატაკებიანი ნახშირნარევი და ნაქარნარევი ფენა (ჭრილის სამხრეთ ნაწილში), რომელსაც თითქმის ტალღოვანი ზედაპირი აქვს. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ თითქმის ანატაკები აქ გროვებდალ იყო დაყრილი.

V. ფხვიერი ნაწიწიფერი ფენა, 0,25 მ სისქის.

VI. ნახანძრალი მოწითალო თიხნარი ფენა (ჭრილს ჩრდილოეთ ნაწილში); 0,20 მ სისქის.

VII. ნაშლი თირის ფენა (თირის ზედაპირის დაშლის შედეგად წარმოშობილი), 0,20 მეტრი სისქისა (სურ. 134).

ბოლო ორი ფენა (წითელი თიხნარი და ნაშალი თირი) შეიცავდა მხოლოდ აღრეანტიკური ხანის მცირერიცხოვან კერამიკულ ფრაგმენტებს.

ზემოთ აღწერილი ჭრილის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით (211-ე ნაკვეთის ხ₁-ს—C-2 კვადრატები, 193-ე ნაკვეთის აგ-ბგ-7 კვადრატები) კორდოვანი ფენის ქვეშ მრავალად აღმოჩნდა ხის წნულის ანაბეჭდებიანი წითლად გამომწვარი ბათქამის ფრაგმენტები. ასეთი ბათქამები შემჩნეული უოფილა ჭერ კიდევ 1958 წელს. იმის გამო, რომ მათში დიდი რაოდენობით ჩანდა წინარეულინისტური ხანის კოლხური ქვევრების ნატეხები (სურ. 135), ნ. ხოშტარამ ისინი კერამიკული წარმოების ნაშთებად მიიჩნია (თუმცა ამ ახრს იგი ვარაუდს სახით გამოთქვამდა), ხოლო მათ შორის არსებული ყვეთილი თიხნარი ფენა კი — პლასტიკური თიხის მარაგად⁷³. 1960 წელს აქ ბათქამების ქვეშ, რომლებიც ხის ნაგებობის ნაშთებად იქნა მიჩნეული, თირში ამოკვეთილი მოვრძო, ოთხკუთხა ბუდეები აღმოჩნდა, ხოლო ბათქამნარევი ფენაში — აღრეანტიკური ხანის კერამიკა, ბრინჯაოს დიდი ჭურჭლის კედლის ორნამენტირებული ნატეხები, ბრინჯაოსვე გედის გამოსახულება და სხვა⁷⁴.

1970 და 1973—1974 წლების გათხრების შე-

დეგად დადგინდა, რომ საქმე გვაქვს ხის დიდ, თიხით შეღესილ ნაგებობასთან, რომელიც ხანძარში დაღუპულა (№ 25 გენ. გეგმაზე). შემორჩენილია ნაგებობის სამი — ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი კედლების ნაშთები (სურ. 136, 137).

ჩრდილოეთი კედელი 8 მეტრის სიგრძეზეა შემონახული; მისი სიგანე 2,5 მეტრს აღწევს. ფიქსირებულია კედლის შემკრავი ხის⁷⁵ გრძივი, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმართული ძელები ნაშთები და ბათქამები. ამ ძელებს შორის ფართობზე დადასტურებულია თიხა და ალაგ-ალაგ რიყის ქვების გროვები; აგრეთვე განივი ძელები, რომელთა შორის მანძილი ნაშთადად 1,80—2 მეტრამდეა. როგორც ჩანს, ჩრდილოეთი კედლის შიდა და გარეთა პერანგები ამოყვანილი უოფილა ხის ძელებით, რომელთა შორის სიგრძე ამოვსებული იყო რიყის ქვებზე დაყრილი თიხით. კედლის შიდა სივრცეს ოთხი ტიხარი კრავდა, ხის ძელებითვე ამოყვანილი (შდრ. სურ. 137, 139, 140).

როგორც ჩანს, ანალოგიური კონსტრუქცია ჰქონდა სამხრეთ კედელსაც, რომელიც ძლიერ არის დაზარეული. ეს კედელი 8 მეტრის სიგრძეზეა მოღწეული. მისგან შემორჩენილია მხოლოდ თირში ნაკვეთი ბუდეების ორი პარალელური (აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმართული) რიგი, ჩრდილოეთის გრძივი ძელი; ბუდეებშიც ალაგ-ალაგ ხის ძელების ნაშთებია შეჩინილი. ბუდეების მიხედვით შესაძლებელია კედლის სიგანის დადგენა — 2,5 მეტრი (ჩრდილოეთი კედლის მსგავსად). თირის ზედაპირს მთელ ამ ფართობზე ძლიერი ეცხვლის კვალი ამჩნევია — გაწეული ბუდეები. ბათქამები აქ შედარებით მცირე რაოდენობით შეგვევდა. კედლის სამხრეთი პერანგიდან მხოლოდ თირში ნაკვეთი ბუდეების ჩრდილოეთი ნაწილია შემორჩენილი, სამხრეთი ნაწილი ჩაჭრილი აქვთ გვიანდელ (ხის ნაგებობის ფუნქციონირების შემდეგ ამოკვეთილ) სამსხვერპლო არხსა და ორმოებს. მათ გვიანდლობაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ არხსა და ორმოებს ჩაჭრილი აქვთ თირის წითელი ზედაპირ⁷⁶.

⁷³ Н. В. Хоштарна. Ванская археологическая экспедиция 1960 года, გვ. 42; მისვე, Ванская археологическая экспедиция 1962 года, გვ. 105.

⁷⁴ კვლევან დედაქანში ამოკვეთილ ამ სწორკუთხა ფოსტებს გ. ლორთქიფანიძე „ორმოები“ უწოდდა და მათი სამეურნეო დანიშნულება იყარავდა. გ. ლორთქიფანიძე. ენის ნაქალაქარის I უბანზე 1961—1963 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები, გვ. 138—140, სურ. 60—82.

⁷⁵ ხის ნაშთები შესწავლილია საქ. მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში, პროფ. თ. კეხელი ხის ამ ნაშთებს ნაქალაქარს უწოდებს.

⁷⁶ ეს ფაქტი გამოირჩევა სამსხვერპლო არხსა და ორმოებს კავრის ხის საყურდო ნაგებობასთან, როგორც ამას ვარაუდობს გ. ლორთქიფანიძე. შდრ. Г. А. Лордкипანიძე. Атарри Ванского городища, გვ. 105.

არხის სიგრძე 5,40 მ-ია, სიღრმე — 0,30 მ. ის უეროდება 1 მ დიამეტრისა და 0,60 მ სიღრმის ორმოს. მეორე ორმოს დიამეტრი 0,80 მეტრია, სიღრმე — 0,40 მეტრი (სურ. 142).

საინტერესო სურათს იძლევა ნაგებობის დასავლეთი კედელი (სურ. 143). აქ 25 მეტრი სიგრძისა და 5 მეტრი სიგანის ფართობზე გამოვლინდა თორში ჩაჭრილი ბუდეებს ორი პარალელური რიგი, რომელიც ერთმანეთისგან დაცილებულია 2 მეტრით, ხოლო თითოეული ბუდე მის მჭკრივში მდებარე ბუდისგან 1,5 მეტრით. შიდა (ანუ აღმოსავლეთ) რიგში ასეთი ბუდე 10-ია, ხოლო გარეთა, დასავლეთ რიგში — 13. ბუდეები სწორკუთხა მოყვანალობისაა, წაგრძელებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. შიდა რიგში მათი სიგრძე 1,50 მეტრია, გარეთა რიგში — 1,15 მეტრი. შიდა რიგის გაგრძელებაზე ჩრდილოეთით (193-ე ნაკვეთის ხე კვადრატ) ფიქსირებულია ერთი გრძივი, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ წაგრძელებული ბუდე; სამხრეთ გაგრძელებაზე კი — ორი გრძივი ბუდე. გარეთა, ე. ი. დასავლეთ რიგში ასეთი გრძივი ბუდე მხოლოდ სამხრეთ კიდეზე არის დადასტურებული. აღსანიშნავია, რომ დასავლეთი კედლის ბუდეება სეკულარება ჩრდილოეთ კედლის ნაშთებს და მის ჩრდილოეთითაც გრძელდება, შესაძლოა, ნაგებობას კიდევ ჰქონდა ჩრდილოეთი კედელი (ორ სათავსოიანი იყო), რომელმაც ჩვენამდე არ მოაღწია. ბუდეების ერთ ნაწილში შემორჩენილია მათში თავის დროზე ჩასმული ხის ძეგლების ნაშთები (სურ. 144—146). ერთ მათგანში გრძივი და ვანივი ძეგლების გაღაბმის კვანძოვან დადასტურებული (სურ. 144). ზოგან გაღაბნილია ბუდეებს შორის გადებული ძეგლის ნაშთიც (სურ. 144). ზოგ ბუდეში რიყის წვრილი ქვების შეგებდა. ისინი აღბათ ბუდეში ხის ნაწილებს გასაქვედად იყო ჩადებული. ერთ-ერთ ბუდეში (გარეთა რიგის მარჯვნიდან IV ბუდეში) ჩანს ხის ნაგებობის დანგრევის შემდეგ გადაკეთების კვალი — ბუდე გაფართოებულია და ამოკესებულია თარის უხეშად დამუშავებული ქვებოთ (სურ. 2, გენ. გეგმა).

ბუდეებს შორის მდებარე მთელი ფართობი დაუარული იყო ძლიერი ხაჩრის შედეგად გადამწვარი კედლის შელესილობის — ბათქაშების ნაშთრეკვებით (სურ. 136). ზოგიერთ მათგანზე აშკარად შე-მჩნევა ხის წვრილი ტოტების ანაბეჭდები.

ზოგ სადა და მოსწორებული ზედაპირი აქვს. ერთ ნატეხზე ფიქრის ანაბეჭდი არის შემორჩენილი, ხოლო ორ მათგანზე თხილის ფოთლის ანაბეჭდია. ბათქაშების დიდი ნაწილი ამორთულ მასალ არის ქვეული. ალაგ-ალაგ კი ბათქაშების ნატეხები თითქოს აგურებს მოყვანონებენ (0,10 მ-მდე სისქის). ასეთი ნატეხების კედლის შელესილობად მიჩნევა გაჭირდებულა. ისინი შესაძლოა იატაკის მოლესილობის ფრამენტებს წარმოადგენენ.

დასავლეთი კედლის ბუდეების რიგებს შორის თირის ზედაპირი მოსწორებულია. ზედაპირზე ჩანს კიდევ იარაღის კვალი. თირის ზედაპირის პრეპარაციის დროს მოიხსნა მის თავზე მდებარე მკერძი მონაცრისფრო-შავი ფენა (ხის ფერფლის კვალი?). ბუდეების კედლებზე და მათ გარშემოც თირის ზედაპირი ვაჭითილებულია და ძლიერი ცეცხლის კვალს ატარებს. დასავლეთი კედლის სიგანე 5 მეტრს აღწევს. ეს გარემოება და აგრეთვე ბუდეების რიგებს შორის თირის ზედაპირის ნივთიერება გვაფიქრებინებს, რომ აქ ერთიანი კედელი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ დეიტეფანი.

აღმოსავლეთი კედლის არავითარი ნაშთი არ შემორჩენილა, არც თირის ეტყობა აქ კედლის ოდესმე არსებობის კვალი. როგორც ჩანს, ნაგებობა აღმოსავლეთი მხრიდან ღია იყო (სურ. 149).

კედლებს შორის მოქცეული ფართობი (9,5X9 მ) მთლიანად იყო ამოკესებული ერთბაშად დაყრილი ყვეთელი თიხნარით (იატაკის მომზადება?). თიხნარის ქვეშ ნაგებობის დასავლეთ კედელთან რიყის წვრილი ქვების ფენილიც არის დადასტურებული. დანარჩენ ფართობზე კი თიხნარის ქვეშ ძვეს ნატრისფერი ფხვიერი ფენა, რომელიც შეიცავს წინარეობილურ ხანის (ძვ. წ. VII—VI სს.) კერამიკასა და ბრინჯაოს ისრისპირის (კატ. №№ 924, 925, 926, სურ. 123). ნატრისფერი ფენა უშუალოდ თირზე დევს, რომლის ზედაპირი ამ ადგილას თითქმის პორიზონტალურია, ოდნავი დაქანებით აღმოსავლეთისკენ. თირის პრეპარაციამ გამოავლინა სხვადასხვა დიამეტრისა (0,20—0,30 მ) და სიღრმის (0,20—0,25 მ) ორმოები, რომელთა ვანლაგება არავითარ კანონზომიერებას წარმოარჩილება. მათ შესახებ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ისინი ხის ნაგებობის აშენებაზე ამოკვეთილი.

ხის ნაგებობა ამოყვანილია თირზე, რომელსაც, როგორც აღინიშნა, პორიზონტალური ზე-

დაპირი აქვს. ნაგებობის დასავლეთით და სამხრეთით კი თირი დაქანებულია, ღრმად არის ღარი-სებურად ჩაჭრილი. ეს ფართობი მთლიანად იყო ამოკსებული რიყის ქვებით (სურ. 148, 150), რომელთა შორის თხსა იყო შერეული. აქა-იქ ხის ძელების ნაშთებია დადასტურებული. ქვაყაროში რკინის ლერწმნები (კატ. № 730—738, სურ. 151) და თითო-ორი კერამიკული ფრაგმენტი (კატ. №№ 726—729, სურ. 152) აღმოჩნდა. ქვაყაროში ქვის ხელსაწყოების ზედა ნაწილიცაა ფიქსირებული (კატ. № 740, სურ. 152), რომელიც რიყის ქვებთან ერთად უნდა მოხვედრილიყო აქ. ქვაყაროს თავზე დადასტურდა გამოყვანილი თხის ფენა (სისქე 0,10 მ) — იხ. ჰრილი, სურ. 134.

რეგორც ირკვევა, ნაგებობის გარშემო ფართობი საგანგებოდ იყო მოშუადებული ხის შენობისათვის. ზედაპირის ნიეკლირებისათვის გამოუყენებიათ რიყის ქვები, რომლითაც ამოუსიათ ნაგებობის სამხრეთით და დასავლეთით არსებული ღარი; ქვაყაროი ხის ძელებით გაუმგებიათ და თხით გადაუღვიათ. აქაც, ნაგებობის კედლების მსგავსად, ყველგან შეინჩნევა ხანძრის კვლი — რიყის ქვები ცეცხლისგან გაწითლებულა და ზოგჯერ დაეოქილია კი; ხის ძელები დანახსრებულია; ქვაყაროს თავზე არსებული თხის მკლესილობის ფრაგმენტები ცეცხლშიცაა გამოყვანილი.

ნაგებობის სამხრეთ და დასავლეთით ჩაჭრილი ფართობიდან ქვაყაროი აყრის შემდეგ გამოჩნდა ცეცხლისგან გაწითლებული თირი და მასში ამოკვეთილი ვიწრო (0,15—0,20 მ სიგანის) ღარი (სამსგებრო ღარი?), რომელიც ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთიდან იემმარაბა ალმოსავლეთისკენ და შედის გაუთხრელ ფართობში (სურ. 154). ღარის ზედაპირიც გაწითლებულია. რეგორც გაწითლებული თირი მიგვანიშნებს, ამ ადგილის რიყის ქვებითა და თხით ამოკსებამდე თირის ზედაპირი გამოშვლებული იყო და ზედ ხის ნაწილები იწყოდა. ეს გარემოებაც ადასტურებს ღარის ამოსავსებად ქვებისა და თხის აქ ერთბაშად დაყრის ფაქტს.

ხის ნაგებობის კედლების ნანგრევებში საკმაო რაოდენობით არის ფიქსირებული მასალა, წარმოდგენილი ძირითადად წინარეკლიანობის ბუნის კოლხური და ძვ. წ. V ს. ატიური კერამიკის ფრაგმენტებით (კატ. №№ 741—795, სურ. 155—

160). განსაკუთრებით მრავლად იჩინა მან თავი სამხრეთ კედელში (კატ. №№ 795, 788—794). ბათქაშების წმენდის დროს ოქროს პატარა ღილაკი აღმოჩნდა, რომელიც ელინისტურ ხანას განეკუთვნება და, ალბათ ახლომხლო დარღვეული სმარხებიდან თუ მომდინარეობს (კატ. № 796). ყვითელი თხნარი, რომელიც კედლებს შორის სიერცეშია დადასტურებული, არაერთარ ნაშთებს არ შეიცავდა. ხლო მის თავზე მდებარე კორლოვანმა ფენამ აღრანტიური ხანის კოლხური და იმპორტული კერამიკა მოგვცა (კატ. №№ 55—76, სურ. 4, 6). რეგორც უკვე აღინიშნა, თირში ჩაჭრილი ღარში არსებულმა ქვაყაროშიც მოგვცა მასალა, თუმცა შედარებით მცირე რაოდენობით და ძირითადად რკინის ლურსმნებით წარმოდგენილი (კატ. №№ 730—738, სურ. 151). აღსანიშნავია, რომ ნაგებობის ნაშთების დასავლეთ კედლსთან ფიქსირებულ კირქვის ანატაკეებით ფენაში აღმოჩნდა აღრანტიური ხანის კერამიკის თითო-ორი ფრაგმენტი (კატ. №№ 218—222, 234); მათ შორისაა ქოსური ამფორის კედლები (კატ. № 234), რომლებიც ხის ნაგებობის ნაშთებში აღმოჩნულ ამფორას ეკუთვნის (კატ. № 787).

ხის განხილული ნაგებობის არქიტექტორა. ეიფიანისეული რეკონსტრუქცია იხ. სურ. 161.

9,3. ხის განხილული დიდი ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 193-ე ნაკვეთის ი4—ი4—კ2-4 კვადრატებში ფიქსირებულია ძლიერი ხანძრის შედეგად დანგრეული, თხით შეღისილი ხის კიდვე ერთი ნაგებობის ნაშთები (№ 23 გენ. გეგმაზე) — გადაშვარი და წილად ქცეული თხის გუნდები, რომლებზეც შერჩენილია ხის ანაბეჭდები, და რომლებშიც შერეულია თხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1974 წლის გათხრები). ამ ნაგებობას პირობითად, ზემოთ განხილული ხის დიდი ნაგებობისგან გასარჩევად, „ბათქაშებიან ნაგებობას“ ვუწოდებთ. ნაშთების სიმცირის გამო არ ისახება ნაგებობის გეგმა და არც ხის დიდ ნაგებობასთან მისი დამოკიდებულების დადგენა ხერხდება. თუმცა ის კი შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი ნაგებობა თანადროულია თითქმის და ერთდროულადაა დანგრეული. შესაძლოა „ბათქაშებიანი ნაგებობა“ ხის დიდ ნაგებობაზე უფრო ძველია, რაზეც უნდა მიუთითებდეს მასში აღმოჩენილი ადგილობრივი კერამიკის ერთი ჭვფის რამდენადმე უფრო არქაული იერი: რელიეფურწარებიანი ქვევრის კედლის

(ჯატ. № 799, სურ. 162, 165) და ოთხკუთხეაგანი-
კვითანი პირის გვირგვინის (ჯატ. № 798, სურ.
162, 163), კანელარებულზედაპირიანი ჭურჭლის
(ჯატ. №№ 806, 807, სურ. 162, 163), ზომორ-
ფული ყურებისა (ჯატ. №№ 814, სურ. 163, 164)
და ზომორფულზე ქანდაკების (ჯატ. № 816,
სურ. 164, 165) და სხვა ფრაგმენტები. ადგი-
ლობრივი კერამიკის ძირითადი ნაწილი კი, ისე-
ვე როგორც იმპორტი, ხის დიდი ნაგებობის ნაშ-
თებზე აღმოჩენილი მასალის ანალოგიურია.

ხის ორივე ნაგებობაში აღმოჩენილი მასალა
ძირითად ნაწილს წინარეველინისტური ხანის ადგი-
ლობრივი კერამიკა შეადგენს (ჯატ. №№ 741—783,
798—816), რომელიც წარმოდგენილია ისეთი და-
მხასიათებელი ფორმებით, როგორიცაა ჭევერე-
ბი, დერაკები, ქოთნები, ტავისებური ჭურჭელი,
ჭამები და სხვ. აღსანიშნავია, რომ ამ მასალაში
შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება სუფ-
რის ჭურჭელი. ასე მაგალითად, თითო-თითო ნი-
მუშის სახით გვაქვს ჭამები, დოქები და სასმისე-
ბი. აქვეა ფიქსირებული კოლხური კერამიკის რამ-
დენიმე ნიმუში, რომელსაც უშუალო ანალოგია
ვანის ნაქალაქარის სხვა უბნების მასალებში არ
მოუპოვება (ჯატ. №№ 799, 809, 810, სურ. 162,
165).

რამდენადაც წინარეველინისტური ხანის კოლ-
ხური კერამიკა ზოგადად თარიღდება ძვ. წ. VI—
IV საუკუნეებით, ხის ნაგებობების დათარიღება-
ში გვადამყვებელი როლი იმპორტულ კერამიკას ენი-
ჭება. შემოტანილი თიხის ჭურჭელი ამ ძეგლების
გათხრისას მოპოვებული მასალის მცირე ნაწილს
შეადგენს, მაგრამ მასში რამდენიმე ჭკუფი გა-
მოყოფა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მოზა-
ტილი კერამიკის რამდენიმე ნაგებობა (ჯატ. №№ 817
—819, ვერსია. 122)⁷⁷, რომლებიც მიეკუთვნებიან
ანტიკური მხატვრული კერამიკის იმ სახეობას, წმინ-
და ვალენტინის ჭკუფის სახელით რომ არის ენო-
ბილი სპეციალურ სპეციეიერი ლიტერატურაში⁷⁸.
ამ ჭკუფის ვახვების წარმოება ათენში ძვ. წ. 450
წლ-ს ახლო ხანებში იწყება და საუკუნის ბოლომ-
დე გრძელდება.

⁷⁷ ვი. 111, თბ., 1977, გვ. 115 და შ. სურ. 113.

⁷⁸ შტ. S. Howard, F. P. Johnson. The Saint-Valentin Vases, AJA, vol. 58, № 3, 1954, გვ. 191—207, ტაბ. 32—34.

შავლაკიანი კერამიკა წარმოდგენილია სციფო-
სებისა (ჯატ. №№ 794, 820, სურ. 164) და კილი-
კების (ჯატ. № 823, სურ. 164, 165) ფრაგმენტებით.
სციფოსები მიეკუთვნებიან A (ატიკურ) ტიპს (ათე-
ნის აგორის მასალების კლასიფიკაციის მიხედვით)⁷⁹
და ძვ. წ. V საუკუნით თარიღდებიან. შავლაკიანი
კილიკის ერთ-ერთი ძირი (ჯატ. № 823, სურ. 164,
165) ენებითა და ოვეებითაა შემკული (ე. წ. deli-
cate class — ათენის აგორის მასალების კლასიფი-
კაციის მიხედვით)⁸⁰; იგი ძვ. წ. 420 წლ-ით თარიღ-
დება⁸¹.

მეტად სანტერესო ჭკუფს შეადგენენ წითელ-
ლაკიანი⁸² სციფოსები (ჯატ. №№ 788—791,
821, სურ. 159, 164) და კილიკის ძირი (ჯატ.
№ 824, სურ. 164, 165). ფორმითა და ორნამენ-
ტით ისინი ზემოთ განხილული შავლაკიანი ნიმუ-
შების ანალოგიურობა და, შესაბამისად, ძვ. წ. V
ს. და ძვ. წ. 420 წლ-ს მიეკუთვნებიან.

რაც შეეხება ქიოსურ ამფორას, რომელიც ხის
ნაგებობაში აღმოჩნდა, ის ძვ. წ. V ს. მეორე ნახე-
ვარს მიეკუთვნება⁸³.

ამრიგად, იმპორტული კერამიკა იძლევა ხის
ორივე ნაგებობის დაწვის თარიღის განსაზღვრის
შესაძლებლობას. აშკარაა, რომ ეს ნაგებობანი
დანგრეულია არა უადრეს ძვ. წ. V ს. მეორე ნახე-
ვისას, ძვ. წ. V ს-ის ბოლოს ან IV ს-ის პირველ
ნახევარში.

9.4. ხის ნაგებობებს გარდა ზედა ტერასაზე
ფიქსირებულია წინარეველინისტური ხანის ქვ-ს
ნაგებობათა ნაშთებიც. კერძოდ, აღრეანტიკურ-

⁷⁹ შტ. B. A. Sparkes, L. Talcott. Black and Plain Pottery of the 6th, 5th and 4th Centuries B. C., The Athenian Agora, vol. XII, part I, გვ. 84—85, ტაბ. 16—17, სურ. 4.

⁸⁰ შტ. B. A. Sparkes, L. Talcott. დასახ. ნაშრ., იქ. 270.

⁸¹ იქვე, გვ. 270, № 498, ტაბ. 50.

⁸² წითელი ლაკი, შესაძლოა, შემთხვევით იყო მიღებული: ან გამოწვის მეორე (ე. წ. აღდგენით) საფეხურზე ჭურჭელში ჰაერის შეღწევის შედეგად, ან ლაკის ფენის სითხის გამო, რამაც ლაკი არის ეანგაბის შეთვისების საშუალება გამოწვის შესამდე (რე-ოქსიდირების) საფეხურზე. არც ეს არის გამოირიყბელი, რომ წითელი ლაკი სანაგებოდ არის მიღებული. მით უფრო, რომ, როგორც ცნობილია, ძვ. წ. 540—460 წლ-ში ათენელი კერამიკოსები წითელ და შავ ლაკს ერთდროულად იყენებდნენ ჭურჭლის შესაბამად — შტ. J. M. A. Richter. Accidental and Intentional Red Glaze on Athenian Vases, JHS, XLVI, 1951, გვ. 143—150.

⁸³ იხ. რ. ფ. უ. ო. რ. ძვ. იმპორტული ამფორები ვანის ნაქალაქ რიდან, ვი. II, გვ. 80, ტაბ. 120.

ხანის ქვის ნაგებობის ნაშთები აღმოჩენილია ყუ-
ოელი თიხნარის ზეცხლის ქვეშაც. აქ, ზეცხლ-
სამხრეთ კიდეებთან (221-ე ნაკვეთის ხ_ა—ხ_ბ კვად-
რატები — გენ. გეგმაზე № 15), გაიწმინდა მცირე
ზომის თეთრი კირქვისა და თირის ქვებით ნაგები
შენობის ნაშთები. შემორჩენილია მხოლოდ აღ-
მოსავლეთი და ჩრდილოეთ კედლების წყობის
2—3 რიგი (სურ. 166—168). აღმოსავლეთი კედ-
ლის ფრაგმენტი 1 მეტრი სიგრძისაა, ჩრდილოე-
თისა — 1,20 მ. სამხრეთი და დასავლეთი კედლე-
ების არაერთი კვალი არ არის ფიქსირებული. კედ-
ლები უშუალოდ თირზე იდო. მათ ჩაჭრილი ჰქონ-
დათ ადრეანტიკური ხანის კულტურული ფენა.
კედლის თავზე სტრატეგრაფიული ჰრილი ზემოდ-
ან ქვემოთ ასე წარმოვლდება: I. კარლევანი
ფენა, II. ყვითელი თიხნარი, III. შუქი ნაცრის-
ფერი ფენა ნაშალი თირის შემადგენლობით (სურ.
168). ყვითელი თიხნარი თითქმის სტერილური
აღმოჩნდა. მასში მხოლოდ ერთი ნატეხი შეგვხვ-
და — ელინისტური ხანის პორიზირებულიარგემი-
ანი ქვევრის კედლისა. თირნარევე ნაცრისფერ ფე-
ნაში თავი იჩინეს რიყის ქვებმა, ძვლებმა და მცირე
რაოდენობით უსახო კერამიკამ.

თირის თავზე კედლებთან დადასტურდა ად-
რეანტიკური ხანის კოლხური კერამიკა, კერძოდ,
წითელკეციანი ქვევრების კედლების მ ფრაგმენტ-
რამლები შემკულია რელიეფური პორიზონტა-
ლური და ვერტიკალური ქედებით და არაღრმა
პორიზონტალური ლაგებით, ირიბკალთიანი, შიჯ-
ნით პირგადახრილი, შვეკციანი ჭამების 2, სკვა-
დასხეა შვეკციანი ჭურჭლის ყურების 3 ფრაგმენ-
ტი. თირის თავზევე აღმოჩნდა ბრინჯაოს გაუკ-
ვეკლი ნივთის მცირე ზომის ფრაგმენტი.

აღნიშნული ნაგებობის ნაშთები ზედა ტერა-
საზე დღემდე აღმოჩენილ ქვის შენობათაჲან ყვე-
ლაზე უფრო ძველი ჩანს: სტრატეგრაფიული 3-
ნაკვეთებით იგი ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისით უნ-
და დათარიღდეს.

9,5. თეთრი კირქვისა და თირის ქვებით ნაგე-
ბი კედლის ნაშთი — წყობის ერთი რიგი — აღმოჩ-
ნდა 222-ე ნაკვეთის გ_ა—ი_ა კვადრატებში (გენ.
გეგმაზე № 16). კედელი უშუალოდ თირზე იყო
ამოყვანილი. იგი 2,15 მ სიგრძეზეა მოღწეული.
მის ძირში ნაშალი თირის ფენაში ადრეანტიკური
ხანის კოლხური კერამიკის უსახო ფრაგმენტები
აღმოჩენილი.

9,6. ნაგებობებს გარდა ზედა ტერასაზე ფიქ-
სირებული კიდე ერთი დახურული კომპლექსი —
კერძოდ, ზედა ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ კი-
დესთან გამოვლინდა გაწითლებული თირის ქვე-
ბით მოგებული „მოედანი“ (№ 32 გენ. გეგმაზე).
იგი მოიცავდა 223-ე ნაკვეთის ა_ა—ა_გ კვადრატებს
მთლიანად და ა_გ—ა_დ კვადრატების სამხრეთ ნა-
წილს. „მოედნის“ თავზე ფენათა შემდეგი მონა-
ცელებობა დადასტურდა (ზემოდან ქვემოთ): I. ჰუ-
მუსური ფენა, 0,25—0,35 მ სისქის; II. მოყვითა-
ლი თიხნარი, 0,30 მ სისქის; III. მონაცრისფრო
თიხნარი, 0,30—0,40 მ სისქის; IV. კრამიტნარევე
ქვაყრილი, 0,50 მ სისქის; V. თირნარევი ფენა,
0,30—0,35 მ სისქის. აქედან ჰუმუსური, მოყვითა-
ლი თიხნარი და თირნარევი ფენები არ შეიკავდა
კულტურულ ნაშთებს, ხოლო მონაცრისფრო თიხ-
ნარმა და კრამიტნარევე ქვაყრილმა კი ელინისტუ-
რი ხანის მასალა მოგვცა⁸⁴. საკუთრივ მოედანი
შეუდგებოდა ქვების სამი ფენისგან, რომლის სა-
ერთო სისქე 0,30—0,35 მ-ს აღწევდა. ქვებმა მო-
რის ფხვიერი თირი იყო შერეული. „მოედნის“
კიდეები დაზიანებული იყო. შესაძლოა, მას თავდა-
პირველად ოთხკუთხა მოყვანილობა ჰქონდა (სურ.
169). მისი ფართობი დაახლოებით 12 მ²-ს შეად-
გენდა. „მოედანი“ გამართული იყო 0,20—0,25
მ სისქის საფარებზე გაფხვიერებული თირის ფე-
ნაზე. ის უქანასკნელი უშუალოდ დედაქანზე
(თირზე) იყო და სცილებდოდა „მოედნის“ ფარგ-
ლებს; კერძოდ, ვრცელდებოდა ა_ა—ა_დ კვადრატე-
ბის ჩრდილოეთ ნაწილშიც. თირის ქვები ძლიერი
ცეცხლის შედეგად უნდა გაწითლებულიყო. რო-
გორც ჩანს, ისინი ადგილზევე მოხედა ცეცხლში.
ამას მოწმობს ის ვარდობება, რომ „მოედნის“ გარ-
შემო თირის ზედაპირი ასევე გაწითლებული იყო.
მოედნის აყრისას თავი იჩინა ძვ. წ. VI—IV საუკუნე-
ების კოლხური თიხის ჭურჭლის (ქვევრების,
დერგების, ქოთნების, სასმისის, მათარსებულის
ჭურჭლისა და სხვ.) ფრაგმენტებმა (კატ. №№ 827
—847, სურ. 171—179). აღსანიშნავია, რომ კომპ-
ლექსში ერთდროულადაა წარმოდგენილი ქვევრე-
ბის პირის გვირგვინების სამი ვარიანტი: ა) სამ-
კუთხაბანიეკეთიანი (კატ. №№ 827, 828, სურ.
173), ბ) ოთხკუთხაბანიეკეთიანი (კატ. № 829) და
გ) ე. წ. ისრიბარსებური (კატ. № 830, სურ. 171),

⁸⁴ დაწერილებით იხ. ზემოთ, გვ. 12.

რაც მათ თანადროულობაზე უნდა მიუთითებდეს. სანკუთხაგანდევითიანი გვირგვინების ზედა გვერდი ტალღოვანი ორნამენტით არის შემკული, ხალო ვარეთა გვერდი — ჭარბეღინი ხაზებით; ოთხკუთხაგანდევითიანი გვირგვინის ზედა გვერდზე წიწკოვანი ორნამენტია დატანილი, ვარეთა გვერდზე კი — რომბული ბაღე; ისრისპირასებრი შოყვანალობის გვირგვინის ფრაგმენტზე ზედა გვერდის კიდე ირბი ჭლებით არის შემკული, ვარეთა — რომბული ბაღით. ორნამენტი სამივე ვარიანტზე სავარცხლისებური იარაღით არის გამოყვანილი. დანარჩენი ფრაგმენტებთან ყურადღებას იქცევს მათარიგებური ტურჭლის კედლის ნატეხი (კატ. № 847, სურ. 179). ესაა ვანის ნაქალაქარზე ამ ტიპის ტურჭლის აღმოჩენის ჭეჩქაროვით ერთადერთი შემთხვევა.

ძვ. წ. VI—IV საუკუნეების კოლხურა კერამიკა (ქვევრების, ზომორთფული ყურის, ყურმილიანი დოქის ფრაგმენტები — იხ. კატ. №№ 858 -- 875, სურ. 175) ფიქსირებული იყო გაწითლებული თირის ქვიშის ქვეშ დადასტურებულ ვახუჩვებზედ ქვიშაქვის (თირის) უნაქვი. აქვე აღმოჩნდა წითელფიგურული, ღია ტიპის ტურჭლის კედლის მკირე ზომის ფრაგმენტი (კატ. № 874). 223-ე ნაკვეთის a₄—a₅ კვადრატებში ნაშალი თირის ფენას უშუალოდ თირის თავზე გასდევდა მოშვო ფერის ნახანძარი შრე. მასში გამოვლენილ კერამიკულ ფრაგმენტებს (ძირითადად ქვევრებისა და ქოთნების) ძლიერი ცეცხლის კვალი აჩნია (კატ. №№ 876—891). „მოედნის“ გაგრძელებაზე ჩრდილოეთით (223-ე ნაკვეთის a₄—a₅ კვადრატების ჩრდილოეთ ნაწილში) გაფხვრებულთი თირის თავზე ნაცრისფერი ნახშირნარევი ღენა იდო, რომელშიც ძვ. წ. VI—IV საუკუნეების კოლხური კერამიკისა და ღია ტიპის შავლაქიანი ტურჭლის ფრაგმენტებთან ერთად (კატ. №№ 848—867, სურ. 172, 175—177) დადასტურდა დიდი რაოდენობით ცხოველთა ძვლები — ძროხის, ღორის, შვლის, ძაღლის⁸⁵.

აპრიგად, საქმე უნდა გვიჩინდეს რიტუალურ მოედანთან. რიტუალში, როგორც ჩანს, ვარკვეულ როლს მარულბედა ცეცხლი. სწორედ მის შედეგად უნდა იყოს გაწითლებული თირის ქვიშაქვი და მოედნის გარშემო თირი. აღსანიშნავია,

რომ „მოედნიდან“ 0,75 მ დაცილებით თირის პრეპარაციის დროს აღმოჩნდა ქალის (ქალმებრთის?) ტერაკოტული ქანდაკება (კატ. № 892, სურ. 179), ადგილობრივი თიხისაგან გამოძერწილი.

9,7. ელანისტური ხანის მოედნებზედ საკურთხეველი (№ 1 ნაგებობის) შინა ფართობზე თირის პრეპარაციამ თირში ნაკვეთი რთული კომპლექსი გამოავლინა, რომლის შესახებ ნაწილობრივ უკვე იყო ზემოთ საუბარი. კომპლექსი შედგება ღრმულის, ორი ურთიერთგადამკვეთი არხისა და ორი ორმოსავან (სურ. 91, 82; ვენ. გეგმაზე № 8, 9, 10). სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიმართული არხის სიგრძე 26 მ-ია (იგი, როგორც აღინიშნა, სცილდება № 1 ნაგებობის ფარგლებს); მისი სიღრმე ყველაგან ერთნაირი არ არის, ბოლოებისკენ სიღრმე მცირეა (0,20 მ), შუისკენ კი არხი თანდათანობით ღრმავდება. აქ სიღრმე 1,50 მ აღწევს. მეორე არხი, ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ რომ მიემართება, ღრმულს უერთდება. არხის სიგრძე 13 მ-ია, მისი სიღრმე ღრმულისკენ მატულობს და 2,70 მ-ს აღწევს. ღრმული არ არის დიდი ზომის. ეს სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ გრძელდება, მაგრამ თანდათანობით ვიწროვდება. ამის გამო ღრმულის ბოლოზე გაშენდა ჩასილუ-ლი მიწისგან არ ზერხდება. ორმოების სიღრმე არ არის დიდი (0,30 მ). ისინი აახებებს უერთდება.

უკვე აღინიშნა, რომ კომპლექსი საფეხურებიანი საკურთხეველის აგებამდე გამოკვეთილი. კომპლექსი წინარეგონისტურ ხანას (ძვ. წ. VI—IV სს.) მიეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ აჩვენა-ლოგიური მასალა, წარმოდგენილი მხოლოდ და მხოლოდ ძვ. წ. VI—IV სს-ით დამაირილებულა ადგილობრივი კერამიკით, ფიქსირებულია მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიმართული არხის აღმოსავლეთ ნახევრის აღმოსავლეთ კიდეში, რომელიც არხის დანარჩენი ნაწილისაგან განსხვავებით არხების გადაკვეთის ადგილისკენ კი არ იყო დახრალი, არამედ აღმოსავლეთისკენ. ამ ნაწილში არხი ამოვსებული იყო გაფხვიერებულთი თირით, რომელშიც შეერული იყო წინარეგონისტური ხანის კოლხური კერამიკა (კატ. №№ 895—922, სურ. 180, 181). გაფხვიერებული თირის თავზე დაფიქსირებულია (210-ე ნაკვეთის b₂ კვადრატში) რიყის წვრილი ქვების,

⁸⁵ ოსტროლოგიური მასალა განსაზღვრა ზოლოგმა მ. გაბრეკლამ.

წილების, გაწითლებული თირის ქვებისა და ბათქაშების ნატეხებისგან შემდგარი ყრილი, რომლის სისქე 0,20 მეტრს არ აღემატებოდა (სურ. 90). ყრილის თავზე გადადიოდა ნახშირნარევი თირის ფენა, რომელშიც ძვ. წ. VI—IV სს. კოლხური კერამიკა აღმოჩნდა. როგორც ჩანს, არხის ამ ნაწილმა ადრევე, შესაძლოა ძვ. წ. VI ს-ში, შეწყვიტა ფუნქციონირება. უნდა აღინიშნოს, რომ გავხვიერებულა თირის ფენაში აღმოჩენილი კერამიკა რამდენიმე აბჯული იერით გამოირჩევა კიდევ.

შეიღლება ვივარაუდოთ, რომ თირში ნაკვეთ კომპლექსს ქრონიურ ლევაგებთან დაკავშირებულ რაღაც საკულტო დანიშნულება ჰქონდა.

9,8. 220-ე ნაკვეთის a1—ა2—b1—b2 კვადრატებში გაითხარა დღეაქანში ამოკვეთილი დიდი ორმო, მისი სიგრძე 6 მ-ია, სიგანე —4,5 მ, სიღრმე 3 მ. ორმოს სამხრეთ კედელი კარგად არის შემორჩენილი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედლები კი ძლიერაა დაზიანებული. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ორმო, როგორც ჩანს, ღია იყო — აქ ფიქსირებულია ორმოსთან მისასვლელი გზა (?) სურ. 170). ორმო პირამდე იყო ამოვსებული დიდი ზომის რიყისა და თირის ნაგლეჯი ქვებითა (სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში) და კირქვის ნსხვილი ანატექციებით (ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში). მათში შერეული იყო ელინისტური ხანის კერამიკული ქურქლის თითო-ოროლა ნატეხი. ორმოს ძირზე, ქვების ნაყარის ქვეშ, დაფიქსირდა ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში თავდაკეტილი კედლის ფრაგმენტი (№ 6 გეგმაზე), ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში — მონუმენტური საკურთხევლის სამხრეთი კედლის გასწვრივ ფიქსირებული ნაგებობის კედლის ნაწილი (№ 7 გენ. გეგმაზე), რომლის შესახებ უკვე იყო ზემოთ საუბარი. როგორც ჩანს, ორმო ფუნქციონირებდა ამ ნაგებობათა აგებამდე — წინარეელინისტურ ხანაში. № 1 ნაგებობის მშენებლობის დროს ორმო ამოუვსიათ ანატექციებით.

10. ზედა ტერასაზე აღმოჩენილია წინარეულინისტური ხანის მასალა, თუმცა მეტად მცირე რაოდენობით. მხედველობაშია ხის ნაგებობის ნაშთები: ქვეშ ნატრისფერ ფენაში აღმოჩენილი თხის ქურქლის ფრაგმენტები და ბრინჯაოს რსარსპირი (კატ. № 924—926, სურ. 123) და აგრეთვე ჰუმუსურ ფენაში ნაპოვნი ქურქლის ორნამენტირებულ

ლი კედლის ფრაგმენტი (კატ. № 31, სურ. 158). აღნიშნული მასალა მოწმობს ზედა ტერასაზე დასახლების არსებობას უკვე წინარეულინისტურ ხანაში.

ამრიგად,
1. ახელოვანების გორის სახელწოდებით ცნობილი ბორცვის ზედა ნაწილი უკვე ძვ. წ. VII—VII საუკუნეებიდან მიიწია დასახლებული, თუმცა ამ დროის (ისევე, როგორც საფიქრებელია უფრო ადრინდელი ხანის) ძეგლები უფრო გვიანდელი მშენებლობისასაა განადგურებული.

2. ძვ. წ. VI—V სს-ში, როდესაც ვანი ირგვლივ მდებარე ვრცელი ტერიტორიის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ და ეკონომიურ ცენტრად, ხოლო ეს ბორცვი კი მმართველი ზედა ფენის რეზიდენციადაა ქცეული, ზედა ტერასაზე ძირითადად საკულტო-სარიტუალო ნაგებობანია (ხით ნაგები შენობა, კლდოვან დღეაქანში ამოკვეთილი სარიტუალო ქვაბული, არხები, ორმოები).

3. ძვ. წ. IV—III სს, რომელიც ვანის ძველი ქალაქის ისტორიამ გარდამავალ ხანადაა მიჩნეული, ბორცვის ზედა ნაწილში წარმოდგენილია უმთავრესად მდიდრული სამარხებით. ამასთან ყურადღებას იქცევს ის ვარაუდობა, რომ ეს სამარხები ძველი კოლხური საკულტო შენობების ადგილზეა გამართული, რაც შესაძლოა გარკვეულ ეთნიკურ ძვრებზეც მიუთითებს.

4. ძვ. წ. III—I სს-ში ზედა ტერასა გალავნის კედლებითაა შემოზღუდული და მის უმთავრეს ნაგებობას საფეხურებიანი მონუმენტური საკურთხევლო წარმოადგენს. ამ დროის სხვა დანარჩენი ნაგებობანიც საკულტო ხასიათისაა და ყველა ისინი, ქალაქის სხვა ნაწილებთან ერთად, ძვ. წ. I ს-ის შუა ხანებშია გადაშენებული და დანგრეული.

5. გვიანტიკური ხანაში ბორცვის ამ ნაწილს, როგორც ჩანს, მიცვალბულთა დასაყრდელად იყენებენ. ამ დროის ბრინჯაოს სარკოფაგი და მონეტები მოწმობენ, რომ ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე მაინც ინტენსიური ცხოვრება გრძელდება, რაც ექსპლდირეას უყარანაზებს ამ დროის სომოსალოთა ძიების აუცილებლობას.

6. ადრესაშუალო საუკუნეებში ბორცვის ზედა ტერასა კერამიკული ქურჩის ვასაპირთაგანაა გამოყენებული, ე. ი. სარკოფაგის ვასაპირთაგანაა ქცეული.

7. განვითარებულ საშუალო საუკუნეების ეპოქაში ამ ტერიტორიას კვლავ სამარხებისათვის იყენებენ.

ა. ზამრეპელი

შინაური ცხენები ვანის ნაპალაპარიდან

1974 წელს ნაქალაქარ ვანის ტერიტორიაზე, კერძოდ I უბანზე, გაითხარა მამაკაცის სამარხი. სამარხში 4 შინაური ცხენის ჩონჩხის ნარჩენები აღმოჩნდა, ასაკი საჭრელი კბილების მიხედვით 6—12 წლამდე განისაზღვრა. ოთხივე ულაცია.

ჩონჩხი № 1 წარმოდგენილია თავის ქალათი და სხეულის წინა ნახევრით, ნეკნების ჩათვლით. ცხვირის, შუბლისა და კეფის ძვლები ჩანგრეულია, ტერის კოლოფი ასევე დაზიანებულია, კისრის მალეტი დაშლილია, გულმკერდის მალეებს შერჩენილი აქვს მხოლოდ მალას სხეულები, წელის მალეებიც ასევე ფრაგმენტული ნაწილების სახით არის წარმოდგენილი. განაწომების ადებისათვის გამოდგა კბილები, მხრის, სხივის, ნებისა და ბარძაყის ძვლები.

ჩონჩხი № 2. შუბლის, ცხვირისა და კეფის ძვლები დამსხვრეულია. ქვედა ყბა შედარებით

ცხრილი 1
ვანის ცხენების თავის ქალასა და ზედაყბის განაწომები მმ-ში

განაწომები	ცხენები			
	ცხენი № 1	ცხენი № 2	ცხენი № 3	ცხენი № 4
საჭრელი ძვლ-ს სიგანე	—	—	60	65
საჭრელი ძვლ-ს სიღრმე	—	—	90	80
უკბილო კბლ-ს სიგრძე	—	—	62	48
პრემოლარების რიგის სიგრძე	108	96	94	105
მოლორების რიგის სიგრძე	85	80	73	80
ფეხბუჯის სიგანე	—	—	65	—
სიგრძე ფეხბუჯის წინა კბიდან საჭრელი კბილის წინა კბილამდე	—	—	75	—
—	—	—	328	323

ცხრილი 2
ვანის ცხენების ზედაყბის საჭრელი კბილების განაწომები მმ-ში

საჭრელი კბილები	განაწომები	ცხენი № 1	ცხენი № 2	ცხენი № 3	ცხენი № 4
		ზედაყბის დამკვეთელი	მაქსიმალური სიგრძე . . . სალეკი ზედაპირის სიგანე . სალეკი ზედაპირის სიგრძე . გვირგვინის სიმაღლე .	57 21 12 43	— 19 9 24
ზედაყბის შუალა	მაქსიმალური სიგრძე . . . სალეკი ზედაპირის სიგანე . სალეკი ზედაპირის სიგრძე . გვირგვინის სიმაღლე .	59 20 9 46	— 21 10 22	— 18 — 36	— 20 11 32
ზედაყბის განაწირა	მაქსიმალური სიგრძე . . . სალეკი ზედაპირის სიგანე . სალეკი ზედაპირის სიგრძე . გვირგვინის სიმაღლე .	46 24 11 38	— 22 8 32	— — — 38	— 21 9 24

უკეთა დაცული. კბილებიდან შემონახულია მხოლოდ საჭრელები და ეშვები. გულმკერდის მალეები მალას სხეულებით არის შემორჩენილი. წელის მალეები და გავის ძვალი ჩონჩხს არ გააჩნია. ნეკნები შედარებით უკეთ არის დაცული. ლულოვანი ძვლებიდან გაირკვა მხარი, სხივი, ნები, პირველი და მეორე ფლანგები (წინა კიდურის) და ბარძაყის ძვლები.

თეძოს, გავისა და საჯდომი ძვლები ფრაგმენტების სახით შემორჩა.

ჩონჩხი № 3. შუბლის, ცხვირისა და კეფის ძვლები ჩანგრეულია. მალეები დაშლილია, ჩონჩ-

ცხრილი 3

ვანის ცხენების ჰვედუების ძელების განაზომები 88-ში

ცხენები / განაზომები	ცხენები			
	ცხენი № 1	ცხენი № 2	ცხენი № 3	ცხენი № 4
ჰვედუების საკრელი ძელის სიგრძე . . .	—	—	88	98
ჰვედუების საკრელი ძელის სიგანე . . .	64	—	64	65
ჰვედუების უკბილო კიდის სიგრძე . . .	58	—	65	43
ჰვედუების უკბილო კიდის სიმაღლე . . .	47	—	43	47
ჰვედუების პრემოლარების რიგის სიგრძე . . .	104	95	84	89
ჰვედუების მოლარების რიგის სიგრძე . . .	81	89	83	86
ჰვედუების ძირითადი კბილების რიგის სიგრძე . . .	185	184	167	175

ცხრილი 4

ვანის ცხენების ჰვედუების ძელის განაზომები 88-ში

ცხენები / განაზომები	ცხენები			
	ცხენი № 1	ცხენი № 2	ცხენი № 3	ცხენი № 4
ჰვედუების სიმაღლე პირველი პრემოლარის წინა კიდიდან ვერტიკალურად . . .	51	56	51	56
ჰვედუების სიმაღლე პირველი მოლარის წინა კიდიდან ვერტიკალურად . . .	81	75	78	80
ჰვედუების სიმაღლე მესამე მოლარის უკანა კიდიდან ვერტიკალურად . . .	107	111	110	113

ბის უკანა ნახევრიდან არაფერია გადარჩენილი. ნეკნები ფრაგმენტების სახითაა შემონახული.

წინა კიდურის ძელებიდან დასამუშავებლად და გასარკვევად გამოდგა მხრის, სხივისა და ნების ძელები.

ჩონჩხი № 4. შემორჩენილია მხოლოდ თავის ქალა. ტვინის კოლოფი, შუბლისა და ცხვირის ძელები ძლიერ დაზიანებულია. ჰვედუება წარმოდგენილია მხოლოდ ფუძის ნაწილით. კბილებიდან დაცულია საკრელები და ეშვები.

ცხრილი 5

ვანის ცხენების ჰვედუების საკრელი კბილების განაზომები 88-ში

საკრელი კბილები / განაზომები	ცხენები			
	ცხენი № 1	ცხენი № 2	ცხენი № 3	ცხენი № 4
ჰვედუების ლამკვებელი	მაქსიმალური სიგრძე . . . სალეკი ზედაპირის სიგანე . . . სალეკი ზედაპირის სიგრძე . . . გეორგივის სიმაღლე . . .	55 12 10 39	— — — —	— 17 9 30
ჰვედუების შუალა	მაქსიმალური სიგრძე . . . სალეკი ზედაპირის სიგანე . . . სალეკი ზედაპირის სიგრძე . . . გეორგივის სიმაღლე . . .	61 22 11 45	— 18 9 20	— 15 20 35
ჰვედუების განაპირა	მაქსიმალური სიგრძე . . . სალეკი ზედაპირის სიგანე . . . სალეკი ზედაპირის სიგრძე . . . გეორგივის სიმაღლე . . .	51 21 10 38	— 19 9 18	— 13 8 38

ცხრილი 6

ვანის ცხენების ლუღვანი ძელების განაზომები 88-ში

ცხენები / განაზომები	ცხენები		
	ცხენი № 1	ცხენი № 2	ცხენი № 3
მხრის ძელის მაქსიმალური სიგრძე . . .	285	250	265
მხრის ძელის ღიაფიხის სიგანე . . .	36	—	41
სხივის ძელის მაქსიმალური სიგრძე . . .	340	310	310
სხივის ძელის ღიაფიხის სიგანე . . .	40	—	44
ნების ძელის მაქსიმალური სიგრძე . . .	226	222	228
ნების ძელის ღიაფიხის სიგანე . . .	43	39	44
ბარძაყის ძელის მაქსიმალური სიგრძე . . .	450	—	—
წინა კიდურის პირველი ფალანგის სიგრძე . . .	—	88	—
წინა კიდურის პირველი ფალანგის ღიაფიხის სიგანე . . .	—	35	—
წინა კიდურის მეორე ფალანგის სიგრძე . . .	—	45	—
წინა კიდურის მეორე ფალანგის ღიაფიხის სიგანე . . .	—	47	—

შინაური ცხენების ნამარხი ძვლოვანი მასალის ნეკნავლამ შემდეგი დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა:

№ 1 ცხენი ხასიათდება საშუალო ტანადობით (სიმაღლე მინდაოში 139 სმ) და სქელი კიდურებით (ნების ძვლის სიგრძის შეფარდება დიაფიზთან — 19%).

№ 2 ცხენი ერთიანდება ასევე საშუალო ტანადობის ცხენების ჯგუფში (სიმაღლე მინდაოში — 141 სმ) და წვრილი კიდურების მქონეა (ნების სიგრძის შეფარდება დიაფიზთან — 12%).

№ 3 ცხენიც საშუალო ტანადობისაა (სიმაღლე მინდაოში 140 სმ).

№ 4 ცხენის ანატომიურ-მორფოლოგიური დახასიათება არ ხერხდება, თავის ქალას დაზიანების გამო.

ამგვარად, ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ცხენების ჩონჩხი ხასიათდება ახალგაზრდა წლოვანებით (6—12 წლამდე), საშუალო ტანადობით (სიმაღლე მინდაოში 139—141 სმ-დე), სქელი (ცხენი № 1—19%) და წვრილი (ცხენი № 2—12%) კიდურებით.

მანის ნაძალაპარის ზედა ტბარსაზე 1970—1977 წლებში მოკრძედილი არქეოლოგიური გასვლის აქტები

1. კუთხური ფენა

1. ნაკვ. 191, კვ. მ₁₀, კვ. 2; ნაკვ. 192, კვ. მ₉, ნაკვ. 193, კვ. კ₂; ნაკვ. 194, კვ. მ₈, მ₁, მ₂, მ₃; ნაკვ. 210, კვ. მ₃, მ₄; ნაკვ. 211, კვ. მ₃, მ₄, მ₅.

ა) აღგებობრივი კერამიკა (აღრესაშუალო საუკუნეების, კლინიკური და აღრესაშუალო ხანების)

1. ქვევრის პირის გვირგვინის ფრაგმენტი (საე. № 07:1—75/204), ყავისფერკეციანი, ოთხკუთხედიანი, გარეთ გადმოხრილი; ზედა და გარეთა გვერდები შემკულია სავარცხლესებური იარაღით გამოყვანილი წიწკოვანი ორნამენტით; ზედაპირზე შავი ლაქები აქვს. თიხა მინარეგებიანია (პიროქსენი, კირქვა). პირის დმ—39 სმ. აღრესაშუალო ხანისა.

2. ქვევრის პირის გვირგვინის ფრაგმენტი (საე. № 07:1-73/144), ყავისფერკეციანი, სამკუთხედიანი, გარეთა გვერდები შემკულია სავარცხლესებური იარაღით გამოყვანილი რომბული ბადითა და ფოსოებით. თიხა მინარეგებიანია (კვარცი, ქარსი, კირქვა, პიროქსენი).

* ელ. გიგოლაშვილი — №№ 1, 3—7, 17—19, 21—35, 43—46, 48—54, 93—178, 182—203, 206—215, 252—274, 279—280, 289—306, 312—327, 330—336, 438, 505—506, 511, 576.

დ. კავარავა — №№ 47, 55—76, 89—92, 275—278, 350—400, 411—437, 439—440, 515—575, 578—579, 588—645, 648—664, 666—678, 680—685, 688—689, 691—704, 706—708, 713, 722—740, 788—795, 798—923.

მ. ფირცხალავა — №№ 2, 8—11, 20, 87, 235—251, 341—349, 512—514, 580, 585—587, 646—647, 686—687, 690, 709—712, 717—721, 741—786, 797, 924—926.

რ. ფურთუხიძე — №№ 12—15, 36—42, 77—86, 88, 179—181, 204—205, 217, 234, 281—288, 307—311, 328, 337—338, 401—410, 577, 581—584, 665, 705, 787.

ა. ჯაფარიძე — №№ 16, 216, 218—233, 329, 339—340, 441—504, 507—510, 679, 714—716, 796.

¹ შტრ. ა. კავარავა. სუხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. სუხუმი, 1954, გვ. 35—39, 69, ტაბ. XIV, 16—23; ნ. ჯაფარიძე. ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები დასავლეთ საქართველოში. სა, თბ., 1959, გვ.

247, ტაბ. XXIV, 3; ა. ბოხოჩაძე. მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში. თბ., 1963, გვ. 127; ა. კახიძე. მასალები აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ძველ ქალაქების ისტორიისათვის. შსკა, IV, თბ., 1965, გვ. 71—72, ტაბ. II, 1, 2; ოთ. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ძველ კოლხეთი. თბ., 1966, გვ. 38, ტაბ. VII; ა. კახიძე. საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ., 1971, გვ. 40—41; ნ. ვაშაქიძე. გურიანთის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. სსსრ, II, თბ., 1971, გვ. 13—15, ტაბ. II; ვანი I, თბ., 1972, გვ. 22—23, 104—105, 193; ოთ. ლორთქიფანიძე. ძველ კოლხეთის კულტურა, თბ., 1972, გვ. 41; ნ. ვაშაქიძე. სუფსის აუზში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრ-ამოხეობები, სსსრ, III, თბ., 1973, გვ. 75, სურ. 1; გ. გრიგოლია, გ. ფხვაძე, მ. ბარამიძე, გ. ლორთქიფანიძე. დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის შედეგები, შსკა, V, თბ., 1973, გვ. 35, ტაბ. XXVII, 1; თ. შიქელაძე. ძეგლი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიისათვის, თბ., 1974, გვ. 61—62; ნ. ვაშაქიძე, გ. ლორთქიფანიძე. კოლხური ქვევრი, სსსრ, V, თბ., 1975, გვ. 96—100, ტაბ. XXIII—XXIV; ოთ.

პირის ღმ — 30 სმ. აღრეანტიკური ხანა (სურ. 4).

3. ქვევრის პირის გვირგვინის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-73/142), რუხკეციანი, წითელზედაპირიანი, წითელსარჩულიანი, ჭრილობი ისრისპირისებური მოყვანლობის; ზედა და გარეთა გვერდები შემკულია სავარჯისებური იარაღით გამოყვანილი რომბული ბადით. თიხა მინარეგებიანია (კირქვა, ქარსი, პიროტენი). პირის ღმ — 38 სმ. აღრეანტიკური ხანა².

4. ქვევრის პირის გვირგვინის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-73/177), რუხკეციანი, წითელზედაპირიანი, წითელსარჩულიანი, ჭრილობი ისრისპირისებური მოყვანლობის; გარეთა გვერდი შემკულია სავარჯისებური იარაღით გამოყვანილი რომბული ბადით. თიხა მინარეგებიანია (პიროტენი, კირქვა, ქარსი). ღამებრი არ იზომება. კეცის სისქე — 1,1 სმ. აღრეანტიკური ხანა³.

5. ქვევრის პირის გვირგვინის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-75/265), ყავისფერკეციანი, ოთხკუთხაგანივეთიანი; გარეთა ზედაპირზე ფართო, ღრმა, ირგვლივი ღარებია. თიხა მინარეგებიანია (პიროტენი, ქარსი, კირქვა, კვარცი). პირის ღმ — 40 სმ. ელინისტური ხანა⁴.

6. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-75/264), ყავისფერკეციანი; შემკულია პორიზონტალური და ვერტიკალური ქედებითა და დამბრტყელებული კოპებით. კედლის შიდა ზედაპირ-

ზე ჩარხის კვალა (წერილი ღარები). თიხა მინარეგებიანია (პიროტენი, კირქვა, ქარსი). კეცის სისქე — 1,7 სმ. აღრეანტიკური ხანა⁵.

7. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-73/273), ყავისფერკეციანი; შემკულია ღრმა, ფართო ღარებითა და მათ საპირისპიროდ მიმართული ქედებით. ქედების ბოლოებში დამბრტყელებული კოპებია დასმული; ქედებს შორის არე კი წერილი, ირიბი ღარებითაა დაფარული. თიხა მინარეგებიანია (პიროტენი, ქარსი, კირქვა). კეცის სისქე — 2,2 სმ. აღრეანტიკური ხანა⁶.

8. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-73/147), ყავისფერკეციანი; შემკულია რელიეფური ქედებითა და ვიწრო ღარებით; შერჩენილია კონცენტრული ნალისებური ქედების ნაწილი. შიდა ზედაპირი მოსწორებულია. თიხა მინარეგებიანია (ქარსი, კირქვა). კეცის სისქე — 2 სმ. აღრეანტიკური ხანა⁷.

9. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-73/158), ყავისფერკეციანი; შემკულია რკალისებური ქედებით; თიხა მინარეგებიანია (ქარსი, კირქვა, კვარცი). კეცის სისქე — 0,7 სმ. აღრეანტიკური ხანა⁸.

10. დერგის პირის გვირგვინის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-73/146), ყავისფერკეციანი, ოთხკუთხაგანივეთიანი; გარეთა გვერდი შემკულია ფართო ირიბი ღარებით, ყელზე ირგვლივი ქელი აქვს. თიხა მინარეგებიანია (პიროტენი, კირქვა). პირის ღმ — 18 სმ, შემორჩენილი სიმაღლე — 4 სმ. აღრეანტიკური ხანა⁹.

ლორთქიფანიძე. არქეოლოგია და საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი, „მაცნე“, 1976, № 2, გვ. 112—113, სურ. 1; Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, т. II, Тб., 1950, с. 68—72, таб. 23, 24, 26, 27, 34, სურ. 25; Н. Ш. К и г у р а д з е, К истории населения центральной Колхиды в античную эпоху, Автореферат, Тб., 1972, гв. 15—17; Е. Г. Г и г о л а ш в и л и, Д. Д. К а ч а р а в а. Колхидская керамика VI—IV вв. до н. э., КСИИ, 151, М., 1977, гв. 78—79.

² იხ. შენ. 1.

³ იხ. შენ. 1.

⁴ იხ. შენ. 1.

⁵ შტრ. ნ. ხოშტარია. დასახ. ნაშრ., გვ. 247; ნ. ვაშაქიძე. გურიათის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 19—20, ტაბ. III, 16; თ. შიქვლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 66; ნ. ვაშაქიძე, გ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 100—102, ტაბ. XXV, XXVI; თ. ლორთქიფანიძე, არქეოლოგია და საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 112—113; Н. Ш. К и г у р а д з е, დასახ. ნაშრ., გვ. 15—17.

⁶ შტრ. გ. გრიგოლია, გ. ფხაკაძე, მ. ბაბიაძე, გ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. X VII, 1.

⁷ იხ. შენ. 1.

⁸ შტრ. თ. შიქვლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 62, ტაბ. VII, 5; ნ. ვაშაქიძე, გ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXIII, 10.

⁹ შტრ. თ. შიქვლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

¹⁰ შტრ. ა. კახიძე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, გვ. 44, ტაბ. V, 6; ნ. ვაშაქიძე, გურიათის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 15—16, ტაბ. II, სურ. 7, 9; თ. ლორთქიფანიძე, ეანის ნაქალაქარი, ვანი I, გვ. 22—23; მისივე, არქეოლოგია და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 112—113; თ. შიქვლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 62; Е. Г. Г и г о л а ш в и л и, Д. Д. К а ч а р а в а, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

11. დერვის პირის გვირგვინის ფრაგმენტი (საე. № 07:1:73/145), ყავისფერკეციანი, სამკუთხედანიკვეთიანი; გარეთა გვერდი შეშვულია საცარცხლისებური იარაღით გამოყვანილი რომბული ბადით, ზედა — ირიბი ღარებით. თიხა მინარეგებიანია (კირქვა, პიროქსენი, კვარცი). შემორჩენილი სიმაღლე — 3,1 სმ. აღრენტეკური ხანა¹¹.

12. ამფორის პირ-ყელის ფრაგმენტი (საე. № 07:1-75/206), ყავისფერკეციანი; პირის გვირგვინი მაღალია, შესქელებული, ოღნავ გარეთ ვაღმობრილი; ყელი მხრეებისკენ ფართოვდება; ყურები ბრტყელგანიკვეთიანია, გარეთა ზედაპირზე ქედისებური შეშალვება დაუყვება; ყურის ქვეშ თითოთი ფოსო არის გამოყვანილი. თიხა მინარეგებიანია (პიროქსენი, კირქვა, ქარსი). პირის ღმ — 6,7 სმ, შემორჩენილი სიმაღლე — 16,4 სმ. ელინისტური ხანა¹².

13. ამფორის პირ-ყელის ფრაგმენტი (საე. № 07:1-75/207), წითელკეციანი, ყავისფერზღაპირიანი, ყავისფერსარჩულიანი; პირის გვირგვინი ოთხკუთხედანიკვეთიანია, ყელი მხრეებისკენ ფართოვდება. შემორჩენილია ოვალურგანიკვეთიანი ყურების მიერთების ადგილები. თიხა მინარეგებიანია (კირქვა, პიროქსენი, კვარცი, ქარსი). შემორჩენილი სიმაღლე — 9,8 სმ, პირის ღმ — 8,1 სმ. ელინისტური ხანა¹³ (სურ. 26).

14. ამფორის ძირი (საე. № 07:1-73/25), ყავისფერკეციანი; დაბალი, ცილინდრულქუსლიანი; შიდა ზედაპირზე სპირალური ზვეული აქვს. თიხა მინარეგებიანია (კირქვა, პიროქსენი, კვარცი). ქუსლის სიმაღლე — 4,5 სმ, ღმ — 3,5 სმ. ძვ. წ. III — II სს¹⁴.

15. ამფორის ძირი (საე. № 07:1-75/205), მოყვითალო-ყავისფერკეციანი; დაბალი, ღლირსებურქუსლიანი. შიდა ზედაპირზე სპირალური

ზვეული აქვს. თიხა მინარეგებიანია (კირქვა, ქარსი, პიროქსენი, კვარცი). ქუსლის ღმ — 4,7 სმ. ძვ. წ. II — I სს¹⁵ (სურ. 26).

16. ქილა (საე. № 07:1-75/492), ყავისფერკეციანი; პირის კიდე სადა, გარეთაა ვაღმობრილი; ყელს შეზნექილი პროფილი აქვს; ტანი შუაწელზე გამობერლია, ძირისკენ დახრილია; ძირი ბრტყელია. ქილა ორყურაა. ყურები ოვალურგანიკვეთიანია, ზემოთ მორკალული, დაშვულია ტანის შუაწელზე. ზედაპირზე შვიი ლაქები აქვს. თიხა მინარეგებიანია (პიროქსენი, ქარსი, კირქვა). აღდგენილია. სიმაღლე — 30,5 სმ, პირის ღმ — 13,5 სმ, ძირის ღმ — 14 სმ (სურ. 15).

17. ჭოთნის პირ-გვერდის ფრაგმენტი (საე. № 07:1-75/208), წითელკეციანი; პირის კიდე ოღნავ შესქელებულია და გარეთაა ვაღმობრილი; ყელი მოკლეა, ტანი — გამობერილი. თიხა მინარეგებიანია (პიროქსენი, კირქვა, კვარცი). პირის ღმ — 28 სმ. აღრენტეკური ხანა¹⁶.

18. ჭოთნის (?) ძირის ფრაგმენტი (საე. № 07:1-75/30), ყავისფერკეციანი; ბრტყელი; ზედაპირზე შვიი ლაქები აქვს. თიხა მინარეგებიანია (პიროქსენი, კვარცი, კირქვა). ძირის ღმ — 9,7 სმ.

19. ხუფის ფრაგმენტი (საე. № 07:1-73/49), ღია ყავისფერკეციანი, დახრილკალითიანი, მრგვალოთაიანი. ზედაპირი მოსწორებულია. თიხა მინარეგებიანია (პიროქსენი, კირქვა). თავის ღმ — 3,1 სმ, თავის სიმაღლე — 1 სმ. ძვ. წ. III-I სს¹⁷.

20. დოქის პირ-ყელის ორი ფრაგმენტი (საე. № 07:1-73/152), ყავისფერკეციანი; პირის კიდე სამტუჩაა; ოვალურგანიკვეთიანი ყურის ზედა ბოლო პირის კიდეზე არის მიმაგრებული. თიხა მინარეგებიანია (კირქვა, ქარსი, პიროქსენი). შემორჩენილი სიმაღლე — 6,8 სმ. ძვ. წ. III ს. დასასრული — ძვ. წ. I ს¹⁸.

21. დოქის ყელის ფრაგმენტი (საე. № 07:1-73/4), ყავისფერკეციანი; ზედაპირი ვაგრილობუ-

¹¹ ოხ. შვ. 6. 10.

¹² შდრ. ოთ. ლ ო რ ტ ე ი ფ ა ნ ი ძ ე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. გვ. 138—139; ა. კ ა ხ ი ძ ე, კერამიკული ტრაა ფიქვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან. სსსბ, II, გვ. 55—60; P. B. П у т у р и ძ ე. Колхидские амфоры эллинистического и позднейшего времени. Тезисы докладов, посвященных итогам полевых археологических исследований в 1970 году в СССР, Тб., 1971, с. 197; მისივე, Колхидские амфоры, КСИА, 151, с. 68.

¹³ ოხ. შვ. 6. 12.

¹⁴ ოხ. შვ. 6. 12.

¹⁵ ოხ. შვ. 6. 12.

¹⁶ შდრ. ა. კ ა ხ ი ძ ე. საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, გვ. 44; ვანი I, გვ. 105—106, 237; E. F. Г и г о л а ш в и л ი, Д. Д. К а ч а р а ვ ა. დასახ. ნაშრ., გვ. 79.

¹⁷ შდრ. 6. მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი. ელინისტური ხანის ადგილობრივი კერამიკა ვანიდან. მსჯ., V, თბ., 1973, გვ. 61, ტბ. II, 3; V, 9.

¹⁸ შდრ. 6. მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 55, ტბ. I, 4, 7; III, 1, 4, 7.

ლა, შემკულია წითელი ზოლებით. თიხა მინარევეებიანია (კირქვა, ქარსი, პიროქსენი). კეცის სისქე — 0,8 სმ. ძვ. წ. II ს. დასასრული — ძვ. წ. I ს.¹⁹

22. ჭიწისებური საპმლის ძირი (სავ. № 07:1-74/67), რუხეციანი; ძირი ბრტყელია, ტანი ძირისკენ ვიწროვდება. თიხა მინარევეებიანია (პიროქსენი, ქარსი, კირქვა). შემორჩენილია სიმაღლე — 4,9 სმ, ძირს ღმ — 4 სმ. აღრეანტიკური ხანა²⁰.

23. თეფშის ძირი (სავ. № 07:1-75/182), წითელეციანი; დაბალი, წრიული ჭუსლი აქვს. ზედაპირი გაპრალეებულია. თიხა მინარევეებიანია (პიროქსენი, კირქვა, კვარცი). ჭუსლის ღმ — 6,3 სმ. ჭუსლის სიმაღლე — 0,7 სმ. ძვ. წ. I ს.²¹

24. თეფშის ძირის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-74/56), ყავისფერეციანი, წრიულჭუსლიანი. თიხა მინარევეებიანია (პიროქსენი, კირქვა, ქარსი, კვარცი). ჭუსლის სიმაღლე — 0,8 სმ. ძვ. წ. I ს.²²

25. სათევე ლანგრის ძირი (სავ. № 07:1-75/266), ყავისფერეციანი; თიხა მინარევეებიანია (კირქვა, პიროქსენი, ქარსი). ჭუსლის ღმ — 10 სმ, კეცის სისქე — 1,3 სმ. ელინისტური ხანა²³.

26. ჭამის ძირის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-75/203), ყავისფერეციანი; გართა ზედაპირი ოღნავ გამობერლია; შიდა ზედაპირზე დატიყრულია წრემი ჩასმული შევსებული ჭვარი. გარეთა ზედაპირი ცეცხლისგან გამაფრულია. თიხა მინარევეებიანია (პიროქსენი, კირქვა, ქარსი). დატიყრული წრის ღმ — 3,5 სმ. ელინისტური ხანა²⁴ (სურ. 5).

27. ჭურჭლის ყური (სავ. № 07:1-74/7), ყავისფერეციანი; ტარისებური, მრავალგანიეკეთიანი; გაპრალეებული ზედაპირი აქვს. თიხა მი-

ნარევეებიანია (პიროქსენი, ქარსი, კირქვა). სიგრძე — 7,3 სმ, ღმ — 2,5 სმ. ელინისტური ხანა²⁵.

28. ჭურჭლის ე. წ. ზომორფული ყურის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-75/267), ყავისფერეციანი, ბრტყელგანიეკეთიანი; ზედა ბოლო შემკულია ბოლოებმომრგვალებული ქედისებური დანაძერწით. თიხა მინარევეებიანია (პიროქსენი, კირქვა). აღრეანტიკური ხანა²⁶.

29. ჭურჭლის ე. წ. ზომორფული ყურის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-75/27), ღია ყავისფერეციანი, ბრტყელგანიეკეთიანი; ზედა ბოლო შემკულია ირიპდებებიანი ქედისებური დანაძერწით. ზედაპირზე შავი ლაქები აქვს. თიხა მინარევეებიანია (პიროქსენი, კირქვა, კვარცი). აღრეანტიკური ხანა²⁷.

30. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-74/360), მოწითალო-ყავისფერეციანი, ოვალურგანიეკეთიანი; შემორჩენილია ყურის ზეღა ნაწილი მოხრას ადგილამდე. ყურზე დატიყრულია წრემი ჩასმული ჭვარი. თიხა მინარევეებიანია (პიროქსენი, კირქვა, ქარსი). სიგრძე — 5,3 სმ. აღრეანტიკური ხანა²⁸ (სურ. 5).

31. ჭურჭლის კედლის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-73/379), ნაცისფერეციანი; შემკულია ჭდეებიანი რელიეფური ქედებითა და ზენური ხეებით. თიხა მინარევეებიანია (პიროქსენი, კირქვა, ქარსი). კეცის სისქე — 1,3 სმ. აღრეანტიკური ხანა²⁹.

32. ჭურჭლის ძირ-კედლს (წ) ფრაგმენტი (სავ. № 07:1-73/143), მოყვითალო-ყავისფერეციანი; ძირი ბრტყელია; მასზე წრიული ჭუსლის ნაწილია შერჩენილი. კედლს ძირს სწორი კუთხით უერთდება. კედლს ირგვლივ ქედი შემოუყვება. თიხა მინარევეებიანია (კირქვა, ქარსი, პიროქსენი). კეცის სისქე — 0,9 სმ. ელინისტური ხანა³⁰.

¹⁹ შტრ. ნ. მათიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 55.
²⁰ შტრ. ა. კახიძე, საქართველოს ზღვისპირეთის არტიკური ხანის ქალაქები, გვ. 47-49, ტაბ. VI; Б. А. Купфери. დასახ. ნაშრ., გვ. 98. სურ. 22, 24, 27, 30, 31; Е. Г. Гинго-Яшвиц. М. М. Каваравა. დასახ. ნაშრ., გვ. 79.

²¹ შტრ. ნ. მათიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 60-61, ტაბ. II, 5, 6.

²² იხ. შენ. 21.

²³ შტრ. ნ. მათიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 60, ტაბ. II, 9, 10, 11.

²⁴ შემორჩენილი ფრაგმენტის მიხედვით ძირზე წრიული ჭუსლი უნდა ყოფილიყო. ასეთი ჭამები ელინისტური ხანაში გავრცელებული — შტრ. ნ. მათიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 59, ტაბ. II, 12; V, 2.

²⁵ მსგავსი ყური ვინის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე ელინისტური ხანის ძალბურღულ ფენაში აღმოჩენილი — იხ. კატ. № 198.

²⁶ შტრ. თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 64, ტაბ. XI.

²⁷ იხ. შენ. 26.

²⁸ ყურზე დატიყრული ჭვარი აღრეანტიკური საუკუნეებით დათარიღებულ ქვეყნის პირებზე დატიყრული ჭვარი ანალოგიურია — შტრ. კატ. № 77, 90.

²⁹ თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. X, 15; XII.

³⁰ მსგავსი ფრაგმენტი აღმოჩენილია ელინისტური ხანის ძალბურღულ ფენაში — კატ. № 272.

33. სანაფი (სავ. № 07:1—74/54), ყავისფერ-ვეციანი, წყვეთილი პირამიდის ფორმის, ერთხახვერტიანი. თხა მინარევებიანია (ყვარცი, პიროქსენი, ქარსი). სიმაღლე — 5,5 სმ, ფუძის ფართობი — 4,5×4,5 სმ. ელენისტური ხანა³¹ (სურ. 31).

34. ღარიანი კრამიტის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-73/24), ყავისფერვეციანი; გარეთა ზედაპირზე ნიშნია ამოკარული; შიდა ზედაპირი მოსწორებულია (თითებით). თხა მინარევებიანია (კირქვა, ქარსი, პიროქსენი). ყეცის სისქე — 1,6 სმ. ელენისტური ხანა³² (სურ. 5).

35. სატეფურავი (სავ. № 07:1-75/202), ყავისფერვეციანი; ჰერაკლეს გამოსახულებიანი; წელზედა გამოსახულება; მარჯვენა ხელში ჰერაკლეს ვმლები უჭირავს, მარცხენაში — კომბალი. თხა მინარევებიანია (კირქვა, ქარსი, პიროქსენი). სიგრძე — 5,6 სმ³³ (სურ. 5).

ბ) იმპორტული კერამიკა

36. ამფორის ყურის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-73/149), მოყვითალო-ვარდისფერვეციანი, მრგვალგანივკვეთიანი. თხა კარგადაა განლექილი, აქვს კირქვის (?) მინარევები. როდოსი. ძვ. წ. III—II სს³⁴.

37. ამფორის ყურის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-73/148); № 36-ის ანალოგურია. შერჩენილია დამლა (არ იკითხება). როდოსი. ძვ. წ. III—II სს.

38. ამფორის ყურის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-73/150); №№ 36—37-ის ანალოგურია. შერჩენილია დამლის კვალი. როდოსი. ძვ. წ. III—II სს.

39. ამფორის ყურის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-73/151); №№ 36—38-ის ანალოგურია. როდოსი. ძვ. წ. III—II სს.

40. ამფორის ძირი (სავ. № 07:1-73/191), მოყავისფრო-ყვითელვეციანი; ცილინდრულქუსლ-

ანი; ძირის ქვედა ნაწილზე და ქუსლზე კონცენტრული ლაგები შემოუყვება. თხა კარგადაა განლექილი. მინარევები არ შეიშენევა. ქუსლის სიმაღლე — 2,3 სმ, ქუსლის ღმ — 2,2 სმ. როდოსი. ძვ. წ. II სს³⁵ (სურ. 35).

41. ამფორის პირ-ყელისა და ყურის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-73/153), მოყვითალო-ვარდისფერვეციანი; პირის კიდე ოდნავ შესქელებული და მორბგვალებულია, ყელი სწორია, ყური — მრგვალგანივკვეთიანი. ყურზე შერჩენილია დამლა: სწორკუთხა ნაწევში სამი სტრაქონი უნდა ყოფილიყო. პირველი სტრაქონი სრულიად გადამლილია, მეორე სტრაქონში იკითხება პირველი აპო — P, მესამე სტრაქონის თავში — ΠΑ, ბოლოში Y (ΠΑ[ΝΑΜΟ]Υ). თხა კარგადაა განლექილი. როდოსი. ძვ. წ. III—II სს³⁶ (სურ. 68).

42. ე. წ. ჩაჩხუტუბორძიანი ამფორის პირ-ყელის ფრაგმენტები (სავ. № 07:1-75/295), ვარდისფერვეციანი; ლივჯისებური პირის გვირგვინი აქვს, ყელი მაღალია, ოვალურგანივკვეთიანი ყურის ზედა ბოლო პირს ქვემოთაა მიდრწეული, ქვედა — მხრებზე. ყურების მიმდგრების მხარეს ყელი ოდნავ შევიწროებულია და პირს ოვალური ფორმა აქვს. თხა კარგადაა განლექილი. პირის ღმ — 10 სმ, ყურების სიმაღლე — 30 სმ. ქოხი. ძვ. წ. IV—III სს³⁷.

43. ტერაკოტული ქანდაკების ფრაგმენტი (სავ. № 07:1-73/29), წარმოადგენს ნაოქვებად დაშვებული სამოსელის წინა მხარეს, რომლის ქვემოდა ტერფის ნაწილი მოჩანს. კეცი ყვითელია; თხა კარგადაა განლექილი, ქარსნარევი. შემორჩენილი სიმაღლე — 5 სმ (სურ. 5).

44. შავლჯიანი ლანგარს ძირის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-74/155), ყვითელვეციანი; წრიულქუსლიანი. ლაი გადაცლილი აქვს. თხა კარგადაა განლექილი. ქარსნარევი. ქუსლის სიმაღლე — 0,14 სმ, ქუსლის ღმ — არ იზომება.

³¹ იო. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, გვ. 141, ტაბ. XXXVI, 2; Г. А. Лордкипанидзе. К истории древней Колхиды. Тб., 1970, გვ. 85 და შუბ., ტაბ. XV—XVIII.

³² შურ. ი. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, გვ. 127—128, 143; ტაბ. XXXVII.

³³ იბ. 6. მათიაშვილი. ლთონის მურველი. ვაზ III, თბ., 1977, გვ. 113, სურ. 112.

³⁴ შურ. ი. ბ. ჯეესტ. Керамическая тара Восточной Азии, 83, М., 1960, გვ. 102—103, ტაბ. XXXIII, 49.

³⁵ შურ. ი. ბ. ჯეესტ. დასახ. ნაშრ., გვ. 104, ტაბ. XXIV, 50ა.

³⁶ დამლა კონიზმური უნდა იყოს, რადგან, როგორც ცნობილია, როდოსულ ამფორებზე, ჩვეულებრივ, თვის დასახლება (ამ შემთხვევაში პანაპოლი, როდოსული კალენდრის იკლსი-აგვისტი) ექონობის სახელი შენეველ დამლემთან გუხვდება — იბ. 6. Шелто в. Керамические изделия из Танаиса III—I веков до н. э., М., 1975, გვ. 10.

³⁷ ი. ბ. ჯეესტ. დასახ. ნაშრ., გვ. 78—79, ტაბ. V, 146.

58. ქვეერს კელღს ფრგმენტი (სავ. № 07:1—73/2), ყავისფერკეციანი; შემკულია პირიზონტალური და კონცენტრული ნალსებური ქედებით. ამ უკანასკნელზე სავარცხლისებური იარაღით გამოყვანილა ირიბი ნაქდევები. თხა მინარევებიანია (პიროჟსენი, კირქვა, ქარსი). კეცის სისქე — 1,3 სმ. აღრეანტიკური ხანა⁴⁵ (სურ. 6).

59. ქვეერს კელღს ფრგმენტი (სავ. № 07:1—73/46), ყავისფერკეციანი; შემკულია ვერტიკალური და კონცენტრული ნალსებური ქედებით. ამ უკანასკნელთა შიკრი ნაწილია შემორჩენილი. შიდა ზედპირი მოსწორებულია. თხა მინარევებიანია (ქარსი, კირქვა). კეცის სისქე — 1,7 სმ. აღრეანტიკური ხანა⁴⁶.

60. ქვეერს კელღს ფრგმენტი (სავ. № 07:1—73/47), ყავისფერკეციანი; შემკულია რელიეფური ქედებით, რომლებიც წიწვოვან ორნამენტს ქმნიან. შიდა ზედპირზე ჩარხის კვალა. თხა მინარევებიანია (ქარსი, კირქვა). კეცის სისქე — 2,2 სმ. აღრეანტიკური ხანა⁴⁷ (სურ. 6).

61. ქვეერს კელღს ფრგმენტი (სავ. № 07:1—73/117), ყავისფერკეციანი; შემკულია რელიეფური ქედებითა და ღრმა ირიბი ნაქდევებისგან შემდგარი წიწვოვანი ორნამენტით. თხა მინარევებიანია (პიროჟსენი, კირქვა). კეცის სისქე — 1,4 სმ. აღრეანტიკური ხანა⁴⁸ (სურ. 6).

62. ქვეერს კელღს ფრგმენტი (სავ. № 07:1—73/185), ყავისფერკეციანი; შემკულია ვერტიკალური, პირიზონტალური და ტალღოვანი ქედებით. თხა მინარევებიანია (კირქვა, კვარცი). ფრგმენტი ცეცხლშია მოხვედრილი. კელღს სისქე — 1,3 სმ. აღრეანტიკური ხანა⁴⁹ (სურ. 6).

63. ქვეერს კელღს ფრგმენტი (სავ. № 07:1—73/169), წითელკეციანი; № 58-ის ანალოგიური. კეცის სისქე — 1,5 სმ.

64. დერგის პირ-ყელის ფრგმენტი (სავ. № 07:1—73/245), რუხკეციანი, ყავისფერზედპირიანი; პირის გვირგვინი ოთხკუთხაზიანკეციანი; ზედა ვეერბი შემკულია ნაყაწირი ირიბი ღარებით, გარეთა — წიწვოვანი ორნამენტით; ყელი ზემოთ-

კენ ფართოვდება. ეტყობა ცეცხლში მოხვედრის კვალი — თხა ალაგ-ალგ წიდადა ქცეული. თხა მინარევებიანია (კირქვა, ქარსი). სიმაღლე — 7 სმ. აღრეანტიკური ხანა⁵⁰ (სურ. 4).

65. ზღრის პირ-ყელის და მხრის ფრგმენტი (სავ. № 07:1—73/9), ყავისფერკეციანი; პირის კიდე გარეთ არის გაღმობრილი, შემკულია ირიბი, გრძელი ღარებით; ყელი მაღალია, შემოთენ ფართოვდება; მხარი დაბრილია. ზედპირი გაპირკლებულია. თხა მინარევებიანია (პიროჟსენი, კირქვა). პირის ღმ — 38 სმ, ყელის სიმაღლე — 4 სმ. აღრეანტიკური ხანა⁵¹ (სურ. 4).

66. ტურქოს ყური და კელღს ფრგმენტი (სავ. № 07:1—73/6), ყავისფერკეციანი; ნახევარწითელი მოყვანილობის ყური პირის კიღს ზემოთ არის ამოზიდული. კალთა მკვეთრადაა დაბრილი. ზედპირზე შავი ლაქები აქვს. თხა მინარევებიანია (კირქვა, ქარსი). ყურის სიმაღლე — 5,3 სმ. აღრეანტიკური ხანა⁵².

67. ქოთნის ყელს ფრგმენტი (სავ. № 07:1—73/50), ყავისფერკეციანი; შემკულია წვრილი, ირგვლივი ღარებით. თხა მინარევებიანია (კირქვა, ქარსი). კეცის სისქე — 0,40 სმ. აღრეანტიკური ხანა⁵³.

68. ქოთნის პირ-ყელის ფრგმენტი (სავ. № 07:1-73/314), მოყვითალო-ყავისფერკეციანი; სადა პირის კიდე გარეთ არის გაღმობრილი; ყელს შეხნეილი პროფილი აქვს; შემკულია ამოკეცილი ტალღოვანი ზაზით. ზედპირზე შავი ლაქები აქვს. თხა მინარევებიანია (კირქვა, ქარსი). კეცის სისქე — 0,5 სმ, აღრეანტიკური ხანა⁵⁴.

69. სასმისის ძირი (სავ. № 07:1-73/281), ნაირისფერკეციანი; წაწვეტილებული; თხა მინარევებიანია (პიროჟსენი, კირქვა). შემორჩენილი სიმაღლე — 5 სმ. აღრეანტიკური ხანა⁵⁵.

70. ტურქოს კელღს ფრგმენტი (სავ. № 07:1—73/27), რუხკეციანი, შავზედპირიანი; კანე-

⁴⁵ იხ. შენ. 10.

⁴⁶ იხ. შენ. 10.

⁴⁷ შღრ. ა. კახიძე, საქართველოს ზღისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, გვ. 50, ტბ. V, 7; Б. А. Куфтин. დასხ. ნაშრ., გვ. 101, ტბ. 35, 10.

⁴⁸ იხ. შენ. 16.

⁴⁹ იხ. შენ. 16.

⁵⁰ შღრ. Б. А. Куфтин, დასხ. ნაშრ., გვ. 98—99, ტბ. 31, 6; Е. Г. Гиголашвили, Д. Д. Качаравა, დასხ. ნაშრ., გვ. 79.

⁴⁵ იხ. შენ. 8.

⁴⁶ იხ. შენ. 8.

⁴⁷ იხ. შენ. 1.

⁴⁸ იხ. შენ. 1.

⁴⁹ შღრ. ნ. ვაშაკიძე, გ. ლორთქიფანიძე, დასხ. ნაშრ., ტბ. XXI, 12; XXI, 5.

ლურბიანი. ზედაპირი ცაზრალეზულია. თიხა მინარევეზიანი (პიროქსენი, კრქვა). კეცის სისქე — 0,5 სმ. აღრეანტიკური ხანა⁵⁶.

71. ჭურჭლის კელის ფრეგმენტი (სავ. № 07:1-73/121), ნაერსფერეკეციანი; შემქული ამოკევილი რიზი ნაღვევების რეგებთა და რუმბული ბალო. თიხა მინარევეზიანი (კრქვა, ქაქსი). კეცის სისქე — 0,7 სმ. აღრეანტიკური ხანა⁵⁷ (სურ. 6).

72. ჭურჭლის ე. წ. ზომორფული ყურის ფრეგმენტი (სავ. № 07:1-73/315), ნაერსფერეკეციანი. ოვალურგანივეკევიანი, ზედა ბოლოსკენ გაფართობული. ზედა ბოლოზე დაქერწყლია მრგვალნევირელებიანი დაბალი ჭედი. თიხა მინარევეზიანი (კრქვა, კვარცი). ჭედის სიგანე — 4 სმ. აღრეანტიკურა ხანა⁵⁸.

3) იმპორტული კერამიკა (აღრეანტიკური ხანის)

73. წაწილნიფურული კილიკის (?) კელის ფრეგმენტი (სავ. № 07:1-73/112), მონაქრისფრო-ყავისფერეკეციანი; შიდა ზედაპირზე ლაიკი გადაკლილია; გარეთა ზედაპირზე თიხის ფონზე შვიი ლაით პალმეტა დატანილი. შერჩენილია ყურის ბოლოს მიწავერების კვალი. თიხა კარგად არის განქეკლი, ოღნავ ქარსნარევი. შემორჩენილი სიმაღლე — 3,5 სმ. ატიკა. ძვ. წ. VI ს. მესამე მეოთხედი (?)⁵⁹.

74. წავლაქანი (A ტიპის) სკივოსის პირ-კედლის ფრეგმენტი (სავ. № 07:1-73/125), მოწითალო-ყავისფერეკეციანი; უშუალოდ პირის კიდეშთან მრგვალნევირეტიანი ყურის მიწავერების კვალი ხანა. შავი, მზინაივი ლაით დაფარულია ორივე ზედაპირი. თიხა კარგად არის განქეკლი, ოღნავ ქარსნარევი. კეცის სისქე — 0,5 სმ. ატიკა. ძვ. წ. V ს⁶⁰.

⁵⁶ ანალოგიურა კატ. № 704-ის.

⁵⁷ შტრ. ოთ. ლიტოტიფიანი ძვ. ენის ნაქალაქარ. ვენ. I, გვ. 22; თ. მ. ქელაძე, დასახ. ნაწრ., ტახ. XII.

⁵⁸ იხ. შვ. 26.

⁵⁹ შტრ. J. Beazley. Little-Master Cups, JHS, vol. LII, part II, 1932.

⁶⁰ შტრ. B. A. Sparkes. L. Talco II. Black and Plain Pottery of the 6th, 5th and 4th Centuries B. C., The Athenian Agora, vol. XII, Princeton, New Jersey, 1970, გვ. 64-65, ტახ. 16-17, სურ. 4.

75-76. წავლაქანი ჭურჭლის კელდების ფრეგმენტები (სავ. № 07:1-73/123, 124), მოწითალო-ყავისფერეკეციანი; მცირე ზომის, უსახო. მზინაივი შვიი ლაით დაფარულია ორივე ზედაპირი. თიხა კარგად არის განქეკლი, ოღნავ ქარსნარევი. კეცის სისქე — 0,4 სმ. ატიკა?

11. აღრეანტიკური საფრეანტიკო გურჯლის ბამოსაწავა მხარში აღმოჩენილი არაქოლოგიური მასალა

1. ჭურჭლი აღმოჩენილი მახალა (საშუალო საუკუნეების, გვიანანტიკური და ელნისტიკური ხანების)

ა) აღგილობრივი კერამიკა

77. ქვეერის პირის გვირგვინის ფრეგმენტი (სავ. № 07:1-70/329), მოწითალო-ყავისფერეკეციანი, სამკუთხებანივეკევიანი, მასიური, გლუვზედაპირიანი; ზედა და გარეთა გვერდებს შერთებრს კუთხე ბრტყულადა წყარული. ზედა გვერდზე დატიფრულია წრეში ჩანმული წვარი. თიხა მინარევეზიანი (პიროქსენი, კრქვა). პირის ღმ — 24 სმ. აღრეანტიკური საუკუნეების⁶¹.

